


ԱՐՄԵՆԻԱ



№ 1 (40)

ՀՈՅԱԿԱՑՄԱՆ ՀԱՐԵՎԱԼՈ

ՊԵՂԱԿԱՑՄԱՆ ՀԱՐԵՎԱԼՈ

2019



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაიანი
ნურუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფია ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნარეკლიშვილი, მერის პირველი მოადგილე ბატონი გიორგი თუშიშვილი) მხარდაჭერით.



გამოცემის სამთხვევი, სულიერი №1, (40), 2019



გამოცემის სამთხვევი ეროვნული შურნალი



გამოცემის სამთხვევი ეროვნული შურნალი



შინაარსი

სარცხულება

2. მარი ზალიშვილი. მოღვაწე

იუბილე

12. გიორგ თავაძე – 60

მხატვრული ლიტერატურა

14. ელდარ შიშიაშვილი. არ ვიცი... ლექსი
15. ზორა ვაჟაპევი. ღვთისადმი მიძღვნილი ლექსები
19. გიორგ თავაძე. ჭოლა სერდუხის გაუჩინარება. მოთხრობა
28. ვაჟა მთარავილი, ვაჟა კანებალიანი. პოეტური დუეტი. ლექსები
31. როლან გიორგაძე. დისო, დისო... რომანი
38. თინათინ სიყვავილი. ორი მოთხრობა
41. თემურ ტაბათაძე. ფუსტი. ლექსი
43. გარია დადაპრიშვილი. ლექსები
45. ივათა აავლიავილი. მოთხრობები
48. გაია კაკაშვილი. ფრანგი მაშიკო. მოთხრობა
52. ნანა მარიამვილი. ლექსები
53. ანი ჯავახიშვილი. ლექსები



დოკუმენტური აროზა

55. გიორგ ჩილვილი. ალდგომელა გლოველი

მცენლის სიტყვა

57. ფარნა რაიანა. აღმანას „ამერ-იმერის“ კურთხევა – დიდი ერეკლეს ქალაქში...

წერილები

60. ნათია მარილიშვილი. ამირანიანის ქალები

კულტურული ცხოვრების ძრონიკა

62. თალავში ვანო იანეგალიძის ვარსკვლავი გაიხსნა

63. ფოლკლორულ ასეამგლ „ნინენდლის“

ვარსკვლავი

64. ვახვედრა არატეპთან



გარეკანის პირველ გვერდზე

ზოგად მეცნაპიშვილის ნახატი

დაისჭალა

გამომცემლობა „მერიდიანი“

საჩნმუნოება

მერი გადამდინალი

2



საქართველოს მთავრობის მისამართის მინისტრის მიერ გადამდინალი

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გადამდინალი

უკავებელი მოვლენის, მთელი ჩვენი ცხრილობის ამ ვრცელ პერიოდში, უკავებელის თან მდევრა ფენომენი ამ გასა- ომის მღვდელმთაკრისა, ეპისკოპოსისა, რომელსაც შეუ- ძლია ააყვავოს ქვეყანა, გააძლიეროს მრევლი, ერთმანეთს უსურვაზიერი ჩამნისა საეკლესიო და საერო საქმე. და ის, ერთ მშვენიერ ფლეს ვიწოდე მისი სახელი – მოლვანე! არა მარტო სახულეირო, ფიფი სახულეირო მოლვანე, არამედ ზოგადად მოლვანე

მ. ზაალიშვილი

მოდვაცე

აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (ერისკაცობაში ირაკლი მახარაძე)

მე მას ახალგაზრდობიდან ვიცნობ ჩემი კო- ლეგის, ცნობილი უურნალისტის ნუნუ მატარაძ- ის ოჯახიდან. ვიცი, პროფესიით არქიტექტორმა, რომელსაც ამ მიმართულებით დიდ მომავალს, დიდ წარმატებასა და აღიარებას უწინასწარმე- ტყველებდნენ, როგორ გად- აწყვიტა დიდებულ დავით გარეჯში გაეგრძელებინა „გზაი ცხოვრებისა.“ კარგად მახსოვს იმდროინდელ საზო- გადოებრივ ცხოვრებაში და მის ცნობიერებაში რა რთული გასაზრებელი იყო ახალგაზ- რდა, ნიჭიერი არქიტექტორის ეს გადაწყვეტილება – ახლად- შექმნილი ოჯახით უდაბნოში დასახლება... მე განსხვავე- ბული განცდა მქონდა მის მიმართ გაცნობის პირველივე დღეებიდან და სულ ვეძებდი ამ განცდის სახელს, მინდოდა ამომებსანა, სახელი დამერ- ქმია მისი ფერმენისათვის. ერთი ხანობა ხომ ჩვენ ერთი დიდი, მრავალსართულიანი სახლის ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით და კარ- გად მახსოვს შთაგონებული მზერა ახალგაზრდისა, რომლისნაირ ადამინებზე ამბობენ ხოლმე – მინაზე ცხოვრობენ და ცათა შინა საქმიანობენო... ეს იყო გასული საუკუნის 80-90-იან წლებში...


დავით გარეჯის სამონასატრო კომპლექსში დაწ- ყებული დიდი და ნაყოფიერი „გზაი ცხოვრებისა“ ალავერდის ეპარქიაში მოვიდა და აგერ უკვე მეოთხე- დი საუკუნეა აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი და- ვითი და ჩვენ ვცხოვრობთ ერთ დიდებულ სივრცეში სახელად – ალავერდის ეპარქია!

მართალია შემინახავს მარხვა, მითქვამს აღ-

სარება, მიმიღია ზიარება, მაგრამ ისე, როგორც საზოგადოების ალბათ დიდი ნაწილი, მეც ნომინალ- ური მართლმადიდებელი ვარ, ანუ მივეკუთვნები საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მსოფლმხედ- ველობრივად მართლმადიდებელია (თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ თავ- გადაკლული მართლმადიდე- ბელი ვარ!), მაგრამ კლასი- კური განმარტებით, თურმე მაინც ეკლესიური არა ვარ. და აი, ასეთი უურნალისტი ხშირ- ად თუ არა, არცთუ იშვიათად ვხვდები აბბა ალავერდელ მიტროპოლიტს, ამ გასაოც- არ მღვდელმთავარს და ყოვ- ელთვის მეუფლება აღფრთო- ვანება და კიდევ ის რაღაც ჩემთვის სახელდაურქმეველი განცდა, რომელიც სულიერად გაპარებს, გამაღლებს, ძალას გმატებს...

ჩემი მეგობრის, ნამდ- ვილად ეკლესიური ადამიან- ის, ციალა კაციაშვილის შემ- წეობით, თვალს მივადევნებ

უამრავ სასიკეთო ცვლილებებს, რომლებიც მეუფე დავითის ხელდასხმით აღესრულება ჩვენს ეპარქი- აში, ვეცნობი დედებს, მონაზვნებს, ვეცნობი დედა იოანას (ახლა უკვე იღუმენია იოანას), რომელმაც პირველივე შეხვედრის შემდეგ მომხიბლა. მიყვარს იგი და პატივს ვცემ. ისინი შუამთაში როცა მოვ- იდნენ და დამკვიდრდნენ, დახვდათ გაპარტახებული გარემო, დაზიანებული ტაძარი და შენობები, რო- მელსაც საბჭოთა პერიოდში უპატრონო ბავშვთა სახლის ფუნქცია ჰქონდა. დედა იოანასთვის, რომ- ლისთვისაც ალბათ არაერთგზის უტკენიათ გული ისტორიული ძველი და ახალი შუამთის ძეგლების



აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი



დასათვალიერებლად მოსულ სტუმრებს, რომელთან გან არცთუ ცოტაში მონაზონიც უპატრონო ქალთან ასოცირდებოდა და არა იმ გასაოცარ განცდასთან, რომელიც მე, ეპარქიის სეზონურ გამოცემა „ალა-ვერდში“ გამოქვეყნებული ცნობილი უზრნალისტის მანანა კარტოზიას წერილში ამიღვითხე: – მონაზ-ვნების ლოცვა ეს არის ჯაჭვი, რომელსაც უფსკრულის თავზე დაკიდებული კაცობრიობა უჭირავს!..

მე მაშინ რასაკვირველია არ ვიცოდი, რომ ეს ბრძნადმეტყველი ახალგაზრდა გოგონა, (ერის-ქალიბაში ჩემი შვილის მოსახელე ირმა) რიგის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული იყო, მეუფე დავითის მღვდლმთავრად ხელდასხმისთანავე გადაწყვიტა გამხდარიყო მონაზონი და ახლა მეუფე დავითის ხელმძღვანელობით დედებთან ერთად ისეთ კალიგრაფიულ-მთარგმნელობით-საგამომცემლო საქმიანობას უყრის საძირკველს, რომელიც მეფე ერეკლეს მიერ „თვისსა პალატასა შინა“ გახსნილ ფილოსოფიურ სკოლას, ზღაპრული გაიოზ და დავით რექტორების მნიგნობრული, კალიგრაფიული, მთარგმნელობითი იგავმიუწვდომელი საქმიანობის ასოციაციას იწვევს.

აქვე გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ გამიბედავს და მიკამათია კიდეც (ზოგჯერ ძალიან ცხარედაც!) მეუფე დავითთან და ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლებთან. ეს იყო ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების დროს და უფრო გასაგები რომ იყოს რაზე ვეკამათებოდი ეპარქიის წარმომადგენლებს, ჩვენი დროის დიდი მნერალი თამაზ ჭილაძე უნდა მოვიშველიო, რომელიც ბრძანებს: ბევრი რამ, რაც ძველია, მარადიულიცაა, ერის მარადისობის გზაზე ნიშანსვეტივით დგას, იდუმალი შუქით დღევანდელობაში ჩვენივე წარსულს აცოცხლებს და მისი ხელყოფა, თუნდაც მისი „გაცოცხლების“ ან „შეღამაზების“ მიზნით წარსულის დიდებული და მეტყველი მოწმის გაქრობას ნიშანესო... აი, ამიტომ ვიბრძოდით ცხარედ მეც და ჩემი რედაქციელებიც ძველი შეუამთის „გაცოცხლების“ თუ „შეღამაზების“ ნინააღმდეგ. მაგრამ ყოველთვის, მთელი ჩვენი წაცნობობის ამ ვრცელ პერიოდში, ყოველთვის თან მდევდა ფენომენი ამ გასაოცარი მღვდლმთავრისა, ეპისკოპოსისა, რომელსაც შეუძლია ააყვავოს ქვეყანა, გააძლიეროს მრევლი, ერთმანეთს უსურვაზივით ჩაანას საეკლესიო და საერო საქმე. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ვიპოვე მისი სახელი – **მოლვანე!** არა მარტო სასულიერო, დიდი სასულეირო მოღვანე, არამედ ზოგადად **მოლვანე**, რომელიც ერის ადამიანობიდან დაიწყო დავით გარეჯში, ალავერდის ეპარქიაში გაგრძელდა და „აგერ უკვე შეოთხედი საუკუნეა მის სახელთანაც დაკავშირებული ეპარქიის ცხოვრება. ყველგან და ყველაფერში ჩანს მისი ხელნერა – ღვთისმსახურებაში, არქიტექტურაში, წიგნის მხატვრობაში, კალიგრაფიაში, სამეურნეო საქმიან-

ბაში. ყველგან და ყველაფერში, რასაც შეხებია უფალთან ერთობისა და სამყაროს მთლიანობის განცდა, იმ ჭეშმარიტების აღიარებაა, როდესაც თანამედროვე იქმნება ტრადიციის საფუძველზე, მის ბუნებრივ გაგრძელებასა და მომავალში გასაკეთებლის საფუძველს წარმოადგენს“ – ეს ციტირებაა მსოფლიოში აღიარებული უზრნალიდან „დეკანტერი“, რომლის ფურცლებზე ასე ვრცელი წერილის გამოქვეყნება კი არა, უბრალოდ მოხსენიებაც კი მსოფლიო აღიარებას ნიშნავს. ამ უზრნალში გამოქვეყნებული ეს წერილი და ზემოთ მოყვანილი ციტატა დამეხმარა, ჩემთვის გასაგებ ენაზე ამისხნა, გამაგებინა მეუფე დავითის ფენომენი – **მოლვანე**, რომელიც უფალთან ერთობით და სამყაროს მთლიანობის განცდით ტრადიციის საფუძველზე ქმნის თანამედროვეს, რომელიც მომავალში გასაკეთებლის საფუძველს წარმოადგენს. ასეთი განცდის გამო მახსენებს მეუფე დავითი ქურუმთა იმ კასტის წარმომადგენლებს, რომლებიც ქრისტემდე საუკუნეებით ადრე ქმნიდნენ ქართულ ასომთავრულ ანბანს და აგვირისტებდნენ მზისა და მთვარის ათასწლეულებზე გათვლილ უზუსტეს კალენდარს.

აյ არ შემიძლია არ გავიხსენო ამ ასომთავრულ ანბანზე გალაკტიონის სიზმრეულ ხილვასავით სტრიქონები:

„შენ, რომელიც მუდამ მზეებრ გვინათ,

არა გუშინ გაჩინდი თვალის ჩინად,

არამედ მზის ამოენთე ბრნყინვად,

ოცდაექვსი საუკუნის წინათ...

შენ სიბერის გმოსავს ნელი ხავსი,

ქვაზე ქრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი!“

აი, ასეთ განცდასთან ასოცირდება მეუფე დავითი. ასეთ მოღვაწეთა ასოციაციას იწვევს თავისი მრავალმხრივი ღვანლით „ქაზე ქრილ ჩუქურთმა-სავით“ რომ აგვირისტებს ჩვენს დღევანდელობას, ჩვენი ყოფის, ჩვენი ცხოვრების, სულიერი და საერო საქმეების ერთობლიობის უკვდავ სურათებს. ასეთი მოღვაწეები ანთია იმედის სხივად ხალხში და თაობიდან თაობას გადაეცემა ერის უკვდავებად, მისი რწმენად, რომ „ცოტაც და ახლოა“ „ოდესმე დიდი საქართველო“.

ზემოთ მე ვთქვი, რომ იმ ერთ დღეს ვიპოვნე სახელი იმ განცდისა, რასაც ჩემში იწვევდა მეუფე დავითი ერის ადამიანობიდან. და ვიდრე იმ ერთ დღეზე მოგიყვებოდეთ, არ შემიძლია არ გითხრათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უნმინდეს და უნეტარეს ილია მეორეს როგორ უბრძანებია ჯერ კიდევ ერის ადამიანზე, ახალგაზრდა ირაკლი მახარაძეზე ადამს ჰგავსო. მაშინ ირაკლი მახარაძე დავით გარეჯში საცხოვრებლად გადაკეთებულ ვაგონში ხბოს ტყავზე მელნით და კალმით ნუსხურად სახარების გადახერაზე მუშაობდა. და როგორც უზრნალ „ალავერდში“ წავიკითხე, ახლა ის ხელნაწერი სამების საკათედრო ტაძარშია დავანებული. როცა პატრიარქის ამ სიტყვებს გავეცანი – ადამს ჰგავსო, – ახალგაზრდა ირაკლი მახარაძეზე რომ





ქვევრის სკოლა აკადემია იყალთოში

უთქვამს, კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ღვთის მაღლით ქართულ წიაღში კვლავაც იბადებიან ადამიანები, რომელთაც „ხორცი სულისთვის უნამებიათ”, რომლებიც ქვეყნის, ხალხის, მისი სულიერების გადარჩენისა და ამაღლებისათვის ისევე მუშაკობენ, როგორც უშორეულეს წარსულში იღვნოდა ქურუმთა კასტა და ქმნიდა ოუნესკოს მიერ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარებულ ქართულ ასომთავრულს (წუსხურთან და მხედრულთან ერთად რასაკვირველია), მთვარისა და მზის უზუსტეს კალენდარს.

ახლა იმ ერთი დღის შესახებ, რომელიც დედა მარიამის დახმარებით შედგა. მან შეგვითანხმა შეხვედრა მეუფე დავითან „თელავის დარბაზის“ წევრებს. დედა მარიამთან ჩვენი ქალაქის საფიქრალ-საზრუნავამა მიგვიყვანა. წარსულის უთავპოლო „შელამაზება-გადარჩენის“ მანიაკალურმა დამოკიდებულებამ გვახსოვს ყველას რა დღეში ჩააგდო ჩვენი ისტორიული ქალაქი თელავი. და რაც ყველაზე აღსაშფოთებელი იყო – ერთადერთი შემორჩენილი სამეფო მემორიალი საქართველოში, კახთმეფეთა და საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის – ერეკლე II-ის რეზიდენცია, უძველესი თელავის თეატრი, რომლის კაზინოდ გადაკეთება იყო თურმე ჩაფიქრებული, სახურავზე კი თვითმფრინავის დასაფრენი იგეგმებოდა. ბერისთვის, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის დღესაც გაუგებარია რა იგეგმებოდა იავარქმნილ, მინგრეულ-მონგრეულ სამეფო სივრცეში და ამ სივრცის სახიზარის ნაწილში ამოთხოლ უზარმაზარ ქვაბულში, სადაც ჩვენი წარმოსახვით სამეფო ქვევრ-მარანი, თონე და მეფის საოჯახო მეურნეობის სხვა ქართული ატრიბუტიები განთავსდებოდა, ნამდვილი ეთნოგრაფიული მუზეუმი მოეწყობოდა... მადლობა ღმერთს, დროულად შეიცვალა ის ხელისუფლება და ვიფიქრე, არქიტექტორ-რესტავრატორ გიგა გაგნიძესთან ერთად ჩაფიქრებული სამეფო სივრცის ჩვენეული წარმოსახვის აღსრულების დღე ხომ არ დადგა მეთქი?! გიგა გაგნიძე ცნობილი ლევან რჩეულიმენის ნამონაფარი და სამეფო რეზიდენციის მოწყობის მისეული და იმდროინდელი მოწინავე ინტელი-

გენციის ნააზრევის გამხმოვანებელი იყო, მე მისი თავგადაკლული მხარდამჭერი და გაზეთის საშუალებით ფართო საზოგადოებამდე მიმტანი. ქალაქის სააზროვნო სივრცეში ამ იდეის მუდმივად ტრიალი იყო ჩემი, როგორც უპიველესი საზრუნავი. და ახლა, როცა სამეფო მემორიალი ასე მინგრეულ-მონგრეული და გაჩანაგებულია თავისი სახიზარი ნაწილით, იქნებ ქართული არქიტექტურული აზროვნების მივიწყებული კიდობანი გავხსნათ, მეფის სასახლეც ქართულად აღვადგინოთ და სახიზარის ნაწილიც, სადაც უზარმაზარი ქვაბულია ამოთხოლი (ყოფილი იაშვილის სამასტვრო გალერეის ადგილზე), ქართული ტრადიციული ქვევრ-მარანის, ვაზის კულტის, ქვევრ-ში დაყენებული ღვინის ათასნღოვანი კულტურის წარმოჩენის ადგილად ვაჟციოთ, ქართული სუფრის ტრადიციის, მეფის სადლეგრძელოების (როგორც ჩვენი დიდი მწერალი ქალბატონი ზაირა არსენიშვილი ამბობდა, მეფე ერეკლე მხოლოდ სამ სადლეგრძელოს ამბობდა სუფრაზე – ღმერთის, ხალხის და მეფის!) და საერთოდ ქართული ეთნოგრაფიული, ყოველივე ქართულის, ჩვენებული მასპინძლობის კულტურას ვაზიაროთ პირველ რიგში ჩვენივე ახალგაზრდობა და მოსული სტუმარიც. კახ-ნუხიდან გადმოღებული აჭია-ბაჭია ფანჯრებიანი სასახლე კი არ აღვადგინოთ, არამედ ქართველ კირით-ხუროთა, ქვითხუროთა და არსაკიძეთა შთამომავალთა ნახელვით მოვინონოთ თავი. თუ ათასი ჯურის დამპურობელი მოდიოდა და შლიფა ჩვენს სამშენებლო: – არქიტექტურას, ჩვენც წავშალოთ მათი ნაკვალევი და პატარა კახს, ევროპაში რომ აღმოსავლეთის ნაპოლეონად მოიხსენიებდნენ, ქართული სასახლე სამეფო ბალითა და ყოველივე ქართულით შემკული სივრცე შეუქმნათ მეთქი. ეს იდეა მაშინდელ გუბერნატორს ბატონ ირაკლი შიოლაშვილსაც გავაცანით: – გვინდა მეფის ქართული სასახლე – სამეფო ბალით, ქვევრ-მარანით, თონით, შოთის პურებით, სამეფო სუვენიერებით და ა.შ. და ა.შ.

– თქვენ ისეთი გვარ-სახელის ბრძანდებით, არ შეიძლება არ იცოდეთ უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აზრი მეფე ერეკლეზე მეთქი, – ვუთხარი ბატონ ირაკლი შიოლაშვილს და მეფე ერეკლეს მაშინდელი სასახლის დათვალიერებისას უწმინდესის სიტყვები გავიხსენე: – ჩვენს ოჯახში მეფე ერეკლეს კულტი იყო, მე მის პატივსაცემად დამარქეს ირაკლიო. აქვე ბრძანა უწმინდესმა, რომ მის ფერწერულ ტილოზე, რომელსაც „საქართველოს დიდება“ ეწოდება და რომელზეც ყველა ქართველი წმინდანია ასახული, ერთადერთი მეფე ერეკლეა, რომელიც წმინდანი არ არის, მაგრამ მანც წმინდანებთან მივუჩინე აღგილიო...



— ვიცი, ვიცი, — ძალიან ემაყოფილი მპასუხობს ბატონი ირაკლი შიომლაშვილი, — მე მისი ლოცვა-კურთხევით წამოვედი თელავში. — იცოდე მე შენი მოადგილე ვარ თელავში, — უთქვამს უწმინდესს ბატონი გუბერნატორისათვის — ირაკლი შიომლაშვილისათვის.

მაშინაც, როცა ჯერ ისევ იავარქმნილი იყო სამეფო სივრცე და შემდეგაც, როცა ახალ გუბერნატორთან, ბატონ ირაკლი ქადაგიშვილთან ამ თემაზე საუბარი გვქონდა და როცა სამეფო სივრცეში სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად მსოფლიო ბანკის ფენომენი აშკარად გამოიკვეთა, მე პირადად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება: ადრე თუ ათასი ჯურის დამპყრობელი ხმლით და მახვილით შლიდა ჩვენს კულტურას, ჩვენს ეროვნულ არქიტექტურას და თავისას აშენებდა ზედ, ახლა ეს მსოფლიო ბანკი და ათასი ჯურის ინვესტორები არა ხმლით, არა მახვილით, არამედ ფულით მოდის, არ აინტერესებს წარსული და აშენებს ახალს, თანამედროვეს. ახალი ძალიან კარგია, მაგრამ არა წარსულის წაშლის ხარჯზე. ახალი აშენებს ახალ ადგილზე, ისტორიულს კი დავუბრუნოთ თავისი წარსული... როგორი იქნება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვევრებით მოპირკეთებული ახალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა, რომელიც მეფის ყოფილი სახიზნის ნაწილში უზარმაზარი ქვაბულის ადგილზე გადაწყვეტილა, არ ვიცით, ვერ აღვიძვამთ. ქვევრი ჩვენთვის საკრალური ნივთივით არის, ქვევრით მოპირკეთებული შენობა-ნაგებობა კი... ხო, სიახლეა, მაგრამ არა აქ, სამეფო სივრცეში ჩასატარებელი ექსპერიმენტი. ეს სიახლე სხვაგან, სხვა ადგილზე განვახორციელოთ, აქ კი — საქართველოში შემორჩენილ ერთადერთ სამეფო სივრცეში მეფისეული განწყობა, სამეფო კარის არიბუტიკა, მეფის ეთნოგრაფიული ხატი აღვადგინოთ.

აი, ამ ჩვენთვის ძალიან საჭიროობო თემაზე გაუთავებელი საუბრისა და განსჯის ერთ მშვენიერ დღეს, ზურაბ არსენიშვილმა შემოგვთავაზა საქმის კურსში ჩაგვევენებინა მეუფე დავითი, რომელიც ასე დიდებულად წარმართავს სასულიერო და საერო საქმებს არა მარტო ალავერდის ეპარქიაში.

როგორ შევხვდე მეუფე დავითს?!

ჩემი შვილი დავით წიქარძე რომელიც ჩემგან განსხვავებით ნამდვილად ეკლესიურია, მაკვალიანებს: — დედა მარიამი ნახე და ის დაგეხმარებათო....ასე აღმოგჩნდით დედა მარიამთან, რომელმაც ძალიან ახლოს მიიტანა გულთან ჩვენი წუხილი, საფიქრალი, მოსაზრებები; რამდენიმე შეხვედრისა და სამეფო სივრცის მოწყობის ჩვენეული მოსაზრების განსჯა-განხილვის შემდეგ კი დედა მარიამმა დარბაზის წევრებს შემოგვთავაზა

წავსულიყავით ალავერდში და იქ გაგვეგრძელებინა საუბრები — მეუფე დავითი გელოდებათო!

ძალიან გავიხარეთ!..

და აი, დათქმულ დროს ჩვენ იყალთოში ვართ, იყალთოს განთქმულ სამონასტრო კომპლექსთან და ასევე განთქმულ იყალთოს აკადემიის შემოგარენში.

საეკლესიო ქცევის წესების ეტიკეტის არცოდნით დაბნეულებს, ეს უდიდესი მღვდელმთავარი — თხელი, სიფრიფანა ბერი, — როგორც მას „ძველი გარეჯელები“ მოიხსენიებენ, — ისე უბრალოდ, ისე ღიმილით გვართმევს ხელს, რომ უმაღლ სადღაც ქრება ჩვენი დაბნეულობა და...

ჩვენი მაშინდელი განწყობის გამოსახატავად ერთი დიდი მწერლის ნაწარმოებიდან ერთი პასაუი უნდა მოვიშველიო: „კედელზე მიუწერია ვიღაცას, მე ვეძებ ქრისტეს და ვერ ვპოულობ, მე ვეძებ საკუთარ თავს და ვერსად მიმიგვნია. მაგრამ ვპოულობ მოყვასს და სამივე ერთად ვაგრძელებთ გზას“...



ალავერდის მონასტრის განახლებული საძვალე

ხო, იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატურული პერსონაჟის ზუსტად ასეთი განცდა გვეუფლება და ჩვენ — სამივე — მეუფე დავითი, დედა მარიამი და თელავის დარბაზის წევრები ერთად ვაგრძელებთ გზას... ვწყებთ იყალთოს საყოველთაოდ ალარებული სამონასტრო კომპლექსის და ცნობილი იყალთოს აკადემიის შემოგარენით, რომელიც ისე შეცვლილი, აშენებულ-დამშვენებულია, ალფროთოვანებას ვერ ვფარავთ.

მეუფე დავითი კეთილად, ძალიან კეთილად იხსენებს გიორგი შათირიშვილს, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო იყალთოს ამ დიდებული ძეგლისა და სახელგანთქმული იყალთოს აკადემიის ახალი სიცოცხლე სახალხო დღესასასაულ „შოთაობის“ დაფუძნებით. — ჩვენ იქიდან ვაგრძელებთო გზას, — ბრძანებს მეუფე და ნაბიჯ-ნაბიჯ გვათვალიერებინებს მისთვის ჩვეული წინასწარი ხედვითა და შორსმიმავალი განზრახულობებით შეცვლილ, ჩვენთვის ძალიან ცნობილ





და ახლობელ გარემოს. უძველესი შრეების გამოცვლენა-წარმოჩენის და მსოფლიო სტანდარტების დონეზე შერწყმული ისეთი მაგალითებითაა სავსე აქაურობა, რომ მე მართლა არ შემნევს ძალა მის გადმოსაცემად. ერთი ფაქტის, ერთი მღელვარე და დაუვინყარი მომენტის შესახებ კი არ შემიძლია არ ვთქვა: ამ ისტორიული ქეგლის მისადგომი სივრცის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოწყობისათვის იუველირის სიზუსტით ჩატარებული ფართო მასშტაბის სამუშაოების დროს აღმოჩენილი პატარა, მაგრამ ძალიან შორეული წარსულის ძალიან მეტყველი და უკვე რესტავრირებული ქეგლის მიმდებარედ ანკარა წყაროსთვისაც მიუკვლევიათ, რომლის სამკურნალო თვისებების გამო ხალხს „უკვდავების წყარო“ შეურჩევია. თურმე კახეთის შორეული სოფლებიდანაც კი მოდიან აქ და ოჯახებში ზიარებასავით მიაქვთ იყალთოს მადლიანი მიწის წიაღიდან მორაკრაკე, ცივი უგემრიელესი წყაროს წყალი...

იმ დღესაც რიგი იდგა ამ ღვთივკურთხეულ წყალთან, რომელიც იქვე გადასწვრივ ჩამდინარე ჩუმათხევში ჩაედინება.

სოფლის შუაგულში ჩამდინარე ეს ხევი, ისე როგორც თითქმის ყველგან, ნაპირებმორდვეული და ნაგავსაყრელად იყო ქცეული.

„დღეს სულ სხვა განწყობით მიუკვებით ჩუმათხევს, – ვკითხულობთ უურნალ „ალავერდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ დედა მარიამის (ტოროშელიძე) წერილში. სიახლისა და აღმშენებლობის იმედი გვასულდგმულებს. იყალთოს ხევის მოწყობის პროექტი, სივრცით განვითარების ძირითადი ასპექტები, კონცეპტუალური ხედვა პროექტონალების მიერ დამუშავებულ მრავალფურცლიან ალბომს, ნახაზსა და კვლევას მოიცავს. მისი შედეგი კი იყალთოს ხევის სუფთა კალაპოტი იქნება – მშვენიერი ხედი, ნარგავებით გამწვანებული გზა, მოწესრიგებული გზისპირი, ხევის გასწვრივ – მოსახლეობის კუთვნილი ეზო-კარი ლაზათიანი ღობითა და გალავნით შემოვლებული. ეს გარემო დღისითაც მიმზიდველი იქნება, შიანურსა და სტუმარს გაახარებს. ღამით კი ლამპიონებით გაჩირაღდნდება. ამით ერთ პატარა „მოდელს“ მივიღებთ, როგორი მოვლილი ქვეყანა გვსურს“. დედა მარიამის წერილიდან მოტანილი ციტატიდან ამ ბოლო წინადადებას მე გაუსვი ხაზი, რადგანაც აშკარად ვხედავ, რომ იყალთოს შუაგულში ჩამაგალი ჩუმათხევის კეთილმოწყობის ეს „პატარა მოდელი“ ერთი პატარა მონაკვეთია მეუფე დავითის იმ დიდი და ძალიან შორს მიმავალი ჩანაფიქრისა, რომელსაც „ოქროს გზა“ ჰქვია და რომელიც აშკარად იწვევს საქართველოს ოქროს ხანის ასოციაციას...

„ოქროს გზა“ სამეცნიერო-საინფორმაციო ტურისტული მარშრუტია, რომელიც თბილისიდან ალავერდამდე ცივ-გომბორის გავლით კახეთისაკენ მიმავალ სამეფო გზას უკავშირდება, – ვკითხეულობთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფე-

სორის, საქართველოს დამსახურებელი გამომგონებლის გურამ გაფრინდაშვილის წერილში, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაშია“ დაბეჭდილი, – ეს გზა მოიცავს უჯარმის ციხეს, გომბორის ულელტეხილს თვალნარმტაცი პანორამით, ძველი და ახალი შუამთის ტაძრებს და მათ მიმდებარედ აგებულ ვიზიტორთა ცენტრს, რომელსაც „საინფორმაციო კარიბჭე“ ჰქვია. „ოქროს გზის“ მნიშვნელოვანი ობიექტია იყალთოს V-VI საუკუნის მონასტერ-აკადემია და იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემია, სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერა, სადაც მეთუნეთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე კერამიკის, მინანქრის, ფერწერული სალებავების, ქართული თხევადი ოქროს და სხვა წანარმს უახლესი ტექნოლოგიით დავიზადებთ. მონასტრის განახლებული მარანი კი, სადაც ტრადიციული მეთოდით ქვევრის ოქროსფერ ღვინოს აყენებენ, ის ადგილია, რომელმაც ქვევრის ღვინის დაყენების 8000 წლიან ისტორიას ახალი სიცოცხლე შესძინა“ – ბრძანებს ბატონი გურამ გაფრინდაშვილი და აღბათ ბევრი თანამოაზრე მეყოლება თუ ვიტყვა, რომ მეუფე დავითის დიდი ძალისმეცვით უკვე დაწყებული „ოქროს გზა“ შორეული წარსულის მრავალმხრივ ასოციაციებს იწვევს, როცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში ჩინეთის უძველესი დედაქალაქ სიანიდან დაწყებული დიდი აბრეშუმის გზა თელავზეც გადიოდა და იმდროინდელი მსოფლიო მაჯისცემის ზიარი იყო. გზისადმი ქართველების დამოკიდებულება კარგად არის ცნობილი, „გზა სიცოცხლეა“ – სჯერა, სნამს ქართველ ადამიანსაც და ქართული ლექსიკა, ადამიანთა ურთიერთობები, ზღაპრები, ქართული ფოლკლორი თუ რეალური ცხოვრება, გაჯერებულია გზის ფენომენით. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გაჯავახიშვილის მიერ თელაველი კაცისაგან ჩანერილი ლეგენდა იმის შესახებ, როგორ მოვიდა თელავში „ცის გზით“ ქეთევან დედოფლის წამებისას მისი მკერდიდან ცათა შინა ამაღლებული ჯვარი, როგორ დაეჭვა იგი სამეფო მემორიალში და როგორ აიგო აქ სამლოცველო მსოფლიო წმინდანის სახელზე. ლეგენდებში, ზღაპრებში, ანდაზებსა თუ ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებული გზის ფენომენი და „ცის გზის“ წათელი კიაფობს მეუფე დავითის პერსპექტიულ გეგმაში, რომელიც თელავში საერთაშორისო დონის აეროპორტის ამოქმედებას ითვალისწინებს და როცა მსოფლიოს წებისმიერი ქვეყნიდან შეეძლებათ ადამიანებს ჩამოვიდნენ თელავში, გნებავთ „ცის გზით“, გნებავთ „ოქროს გზით“, დატებნენ „პატარა ძალივით მორთული“ ჩვენი ქვეყნით, ადგილზე გაუსინჯონ გემო კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის – უძველეს ქართული ტრადიციული მეთოდით ქვევრში დაყენებულ ოქროსფერ ღვინოს, მოისმინონ კაცობრიობის ზეპირი და ხელთუემნელი მემკვიდრეობის შედევრად აღიარებული ქართული მრავალხმიანობა და კოსმოსში გაგზავნი-



ლი „ჩაკრულო“, ადგილზე გაეცნონ უძველესი ქართული დამწერლობის სამივე ცოცხალ სახეობას, რომელიც იუნესკომ ქვევრში ლვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციასთან და ქართულ მრავალმანიანობასთან ერთად კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა. ყოველივე ეს – „ცის გზაც“, „ოქროს გზაც“ და ქვევრის სკოლა-აკადემიაც, საითაც ახლა ჩვენ მივდივართ, ერთ მთავარ მიზანს ისახავს: – წელში გაიმართოს ნანატრი თავისუფლება მიღებული სამშ-



ზეთისხილის ბალი ალავერდში

ობლო ჩვენი, წელში გაიმართოს ხალხი და სამუშაოს საძებნელად უკიდეგანო სამყაროში კი არ გაიფანტოს, არამედ თავის სამშობლოში გააჩალოს კერა, იუნესკოს მიერ მომაკვდავ ერთა სიაში შეტანილი ქართველობა გადავრჩეთ, გაემრავლდეთ. შორსგამიზნული ეს ჩანაფიქრი აქვარად იკითხება ქვევრის სკოლა-აკადემიის დაფუძნებაში.

– ულამაზესი ინტერიერი, – სკოლა-აკადემიის შენობის დანახვისთანავე ალბათ იტყვის სპეციალისტი; ჩვენ, დარბაზის წევრებს კი ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ შინ დავბრუნდით, ისეთი თბილი, ისეთი მშობლიური გარემოა, საკუთარ სახლში დაბრუნების განუმეორებელი სითბოთი რომ გავსებს. შენობის შიგნით კი ულტრათანამედროვე ტექნიკური არქიტექტორით ტრადიციული ქართული ქვევრი იჩადება... პროფესიონალების აზრით იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემია სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერა, სადაც მეთუნეთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე კერამიკის, მინანქრის, ფერწერული საღებავების, ქართული თხევადი ოქროს და სხვა ნანარმი უახლესი ტექნილოგიებით დამზადდება.

– იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-აკადემიის კონცეფციასა და სახელწოდების შინაარსს კარგად გადმოსცემს ლოგო, გრაფიკული ნიშანი, რომელზეც ქვევრი და წიგნი ერთად არის გამოსახული.

ქვევრის დამზადების ტრადიცია საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ცოდნას უკავშირდება. მეთუნეთა გამოცდილება, პრაქტიკული რჩევები, თიხის ქმიური შედგენილობა თუ სხვა საკითხები, მათ შორის თეორიულიც, სწორედ ქვევრის სკოლა-აკადემიაში ერთიან სახელმძღვანელოდ აიკინძება. – ბრძანებს აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. – პირველია იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემია. რადგან მას ანალოგი არ გააჩნია, თუმცა თიხას მრავალი ადამიანი ამჟავებს საქართველოშიც და მის ფარ-

გლებს გარეთაც. მსგავსი რამ შეიძლება სხვაგანაც შეიქმნას, თუნდაც ქვევრისადმი განუზომელი ინტერესის გამო მთელ მსოფლიოში, მაგრამ პირველი უკვე შექმნილია საქართველოში, იყალთოში... გადმოცემის თანახმად იყალთოს სამონასტრო აკადემიაში ჰუმანიტარულ დარგებთან ერთად ტრადიციული სამეცნიერო დარგებიც მაღალ დონეზე ისწავლებოდა... თუკი შესაძლებელია XXI საუკუნეში რომელიმე სასწავლო ცენტრი იყოს იყალთოს ძველი აკადემიის „მემკვიდრე“, ეს ფუნქცია ნამდვილად იჭირთა ამ სკოლა-აკადემიამ. მან გააგრძელა ისტორია („ალავერდი“ 2016. №3/15).

სართულ-სართულ ვათვალიერებთ უძველესი აკადემიის ფუძედალოცვილ საფელში აღმოცენებულ ულტრათანამედროვე ქვევრის პირველ სკოლა-აკადემიას, ვისმენთ მეუფე დავითის საუბარს სახელმწიფოს, მსოფლიო ბანკის და საზოგადოების დიდი მხარდაჭერით შექმნილ ამ მართლაც საოცრებაზე, სადაც ქართველ მეთუნეთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება სრულიად ახლებურად უნდა გააბრნებინონ მისმა მოსწავლეებმა და ვივსებით ღრმა რწმენით, რომ ეს ადგილი, ეს სკოლა-აკადემია ღირსეულად გააგრძელებს იმ ტარდიციას, ვის ნაფუძაზეც აღმოცენდა და იგი ნამდვილად იქნება ის ადგილი, სადაც იმაზე კი არ იფიქრებენ რა უნდა მოგვცეს ქვეყანამ, არამედ იმაზე, რა უნდა მივცეთ ჩვენ ქვეყანას. საქართველოს პატრიარქის ამ შეგნების დასტურია ის, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ ალავერდის ეპარქიის ამ ერთ პატარა მონაკვეთზე – იყალთოში. ახლა ალავერდისაკენ მივემგზავრებით...

ალავერდი! ძველი საქართველოს დიდების უტყვი და ძალიან მეტყველი ძეგლი, რომელმაც ათასგვარ ქართებილებს გაუძლო და ჩვენამდე მაინც მოიტანა წინაპართა სულისკვეთება. მეუფე დავითის აქ მოღვაწეობის პერიოდში იმდენი რამ გაკეთდა, იმდენი რამ ალსდგა და დაუბრუნდა ძველი დიდება, რომ მე მართლა არ შემჩევს ძალა მოგითხროთ მათ შესახებ და როგორც უკვე არაერთგზის ისევ საპატრიარქოს უურნალი „ალავერდი“ უნდა მოვიშველიო, – „ალავერდი“ – ჩემი ერთგული მეგზური ურთულესი უურნალისტური საქმიანობის გზაზე. მადლობა, დიდი მადლობა ამისათვის „ალავერდის“ უურნალისტებს.



ალავერდის მონასტერში მოწყობილი ნეკროპოლი

მრავალი კეთილისმყოფელი ადამიანი, ვისთვისაც დიდი ჰატივი იყო მონაწილეობა ქვეყნის ამ უძველესი და უძლიერესი სალოცავის აღდგენის პროცესში.

ნაბიჯ-ნაბიჯ, დღითიდღე, წლიდან წლამდე ალავერდში რესტავრაცია და ადაპტაცია განიცადა ყველა ტიპისა ფუნქციის ნაგებობამ და მთელმა გარემომ, რასაც დაემატა უკვე ახალი დროის შენობებიც – მონაზონთა სენაკები, სახელოსნოები, სიძველეთა საცავი და სტუმართა საცხოვრებელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონასტერში გაჩნდა ბერმონაზონთა კრებული. ისინი ერთგულად უდგანან გვერდში მათ წინამდლვარს – მეუფე დავითს და მისი კურთხევით აქტიურად მონაწილეობენ ამ უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერის აღორძინებაში – როგორც ლოცვით, ისე ფიზიკური შრომით.

ალავერდის მონასტერში აღდგა სამონასტრო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორადაც მეღვინეობა და მეფუტერეობაა მიჩნეული. სწორედ ალავერდიდან დაიწყო საქართველოში ქვევრის დავითის ტრადიციული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლადა აღიარებული. ალავერდის

განახლებულ მარანში იწურება და დგება ღვინოები, რომლებსაც უკვე საერთაშორისო აღიარება და მრავალი პრიზი აქვს მიღებული.

ქვევრის ღვინისა და თაფლის წარმოებას მონასტერში ხელმძღვანელობენ საქართველოს წამყვანი მევენახე-მეღვინე ბატონი თ. ლლონტი და მეფუტერეობის ასევე ცნობილი სპეციალისტი ბატონი შ. კალანდარიშვილი..

მეუფე დავითისათვის განსაკუთრებით ლირებულია ეკლესისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირი. მას კარგად ესმის ასეთი ურთიერთობების ფასი და ამიტომ მისი მცდელობით აღავერდის მონასტერი სხვადასხვა თემატიკისა და რანგის ფორუმების – სიმპოზიუმების, კონგრესების, კონფერენციებისა და სემინარების აგტიური მონაზოლეცაა და მასპინძელიც... მეუფის გარჯის კვალი ყველაფერს ეტყობა. იგი კარგად ჩანს ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში, ძველ შუამთაში, იყალთოში, რუისპირში, თუშეთსა და პანკისის ხეობის ეკლესიებში აღდგენილ ღვთისმსახურებაში, თელავის გიგოს გორაზე აღმართულ წმინდა წინოს შესანიშნავ ტაძარში, თელავშივე დაფუძნებულ ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის სკოლაში, ალავერდის ტაძრის ეზოში მოწყობილ ვაზის ჯიშების საცდელ ნაკვეთზე და მონასტრის სიახლოეს ახლად გაშენებულ მეურნეობაში, გასაოცარ მანვინის სახლში, ქართული ღვინის კულტურის ცენტრში და სხვა მრავალში.“

ვრცელი ამონაწერია, მაგრამ ერთი სული მაქვს პატარა მონაკვეთი მაინც გადმოვიწერო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის ხეუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის ხელმძღვანელის აბბაალავერდელი მიტროპოლიტის დავითის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა იუნესკოს სათავო ოფისში პარიზში იუნესკო-საქართველოს ფორმატით გამართულ შეხვედრაზე;

– მინდა მოკლედ, ძალიან მოკლედ მაინც მოგიყვეთ იმის შესახებ, როგორ აღფრთოვანებულა ბიზნესისა და მენეჯმენტის დარგში მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერტი, კორპორაცია „ათასნლეულის გამოწვევის“ პროგრამების ვიცეპრეზიდენტი პატრიკ ფაინი ტრადიციული მეურნეობის ახლებურ ყაიდაზე გადაწყობის მეუფისეული მიდგომით...

– მინდა მოგითხოთ მონასტრის ღვინოზე – ღვთაებრივ ელექტრიზე;

– მონასტრის თაფლზე – წამალზე;

– მონასტრის ნაბეჭდ პროდუქციაზე – სულის სალბუნზე;

– მინდა მოგიყვეთ მეუფის ინიციატივით საქართველოში უკვე მეოთხედ ჩატარებულ ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმზე და ქვევრის ღვინის პირველი საერთაშორისო კონკურსისათვის საგანგე-





ბოდ დამზადებული პრიზების – ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს პანია ქვევრებზე;...

– მინდა მოგიყვეთ მხატვარ რომან მახარაძეს გასული საუკუნის 80-იან წლებში 100 000 ტირაჟით როგორ გამოუცია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“-ს ხელნაწერი წიგნი და როგორ მიუძღვნია იგი თავისი შევილის მეუფე დავითისადმი – ერობაში ირაკლი მახარაძისათვის, რომელიც მაშინ ოჯახთან ერთად უდაბნოში ცხოვრობდა და მისი უწმინდესობის პატრიარქის კურთხევით მათესა და მარკოზის სახარების ხელნაწერ და მინიატურებით შემუშავდა ვერსაზე მუშაობდა და რომელიც ახლა სამების ტაძარშია დავანებული;...

დღის, ძალიან ბევრ რამეზე მინდა მოგითხოთ, მაგრამ... ჩვენმა ჯგუფმა ამასობაში უკვე მოვილოცეთ ალავერდის დიდებულ ტაძარში, დავანთეთ სანთლები, დავათვალიერეთ დიდი სატრაპეზო, სადაც ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმები და სხვადასხვა სახის ფორუმები ტარდება ხოლმე, განცვილებულები ვუურებელ ვაზის კუნძულს ტაძრის ეზოში, სადაც მარტო 80-მდე კახური ჯიშის ვაზის გაშენებული, დავათვალიერეთ ფეიქრ-ხანის სასახლედნოდებული სრულიად ახლებურად რესტავრირებული საგრილობელი, მონასტრის მიმდებარედ გამენებული დიდი სამეურნეო ეზო, საფუტკრე მეურნეობა, თაფლის სახდელი და სხვა დამხმარე მეურნეობები აღჭურვილი თანამედროვე მძლავრი ტექნიკური, სიახლეებით... უთვალავ სტუმარ-დამთვალიერებელთან ერთად ჩვენც გაგვაძრუა მეუფე დავითის დიდი ძალისხმევით აღდგენილმა მონასტრის უძველესმა ქვევრ-მარანმა. ჩვენც შევიგრძენით XXI საუკუნეში აღდგენილი ღვინის დაყენების 8000 წლიანი ტრადიციის მადლი, ალავერდთან გამომცვალი დოლის პურის გემო... ყოფითისა და ღვთიურის ისეთი ერთობლიობით დაგვატარებს მეუფე დავითი მონასტრის სივრცეში, რომ ჩვენ მართლა ვეღარ ვგრძნობთ სად მთავრდება საერო და სად იწყება საღვთო საქმე. და მაინც, ყოფითისა და ღვთიურობის ამ გასაოცარ ერთანანობაში ერთი პატარა ეპიზოდი მაინც უნდა გამოვარჩიო, რომელმაც ცნობილი რუსი პოეტი გამახსენა გამომშვიდობებისას ნიტა ტაბიძისათვის რომ გადმოიყახნია ვაგონის ფანჯრიდან, – სახლში რომ მიხვალთ, აუცილებლად მოძებნეთ, ჩემი სული იქ დავტოვეო!

ჩვენი სულიც იქ დავტოვეთ – მონასტრის კარგა მოშორებით გაშენებულ ბაღში. აქ მონასტრის დიდი სარესტავრაციო-სამშენებლო სამუშაობის დროს დარჩენილი სამშენებლო ნარჩენების დიდი გორა დადგა თურმე და მეუფის დიდი ალაზნის ჭალის უკიდევანო სივრცის ეს პატარა მონაკვეთიც არ გაემეტა სანაგვედ, ზედ მადლიანი ქართული მინა გადააფინა, გადაასწორა და ჩვენ უკვე ამაყად მოლივლივე ბაღი დაგვხვდა, სადაც ჩვენი სულები დავტოვეთ.

ალბათ ამიტომაც არ მახსოვს, არ გვახსოვს როგორ დავტოვეთ იქაურობა – ჩვენი სული იქ დარ-

ჩა!...

აქვე გეტყვით, რომ ძალიან გამიხარდება თუ ამ ჩემი ნაწერის ბოლოში ჩვენი ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერას ვნახავ, ანუ დავრნმუნდები, რომ მიახლოებით მაინც შევძელი ნახულისა და განცდილის გადმოცემა. დიდხანს, კარგა დიდხანს ხომ ვერცერთი ჩვენგანი ვერ ვბედავდით კალმის აღბას. ბოლოს ზურაბი (არსენიშვილი) დაბეჯითებით მეუბნება – შენ უნდა დანეროვო და სახარებისეული სწავლებიდან მახსენებს მოციქულთაგან როგორ ვერავინ შეძლო დასწრებოდა უფლისა ჩვენის იქს ქრისტეს ჯვარცმას და როგორ შეძლეს ეს დედებმა!..... – მაპატიე უფალო, გემუდარები მაპატიე ჩემი უმეცრებით თუ რამეს არასწორად ვამბობ. ასეთ თემებზე წერის არავითარი გამოცდილება არა მაქს. ზეპირმეტყველებაში კი ადვილად გავბედე და დედა მარიამს რომ შევხვდი ჩვენი იმ დღის შთაბეჭდილებების გასაზიარებლად, პირველი, რაც გულახდილ საუბარში ვუთხარი იყო შემდეგი: მეუფე დავითი ნამდვილი საპრემიერმინისტრო კაცია მეტეი. მართლა ასე ვფიქრობ – მეუფე დავითისნარი მოლვანე თუ დაალწევნების თავს ამ ჩვენს გაჭირვებულ სამშობლოს, ისედაც დაცოტავებული ქართველობიდან ზოგი რომ საზღვარგარეთ გარბის ლუქმაბურის საშოგნელად, ზოგს კი აქ რომ გვიხმება კუჭი შიმშილითმეთქ. ხო, საუბრის დროს უფრო ადვილია შენი აზრის გამოხატვა. მაგრამ წერა? წერა მართლა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც ვცდილობ, ძალიან ვცდილობ ბოლოში გავიდე და თავი მოვაბა ჩანაფიქრს – ხელნაწერი გაზეთი გამოვცეთ, ნაცების დროს ვითომ დროებით შეჩერებული ჩემი გაზეთის „თელავის მოამბის“ ყოფილი „ალაზნის განთიადის“ სპეციალური გამოშვება – ხელნაწერი გაზეთი „მოლვანე ავტოპორტრეტი!“, რომელსაც მეუფე დავითის მიეცუძღვინით.

– საიდან ავტოპორტრეტი?

– გეტყვით!

ეს იყო გასული საუკუნის 90-იანი წლები. წარამარა გვანიკებენ ე.წ. „ეროვნული მოლვანები“ ხანიანიალით დამადგებიან თავზე და ისეთი რაღაცის გამოქვეყნებას მაძალებენ გაზეთში, რაც არაფრით არ შეიძლება და არც ვტეჭდავ, ხან სტამბას დაუსხმებიან თავს და გაზეთის ნომრის ბეჭდვას შეგვიჩერებენ.....

– „ვის რაში სჭირდება თქვენი კომუნისტური არქივის“ შეძახილებით ერთი ასეთი დანიოკების შემდეგ ამ „ეროვნულ მოლვანეთა“ ფეხქვეშ გათელი ჩვენს არქივში

– ქეთევან იაშვილის

– ნანა ბოტკოველის

– ლიზა ვახვახიშვილის

– ალექსანდრე გვენცაძის და სხვა ასეთი გამორჩეული ჩვენი თანამემამულების მიერ ჩემთვის პირადად გამოგზავნილ ანდერძ-ნერილებთან ერთად ჩემი კოლეგის, ცნობილი უერნალისტის ნუნუ მატარაძის ბოლოდროონდელი ჩანაწერების რვეუ-





ლი და დავით გარეჯიდან ოჯახში გამოგზავნილი მეუფე დავითის წერილიც ვიპოვნე და ვიდრე ჩვენი გაზეთების კომპლექტებთან, მდიდარ ფოტო და სხვა მასალებთან ერთად ამ „ჩვენს კომუნისტურ არქივს“ თელავის სახელმწიფო მუზეუმს ჩავაბარებდე, ჩემთან, ჩემს პატარა სახლში ვინახავ. ახლა, როცა მე მხვდა წილად როგორც შემიძლია აღვნერო ის ერთი დღე – გრძელი ვიდრე წუთისოფელი – თავს უფლება მივეცი და ვისარგებლე თითქმის სამი ათეული წლის წინ მეუფე დავითის მიერ ოჯახში გამოგზავნილ წერილზე მიხატული ავტოპორტრეტით და კიდევ ერთი ჯგუფური ნახატით, რომლებსაც ამშვენებს მეუფე დავითისეული ზღაპრულად ლამაზი ხელნაწერიც „მამა ირაკლი“ 1991 წ. ივნისის 18. ახალციხე. „ასეთი ვიყავი წელში მოხრილი.“ „ესენი ჩვენი ჯგუფის წევრებია, ყველა ვერ დავეტიეთ“...

გამოგიტყვდებით და გეტყვით, რომ „როცა არის



დელი შუამთის მონასტერში

ხოლმე წუთები, როცა არვინ გნამს“, ამოვქექავდი ხოლმე ჩემს არქივს და ჩემთვის ძვირფას სხვა რამე რუმეებთან ერთად მეუფე დავითის მიერ ოჯახში გამოგზავნილ წერილზე მიხატულ ამ ავტო და ჯგუფური პორტრეტიდანაც დავიბრუნებდი ხოლმე სულის სიმშვიდეს. თქვენი არ ვიცი ძვირფასო მეითხველი რა შთაბეჭდილებას მოახდენს წერილზე მიხატული ეს პორტრეტები, ეს მომლოცველები, კვერთხზე დასკუპებული თუ მომლოცველთა წინ აფრენილი მტრედით და მინანერებით, მე კი, მე სულ ანა კალანდაქესეული უკვდავი შედევრის – „მოდიოდა ნინო მთებით“ ასოციაცია მეუფლება, უფრო სწორად იმ სტრიქონის – „საქართველო არის ეს“–ო რომ ბრძანებს.

– ხო, ასე გამოვიარეთ ისტორიის ლაპირინთებში სათავე დაკარგული თუ ჯერ სათავე მიუკვლეველი ისტორია ჩვენი, ასე მოვდივართ და გვნამს, რომ მხოლოდ ასეთი „გზაი სავალი“ გადაგვარჩენს; ანუ როგორც ოანა საბანის ძე ბრძანებს, ეს არის ჩვენი „ჩვეულებისებრ მამულისა სვლაი“....

დიახ, ასეთ ასოციაციებს იწვევს ჩვენი მიტრო-პოლიტი დავითი – „თხელი, სიფრიფანა მღვდელი“,

როგორც მას „ძველი გარეჯელები“ უწოდებდნენ თავის დროზე და როგორიც ბრძანდება დღესაც!

გვიყვარხარ, ძალიან გვიყვარხარ მეუფე დავით!

საღვთო, სასულიერო ცხოვრების არმცოდნებს ამ საკრალურ თემებზე წერის სრულიად გამოიუც-დელებს თუ რამ შეგვებალა გვაპატიეთ, მეუფე და-ვით გვაპატიეთ და იცოდეთ რომ ვოცნებობთ რო-დის განმეორდება ასეთი ბედნიერი დღე და როდის გვაჩრეუქებს ღმერთი თქვენს მიერ შექმნილი მიწიერი სასწაულის – თანამედროვე საეკლესიო აღმშენებ-ლობის დიდებული ნიმუშის – ჩაკიდეული თხემების მოლოცვის ბედნიერებას.

სამშობლო ჩვენთვის დავით გარეჯიდან იწყე-ბოდა, – იგონებენ „ძველი გარეჯელები“. – სამშობ-ლო ჩვენთვის ახალი ალავერდიდან იწყება, – ვამ-ბობთ ჩვენ – „თხელავის დარბაზელები“.

ბოლოთქმა: თუ ბიზნესისა და მენეჯმენტის მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერტები, კორპორაცია „ათასწლეულის გამონვევის“ პროგრამების მთავარი სპეციალისტები აღ-ფრთოვანებას ვერ ფარავენ ტრადიციული მეურნეობის ახლებურ ყაიდაზე გადაწყობის მეუფისეული მიდგომით;

– თუ მსოფლიო ბანკის თანად-გომით შეიძლება შეიქმნას წარსულისა და ათასწლეულის გამონვევის ისეთი შედევრი, როგორიც იყალთოს ქვევრის სკოლა-აკა-დემია და კიდევ სხვა სასწაულები, რომ-ლებითაც სავსეა ალავერდის ეპარქია და აპბა ალავერდელი დავითის მოღვაწეობა, რატომ არ შეიძლება ასეთივე მიდგომებით აღდგეს საქართველოში შემორჩენილი ერ-თადერთი სამეფო რეზიდენცია თავისი სახიზარის ნაწილით?! ხომ შეიძლება წარსულისა და თანა-მედროვეობის მეუფისნაირი ხედვით აღდგენილი ვიზილოთ კახთმეფეთა რეზიდენცია? – იმედის ეს სხივიც მოგვყვებოდა ყველას დიდებული ალავერ-დიდან!..

ვნახოთ! მომავალ წელს, მგონი მუზეუმების საერთაშორისო დღეს უნდა დამთავრდეს სამეფო სივრცეში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის და-საწყისმა სამუშაოებმა და გეგმებმა ძალიან, ძალიან, სკეპტიკურად განგვაწყო და რომელმაც ალავერდში წაგვიყვანა!...

მერი ზალიშვილი, ლია მუმლაური, ზურაბ არსენიშვილი, თეონა სახეიშვილი, ჯუმბერ სახეიშვილი
2017 წ. გაზაფხული

მინაწერი:

ახლა, როცა დიდებულ ალავერდში და იყალ-თოში გატარებული ერთი დაუვიწყარი დღის შესხებ ჩვენი წერილი უურნალ „ოლეს“ რედაქციაში მიგვა-



ქვს გამოსაქვეყნებლად, 2018 წლის გვიანი შემოდგომაა. ნაცეპის მიერ მინგრეულ-მონგრეულ და ათხრილ-დათხრილ სამეფო სივრცეში სარესტავრაციო სამუშაოები კარგა ხნის დამთავრებულია.

სამწუხაროდ, იმაზე უარესი სურათი მივიღეთ, ვიდრე სარესტავრაციო სამუშაოების დასაწყისში შეგვევმნა და რის გამოც მეუფე დავითს შევხვდით.

ერთადერთი, რაც დღეს სამეფო მემორიალის არსებობაზე მიგვანიშნებს, ქართული საფორტიფიკაციო მშენებლობის დიდებული ნიმუში – კუნძულებიანი გალავანია, თავისი მეომართა სარბენი ბილიკებით, სათოფურებით, სალოდეებით, აღმოსავლეთის და დასავლეთის შთამბეჭდავი კარიბჭეებითა* და ორი პატარა კარის ეკლესით...

დანარჩენი რაც დღეს ამ სივრცეშია:

1. აღმოსავლეთიდან შესასვლელშივე ძველი გალავნის გასწორივ რამდენიმე საფლავი (ფრიად პატივცემული და დაფასებული ჩვენი თანამემამულების, მაგრამ არანარი კავშირი რომ არა აქვთ ბაგრატიონთა მსოფლიოში ყველაზე ხნითხოვან სამეფო დინასტიასთან).

2. კას ნუხიდან გადმოღებული აჭია-ბაჭია ფანჯრებიანი ე.წ. „მეფის სასახლე“.

3. ერეკლეს მიერ „თვისსა პალატასა შინა“ დაარსებული ფილოსოფიური სკოლის ნაფუძარზე მოქმედი პირველი საჯარო სკოლის კირით თეთრად შეფეთქილი შენობა, რომელიც ყინულის დიდი ლოდივით ცივი, საშვილიშვილო გალავნით სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ გაუმჯობესება სამეფო სივრციდან.



აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი

4. ნაცეპის მიერ დანგრეული ყოფილი სამხატვრო გალერეის ნაფუძარზე ამოთხრილ უზარმაზარ ქვაბულში ახლადჩაშენებული ვითომ ქვევრებით, სინამდვილეში ქოთნებით მოპირკეთებული მუზეუმი მინიჭედა ერთი სართულით, აფიცრული შესასვლელით და დამრეცი საექსპოზიციო დარბაზებით.

5. მეფის სასახლის სახიზარის ნაწილში განლაგებული ქანდაკებები, რომლებიც ათეულობით წლების წინ აქჩიტარებული მსოფლიო ბიენალეს მონაწილე მოქანდაკეებმა შექმნეს და საჩუქრად დაუტოვეს ქალაქს.**

6. ალაგ-ალაგ მოასფალტებული, ალაგ-ალაგ კი ხრეშ დაყრილი ბილიკები (დამთვარიელებელთათვის განკუთვნილი საშინლად დისკომფორტული სავალი ბილიკები) – აი, ეს ყველაფერი ნამდვილად ვერაფრით ვერ აფიქრებინებს მნახველს რომ აქ ქართველი მეფეები ცხოვრობდნენ!...

რომ აქ დაიბადა და აქვე გარდაიცვალა ქართველი ხალხის უსაყვარლესი მეფე ერეკლე, პატარა კახი რომ შეარქვეს სიყვარულით, აღმოსავლეთის ნაპოლეონად რომ მოიხსენიებდნენ მისი თანამედროვე ევროპელი მონარქები, უკვდავი ბეთოვენი კი მისი შთაგონებით წერდა თავის გმირულ სიმფონიას წარწერით: აღმოსავლეთის ნაპოლეონს.

გველირსება კი სამეფო სივრცის მეფური ლირსებით აღდგენა?! – მურმან ლებანიძისა არ იყოს ეს კითხვა ჩვენც ლახვრად გაგვჩრია გულში, რადგან ისევ დიდი მურმან ლებანიძისა არ იყოს „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გაგვაჩნია“...


* ნაცეპის მიერ მინგრეულ-მონგრეულ და ათხრილ-დათხრილ სამეფო სივრცეში სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე დაზვერვითი სამუშაოების მონაწილე არქეოლოგებმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველაზე მთავარი დღეს ციხე გალავნის გადარჩენაო!...

- თუ გალავნის საძირკვლის ირგვლივ არ მოეწყობა დავარსადენები, შესაძლოა საძირკვლები ჩამავალმა წყლებმა გალავანი დაანგრიოს! – ითქვა მაშინ შეხვედრაზე.

ჩვენ არ ვიცით გაკეთდა თუ არა რამე ამ მიმართებით, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ კომპეტენტური კომისიის ეს დასკვნა შეგვეხსენებინა მათთვის, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება ევალება.

** აქ ხაზგასმა იმიტომ გავაკეთეთ, რომ ქანდაკებების ავტორებმა, მსოფლიო ბიენალეს მონაწილე მოქანდაკეებმა ხაზგასმით მითხრეს მათგან ინტერვიუს აღებისას, რომ მათ მიერ შექმნილ ამ ნამუშევრებს ჩუქუნიდნენ ქალაქს და რომ თელაველებს შეეძლოთ თავიანთი შეხედულებისამებრ განეთავსებინათ ისნი ქალაქის სხვადასხვა ადგილზე და ახლებური შტრიხით გაემდიდრებინათ დიდი ისტორიის, დიდი კულტურული მემკვიდრეობის ქალაქი ჩვენი.





თვალსაჩინო ქართველ მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და ჩვენს მეგობარს გიზო თავაძეს 60 წელი შეუსრულდა. კახეთის მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და უურნალ „ოლეს“ რედაქცია გულმეურალედ ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, უუსურვებთ დღეგრძელობასა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

გული მისცეს გულისათვის...

60-ს მისჯარებია ჩვენი, ერთ-ერთი, გამორჩეული მეგობარი, ბრწყინვალე შემოქმედი და ბრწყინვალე ქართველი ბატონი, გიზო თავაძე. იგი 15 წლის წინ ეწვია კახეთის მწერალთა ასოციაციას და იქიდან დაედვა სათავე ორი სამხარეო მწერალთა ორგანიზაციის – იმერეთისა და კახეთის მეგობრულ და შემოქმედებით ურთიერთობას, – პერიოდულად ვპეჭდავთ ურთიერთ ლიტერატურულ მასალებს უურნალ „განთიადში“, გაზეთ „უქიმერიონში“ და უურნალ „ოლეში“.

ასე იყო 2006 წლისაც, როცა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ 50 წლის იუბილე მიულოცა მგოლას და გამოაქვეყნა მისი შესანიშნავი ლექსები: „საუბარი შვილთან“, „სამშობლოს ჩიტი“, „ქრისტეშობისთვე კახეთში“, „ნატვრა“ და „მინდა“.

კახეთით მოხიბული, მზიან სტრიქონებს უძლვის დიდი ერეკლეს სატახტო ქალაქის შემოგარენს: „წამომართულინ ძველი კოშკები, ფრენას მზაობენ, ვით სადღეგრძელო, აქ, ოდენ, მზით თუ, გაითოშები, ქრისტეშობისთვის, ალაზნის ველო... ვინ გაშენებდათ, რა ძალა ედოთ მუხლიში, თუ, მკლავში, ან კოურებს სითბო, ვინ უწილადა, რომ ბარს და ერდოს დღემდე გადმოსდით ღვთაებრივ სიტკბოდ“...

განსაკუთრებით, საზღასმით უნდა ალინიშნოს ბატონ გიზოს დიდი მამულიშვილობა. 2010 წელს, კახეთის მწერალთა ასოციაციას გვინდონდა მინიატურული ანთოლოგის სახით გამოგვეცა კახეთში მოღვაწე პოეტების ლექსები, ქალაქ თელავის მაშინდელ ხელისუფლებას ვთხოვეთ წიგნის დაფინანსება. როცა მათი, ცივი უარით შევწიქებდით, ჩვენთან, სტუმრად მყოფმა, ბატონმა გიზო თავაძემ მოისმინა ჩვენი გულისტკივილი და აღვითქვა, შეაწუხებდა ქუთაისის შესაბამის სამსახურებს და გამოსცემდა სანუკვარ წიგნს. ქართული სიტყვა ქართულ საქმედ აქცია და 2010 წელს გამოსცა შესანიშნავი, სამახსოვრო წიგნი: „ირმების გადმოსახედი“.

წიგნის წარსდგენისთვის ქუთაისში მიგვიწვიეს კახეთის მწერალთა ასოციაციის მესვეურები და დიდ, საზეიმო ვითარებაში აღინიშნა სამაგალითო საჩუქრის ცერემონია. სამაგალითოა იმერეთში და კახეთში მოღვაწე მწერლების მეგობრობა და, როგორც ვთქვით, სათავე ბატონმა გიზომ დაუდვა.

კახეთის მწერალთა ასოციაცია დიდი მადლიერია მისი და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს საიუბილეო თარიღს, 60 წლის ღირსეულად დაგვირგვინებას, უუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ახალ-ახალ წარმატებებს – ერის, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

ფარნა რაინა



მე გიზო თავაძე ისევ 28 ნლისა მგონია!

აკაკი დაუშვილმა დამირეკა გიზო თავაძე 60 წლის შესრულდა.

მე გიზო თავაძე ისევ 28 წლის მგონია!

ჩვენი ძმობაც თურმე 32 წლისა ყოფილა!

უფრო მეტიც, საუკუნოვანი ასაკისა, რადგან ჩვენი ტეივილები სამშობლო ქვეყნის ნარსულზე, ანმცო-
სა და მომავალზე ყოველთვის ერთმანეთის თანმხვედრი იყო, ჩვენ ერთიან ძმურ ფიალაში ვდარდობდით
ქვეყნას და გვეიმედებოდა მამულის ეროვნული მომავალი.

უამ-წლები როგორ შემოგვეპარა,

კარს მოგდგომია წელი სამოცი.

შენ მხრებით მოგაქვს შენი ქვეყანა,

სარდლის აბჯრით და ბერის სამოსით.

გლოცავდეს დედა ლვისმშობელი და,

უნმინდესი და, ბერი სალოსი...

ძვირფასო ძმაო!

მხურვალე გულით და ძმური სიყვარულით გილოცავ იუბილეს!

გახსოვს? ჩვენი სიჭიბუკის გარიურაუზე, ჯერ კიდევ, ეპისტოლარული უანრის ზეობისას მწერდი: ბიჭო
ცოლი მოვიყვანე, ბიჭო ბიჭი შემეძინა, ბიჭო გოგო შემეძინა და თუთია დავარქვიო.

მე გპასუხობდი: შენი თუთა და თუთაბერი დამიკოცნე-მეთქი.

ახლაც გეტყვი, მომიკითხე ჩემი დაიკო თამთა – თამარ.

შენი თუთა და თუთაბერი დამიკოცნე.

და კიდევ შვილიშვილ-შთამომავლობა დამიკოცნე.

სხვარულიანი განცდებით გინერ მოკითხვის ბარათს, დიდებულო ქართველო პოეტო, რაინდო და სამ-
შობლოსთვის დამაშვრალო მამულიშვილო

ხსნილგყოს შენ ღმერთმა თაობიდან თაობაში ძვირფასო ძმაო!

მრავალუამიერ!

დღეგრძელი იყავ!

13



მამა ილია (ნუგზარ ჩიკვაიძე)

სამშობლოს უანგარო მსახური

სამშობლოს უანგარო მსახური, ერთი წინადადებით ასე შეიძლება დაახასიათო გიზო თავაძე: შესანიშ-
ნავი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მართალი კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გიზო იუმორის შესანიშნავი ნიჭითაა დაჯილდოებული მის ნაკალ-
მარს ერთი თვალის გადავლებით ვერ წაიკითხა. საჭიროა წებისყოფის მოკრება, გააზრება. სხვანაირად
არც შეიძლება იყოს, ის ხომ იმ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელია ზვიად გამსახურდია და მერაბ
კოსტავა რომ ედგნენ სათავეში. მისი შემოქმედება სათანადოდა დაფასებული და გვეამაყება, რომ მრავალ
ჯილდოთა შორის თელავში გამომავალ სალიტერატურო უურნალ „ოლეს“ პრემიაცაა.

ქუთაისის კულტურის სამსახურის უფროსად მუშაობისას, ბატონმა გიზომ, ბევრი რამ გააკეთე ქუთაის-
სა და თელავში მოღვაწე მწერლების დამეგობრებისთვის. ამის ნათელი დადასტურება ქუთაისში გამოცე-
მული კრებული – „ირმების გადასახედი“, სადაც კახეთში მოღვაწე პოეტების ლექსებია თავმოყრილი.

გიზო თავაძე, დიდი მწერლის, რეზო ჭეიშვილის დაწყებული საქმის ღირსული გამგრძელებელია,
რამეთუ მისი რედაქტორობით გამოცემულ უურნალ „მწვანეყვავილას“ წომრები მაღალი მწერლური
გემოვნებისა და სინდისიერების დასტურია.

მხოლოდ იმ ქვეყნებს გააჩნიათ მომავალი სადაც წიგნის, სიტყვის, ხელოვნების კულტია გამეფებული.
ჩვენი ისტორიაც ამის დასტურია. იმ მეფების ხელში ვიყავით ძლიერები, რომლებიც ლიტერატურას, ხე-
ლოვნებას ეთავგანებოდნენ. საამისოდ დავით ალმაშენებლისა და პატარა კახის ხსენებაც კმარა. ღმერთმა
ქნას, ასეთი დრო საქართველოშიც მალე დამდგარიყოს და ქვეყნის სასიკეთოდ კიდევ უამრავი ჩანაფიქრი
განგხორციელებინოს.

60 წელი ისე გალიე არჩეული გზიდან არ გადაგიხვევია. რა გისურვო? იცხოვრე ისე როგორც აქამდე
გიცხოვრია: პატიოსნად, მოუსყიდველად, სხვების შემწედ და ქვეყნისთვის თავშენირულ მოღვაწედ. და რაც
მთავარია, კიდევ არაერთი გამორჩეული ნაწარმოებით გაგეხარებინოს მკითხველი.

აკაკი დაუშვილი

„ოლეს“ დღევანდელ წომერში გთავაზობთ გიზო თავაძის მოთხოვნას „ჭოლა სერდუხის გაუჩინარება“ და
ჩანაწერს „კახეთო, ჩემო კახეთო...“

ოლეს №1, 2019



ელდარ შიგიაშვილი

14



მარტინ შიგიაშვილის კრებულის გვ. 1

ელდარ შიგიაშვილი

არქ რა ყოფილა ტუივილი,
არქ ფრთი ყოფილა მკურნალი,
სულ ერთი ოხვრა ყოფილა
მადლობა და სამდურავი!
მივდივარ, მივდევ ხროვა
თეთრი ნისლების ზორიალს,
თურმე ტუივილს და სიხარულს
ერთი ხათავე ჰქონია!

ე. ჭიჭიაშვილი

არ ვიცი...

არ ვიცი, საით წავიდე,
საით გავწალდო გუმანი,
დავდივარ, დამაქვს საუნჯედ
გულს სევდა განუკურნავი.
სადაც კი დავაკაკუნე,
ყველგან მომკერძეს უარი,
არვინ ისურვა, ვყოლოდი
ეგზომ ღარიბი სტუმარი.
თანდათან ცეცხლად მესობა
ჭანგი, სულისა მწურავი,
საკბენლად შემომსისნებს
ყელს მოხვეული მცურავი.
არც რა ყოფილა ტკივილი,
არც დრო ყოფილა მკურნალი,
სულ ერთი ოხვრა ყოფილა
მაღლობა და სამდურავი!
მივდივარ, მივდევ ხბოსავით
თეთრი ნისლების ბორიალს,
თურმე ტკივილს და სიხარულს
ერთი სათავე ჰქონია!
ხანდახან მინდა ღიმილი
პირზე მზის სხივად ვიფინო,
ყველა ტკივილი დავმარხო,
ტირილის ნაცვლად ვიცინო!
არ ვიცი, საით წავიდე,
საით გავწალდო გუმანი,
დავდივარ, დამაქვს საუნჯედ
გულს სევდა განუკურნავი!



პოეზია

ზოის ცაშაპიცე

¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶
¶

მიძვრება სული ჩემი საკუმლის ვიწრო ჭრილითან
და შენგნით ქმნულ მთებს, წალიტურილო, ეალერისება,
ო, როგორ მინდა ხელისასმული შენგან ვიყო და
მერქვას პოეტი, გითხრას ქერა ჩემმა ლუქსერმა.
ატმის ყვავილთა ფურწლებია თიტქოს სიტყვები,
ჩემს რვეულში რომ მოვთვიან ფიფქა რითმებად...
თან მახლოვს შიში, შენკენ სავალ გზას რომ მოვყენი,
სითამამით რომ არ შევწოდონ ჩემმა ფიქრებმა...
თავდახრით მოძაქვს მე შენამდე ლუქსი კრძალული,
სავსე შენდამი მორჩილებით და სიუკარულით.

ზ. ვაჟაპესი

15



შენი დიდების მარადისონი

უფალს

მინდა უთხრობდეს საუკუნეებს
შენს ქებულობას ჩემი ლექსები...
მე შენით ვიშვი, შენით ვცოცხლობ და
შენით იცოცხლებს ჩემი ფესვები...
და მინდა დარჩეს უწმინდეს ფურცლად
ეს სიყვარული დიდი და წრფელი,
მინდა, ჩემს შემდგომ თაობებს ვუთხრა,
რომ ცოდვათაგან ხარ ჩემი მხსნელი,
რომ შენ ხარ ძალა ბოროტის მძლევი,
რომ სიბრძნე არის შენი მზის ცნობა,
უგალობებენ საუკუნენი,
შენი დიდების მარადისობას!

იესუ

გურამიშვილის მოტივზე

ტაძრად კრძალული მოველ და...
ლოცვით გავედრებ მშიერ სულს.
გამიღე შენი კარიბჭე, შემოსვლად ლირს მყავ, იესუ!
ვერ დამითვლია ცოდვანი, ვნებებმა ჩემს სულს სძლიერსო,
გთხოვ, შემიფარო შენს ფრთხებქვეშ, კაცომოვარეო იესუ!
ისმინე ჩემი ვედრება, გულით გთხოვ გულთმეცნიერსო,
დავეცი, სულით ვნებული, შენ აღმადგინე, იესუ;
ჭირი ბევრი მაქვს... თუმც შენით, დარდებმა ვეღარ მძლიერსო,
სიმხნე შენ მომეც, კეთილო, აქსელს თავისი მიეზღო...
შენით ვწერ... ვუმღერ სიცოცხლეს, ხან ციურს, ხან მიწიერსო,
მგოსნობას შენით მოველი, ტკბილო უფალო იესუ;
ბევრჯერ მებრძოდა ბოროტი, დამტეს და დამაქციერსო,
მაგრამ სულით ვერ გამტეხეს, მცველად შენ მყავდი იესუ;
მამით ობლობა ვიგემე, დარდს და სატკივარს მწიერსო...
შვილად მიმიღე, მძველელად შენ მომევლინე იესუ;
მარადიულო ნათელო... სანთელო ჩაუქრობელო...
ტკბილო, სულისა დამხსნელო, ჩემდა ნუგეშისმცემელო.
მომიძიე, არ დამკარგო, შენკენ სვლით მუხლებნაკანწრი...
განმიღე თვალი გონების, რომ გითხრა სიტყვა საკადრი.

ოქმა, №1, 2019



ვითარცა სავსე თავთუხი, მასწავლე ვიდგე თავდახრით,
არც ერთი ჩემი ნაბიჯი, არ იყოს სხვათა საძრახი.
რომ შენკენ სავალ ბილიკზე, არ გადამიცდეს ტერფები,
სიკეთის სხივად ამანთე, ვითარც ეს შენს შვილს შეჰქორის.
აღვავლენ ლოცვებს... იმედით, ვუცქერ ცას, თვალსაწიერსო,
მოვილტვი შენკენ, აღმართზე შენ მომეშველე, იესუ;
თვალახლილი მატარე, მინდა ვაკეთო, რაც შენ გსურს.
არ მიმატოვო, გეძახი,... იესუ!.. იესუ!.. იესუ!..

Р.С. ქრისტიანული პოეზიის IV ფესტივალზე ლექსმა ფესტივალის მთავარი პრიზი „წმიდა ნინოს ჯვარი“
დაიმსახურა.

16



უფალო, ერის დამხსხელო

დამხსნელო ტყვეობისაგან, საყვარელისა ერისა,
კაცთმოყვარეო, შენი გზა ბოროტებამ ვერ შენისლა.
დაეც მეფენი, შემოკლდა მეფეთა დღენი მზისანი,
სეონი ამორეველთა, ოგ, მეფე ბასანისა.
ინებე, ორად განაპე, მთანი და ზღვა მეწამული.
რომ შენ ერს, ტკბილად ეგემა თაფლოვანება მამულის.
ვერ გიცვნეს, გული გატკინეს, სევდა გათოვდა... გაწვიმდა...
მამისა შენით, ძევ, შენი, გზა აელვარდა... განპრწყინდა...
კიდით-კიდემდე გადაწვდა შენი ლვთიური სინათლე.
მთელი სამყარო გაათბო შენმა სიბრძნემ და სიმართლემ.

* * *

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მოქმედი არს“.

(იოანე 15:1)

შენთვის შექმნილ სადიდებლებს, შევადარებ ბრილიანტებს.
ვიცი, უფრო დიდი შუქით უნდა ვქმნიდე სიტყვებს საქებს.
მეუფეო კაცთმოყვარევ, შეგთხოვ შენს მადლს ნუ მომაკლებ,
რადგან გულწრფელობის ტაძარს, სიყვარულის ფიჭით ვაგებ.
შენ იმდენი მგოსანი გყავს, მე ვერ ვიტყვი სიტყვას ახალს,
შენ ისეთი მნათობი ხარ, ისეთ მაღალ მთაზე დგახარ,
იქნებ, ჩემი სიტყვის სხივით, ვერც შევიძლო შენი ნახვა,
ვეღარ შევძლო საკადრისად, ჩემს განცდათა გამოსახვა.
მაგრამ გწამდეს, ეს პწკარები... წმინდაა და გულწრფელია.
ვით კარიბჭე დიდი ტაძრის, შენ საქებრად ვარ გულლია.
ყველა ბერა ჩემი სიტყვის მესახება ვარდად, იად.
მათი სუნთქვის შუქ-ალები შენკენ მოდის, კრძალვით კრთიან,
ზოგჯერ ვფიქრობ, დამრა წყარო, ამოთავდა შუქ-ჩრდილები.
მაგრამ ისევ, ვით ფუტკრის სკა, სიტყვის თაფლით ავივსები.
ისევ ვამბობ სადიდებელს, ისევ ცისკენ ვიხედები,
მინდა, მისწვდეს შენს ტახტრევანს ჩემი გულის ტკბილი ხმები...
შენ ვაზი ხარ მე კი ლერნი, სიყვარული გვაქვს ფოთლებად.
ლამპრად მიმიდვება მე წინ შენი ბრძნული ათი მცნება.
ვრჩები მე შენს სიყვარულში, უკეთესი სხვა ვერ ვნახე,
ვიცი, შენ თუ გეყვარება, შემიყვარებს მევენახეც.



თან მახლოვს შიში

„ნეტარ არს კაცი მოშიში უფლისა,
მის მცნებათა ფრიად მოყვარული“

ფს. 111:1

შენს სადიდებელს ვწერ, ღმერთო, ისევ,
ფერუცვლელია ოცნებათა ლურჯი მანტია.
ჩემი ლექსები აბინე ლიბანის ტყისებრ.
შენს სადიდებლად შემაგებე ლოცვით განთიადს.
მიძვრება სული ჩემი სარკმლის ვიწრო ჭრილიდან
და შენგნით ქმნულ მთებს, ცადაბჯენილთ, ეალერსება,
ო, როგორ მინდა ხელდასმული შენგან ვიყო და
მერქვას პოეტი, გითხრას ქება ჩემმა ლექსებმა.
ატმის ყვავილთა ფურცლებია თითქოს სიტყვები,
ჩემს რვეულში რომ მოცვივიან ფიფქა რითმებად...
თან მახლავს შიში, შენკენ სავალ გზას რომ მოვყვები,
სითამამით რომ არ შეგცოდო ჩემმა ფიქრებმა...
თავდახრით მომაქვს მე შენამდე ლექსი კრძალული,
სავსე შენდამი მორჩილებით და სიყვარულით.

17



* * *

შენით წვიმს და... შენით თოვს და... ეს ღრუბლებიც შენით არის...
ასე ვფიქრობ რა ხანია, რაც შენი მზე შევიცანი.
შენით არის ჩემი ყოფა, ეს სტრიქონიც შენით არის,
ჩემი ოცნებების ბალი, შენით ხარობს... შენით ჰყვავის.
კაცსა ბრძენსა შენ გარეშე, ნიჭი თქმისა არ ეძლევის.
თავად ბრძენო მამავ ჩემო, ხარ ტკივილთა ჩემთა მძლევი.
შენ გარეშე ჩემს შენდობას, სულის დახსნას შეძლებს ვერვინ.
ბედნიერი ვარ მე, როცა სიხარულის მაქვს ნამცვრევიც...
მადლის დაუნახაობა კაცთა მიერ არის ცოდვა,
ცოდვა არის სხვათა ჭირის ვერ გაგება, განზე დგომა.
განა ქვეყნად ძალუძს ვინმეს, რომ არ ჰქონდეს რამ შეცდომა.
კაცმა სიყვარულისათვის უნდა შეძლოს წვა და ბრძოლა.
არ ეგების, ყოფა საზღვრო მხოლოდ სატკივრით, წყენით,
კეთილისა არ დანახვა, ბრმად სვლა კაცსა არ ეგების.
მიხარია, როცა ვხედავ, მიჯრით როგორ დგანან მთები.
სიყვარულით ვივსები და მარტოსულის გვერდით ვდგები!
ღმირთო, შეგთხოვ, გაგვიმრავლო, კეთილგულა სიტყვის მთქმელი.
როცა სიკეთით ვართ სავსე, უკეთ დავალთ, უკეთ ვმდერით.
ვფიქრობ, ხესაც სამეგობროდ, აქვს განვდილი ტოტი – ხელი.
იქნებ ახლა ეს ნიავიც, ჩემდა გასახარსა მღერის...

მსურს წმინდა გულით გეახლო

ვინვი, ალმურით ცოდვისა, მადლითა შენით დამცვარე...
სინათლე შენი რწმენისა მე ვერაფერში გავცვალე.
მსურს, სული გადავაფინო, შენით ნაშენებ ამ მთა-ველს,
შენა ხარ ჩემი საწყისი, დღეთა დინების სათავე.
მსურს წმინდა გულით გეახლო, როს მოვა ჟამი განკითხვის,
მსურს, ვიყო სულით ნათელი, შენთა სიბრძნეთა ნაკითხი,

ოლქ, №1, 2019





შენ შეგდალადებ უფალო, ღმერთო და ძეო დავითის.
 შემაძლებინე ისე თქმა, რომ გაგახარო ამ წიგნით!
 მწადია, სადიდებლებით, მოვიდე შენთან ლამაზად,
 ვით მივა კარგი ასული, თავის საყვარელ მამასთან.
 თუ ესე ნატვრა ამიხდა და ჩემი სული ამალლდა,
 შეცდომებს თვალი არიდე, ინებე ძებნა ალმასთა!..

* * *

თვალს ნუ მომარიდებ ლოცვად ხელაპყრობილს,
 უფალო, ვედრებით მოვსულვარ აე ისევ:
 მახვილებისგან ვჭედავდე სახნისებს,
 აღარ განმეორდეს ძმათა კვლა, ომი.
 ყაყაჩოებად ამოდის სისხლი...
 ჩვენი ბიჭების, ჩვენი ლომბულების...
 დედათა თვალებზე ცრემლი დუღს ულევი,
 მთა სევდიანი იბურვის ნისლით.
 გვაკმარე უფალო, ტკივილი, სიმწარე,
 მზე ნალვლიანია და მთვარე მწუხარე,
 ეს მიწა ღმრთისმშობლის წილხვედრია.
 სიბრძნით გვაძლიერე, შეგვმოსე სინათლით,
 გვატარე შენი გზით, სიკეთით, სიმართლით...
 უფალო, საბაოთ – ქართველნი გვედრიან.

ფულფეს მირონი

ყოველნამს ჩვენთან გიხმობ სანატრელს,
 უფალო, შენი მადლი გვათოვდეს...
 შემოგდალადებ, როგორც მახლობელს.
 შენი შუქ-სხივი შემოგვანათე.
 მტრედთა ღულუნი ატებობდეს ჰაერს.
 ვერას გვაკლებდეს მტერი ვერაგი.
 შენი მშობელის წილხვდომილ მხარეს,
 გთხოვ, გადააცვა ჯაჭვის ჰერანგი,
 მრავლობდნენ შვილნი... ხარობდეს კერა...
 დუღდეს მირონი მცხეთას და გელათს...

* * *

ვინ დათვალოს სევდის დღენი... ღამე ფიქრით ნათენები...
 გული მტკივა, გაიხიზნენ სადლაც ჩემი ქართველები.
 გოდებს მიწა... მოწყენილნი ფრენენ ციცინათელები.
 მოუმრავლდა ჩემს ქვეყანას სულ უცხონი... სხვა ფერები...
 ჰე, უფალო, ჩემი ბალი, შენი ნებით ნაშენია.
 სე, ყვავილი, ქვა, ბალახი, ზღაპრულია, სამშვენია,
 ვფიქრობ, თბილი ქარის ფრთხები... შენი დედის კალთებია...
 და ამ ზღაპრულ მიწის მკვიდრი, შენი ნებით ქართველია!
 შენი ნებით ხდება ჩვენთან, მზიან დილის გათენება,
 შეგთხოვ, დაგვაპურე მადლი, შევძლოთ ბრძოლა და შენება,
 იყოს ღმერთო, შენი ნება, ჩემი გულის გამრთელება,
 შენი დედის წილხვედრ მხარეს, უპატრონოს ქართველებმა!



გიზო თავაძე

სამართლის სამსახურის მინისტრის მიერ გამოცემის შესახებ

ანგელიაზე მეტად ფოლა გრძიშვილა ამ მფლობელობას, არადა, მეასედ მანქანი ათევიდა ლამეს აქ. შეუძლო მთელი ლამე არ დაეძინა, აიგანზე დამჯდარიყო და ლექსიზი ეკითხა ანგელიასთვის. არ ემეტებოდა ეს ქალი სანოლისათვის, უგონა ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. მთელი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კორის იქით არ გაუხედავთ, არ უფიქრიათ... ფოლას არ უფიქრია, თორემ, რო ეფიქრა, რა შეუძლიდა ხელს?..

გ. თავაძე

19



სამართლის სამსახურის მინისტრის მიერ გამოცემის შესახებ

ზოლა სერდუხის გაუჩინარება

ჭოლა სერდუხი ქართველი იყო. ქართულის გარდა, არცერთ ენას არ ფლობდა. ორგვლივ სულ ქართველები ცხოვრობდნენ, ანკი საიდან ისწავლიდა სხვა ენას. მისი გვარის კაცი (არც ქალი) თელავში არ მოიძებნებოდა. მამაც ლანდად ახსოვდა, ხმელი, შავულვაშებიანი კაცი, რომელიც ყოველგვარ სეიფს წუთებში ხსნიდა, გასაღებს არგებდა და იმ სეიფებს გადაყვა კიდეც. ბაქოში დიდი ბანკი გაიტანეს ქურდებმა, მაგრამ ჩავარდნენ და... ერთ-ერთი გატეხეს, რომელმაც ხელი სეიფოლა სერდუხს დაადო, „ამან გაგვიკეთა გასაღებიო!“ თხეთმეტი წელი მიუსაჯეს, ციმბირში უკრეს თავი და არც დაბრუნებულა, იქვე მიაბარა სული უფალს; ამბობდნენ, ფული წააგო ტუსაღებთან და იმათ გაასაღესო. იქედან ცნობა ჩამოუვიდა ჭოლას დედას, მშვენიერ ქალბატონს, რომელსაც ერთადერთ იმედად ჭოლა შერჩა, რომელიც იმუამად ოთხი წლისა იყო და თელავის მესამე საბავშვო ბაღში სწავლობდა. ქალბატონი თინიკო უშიურვილი ტანგარჯიშის მწერთნელად მუშაობდა სპორტულ სკოლაში. ყოფილი სპორტსმენი, შეისახოვდა ანიკო და ხელა ავადი სახალისისათვის დაატარებდა, ხანაც კარატეზე, რაც შემდეგ ბევრჯერ გამოადგა ჭოლას. შვილის შეკითხვაზე, სადაური წარმომავლობის გვარია სერდუხი, დედა პასუხობდა: „ქართულია შვილი, თუმცა მამაშენის წინაპრები, უძველესი საქრისტიანოდან ასურეთიდან იყვნენ“. ვიღაც სტუდენტს ძველისძველი დავთარი უჩვენებია, რის შემდეგაც დაიჩირა, გაქართველებული ყივჩაღები ვართო. დედა-საც ნშირად ეუბნებოდა „ადამიანო, რა ჯიშის კაცს მიყვებოდი ცოლად, როგორ ვერ გაიგეო...“ თინიკო იცინდა: „სულით და გულით ქართველი იყო, სხვა რა უნდა გამეგონ.“

სამი ფაკულტეტი გამოიცვალა (უნივერსიტეტში უამრავ გოგონას უყვარდა) და შეიძლიანი სტუდენტობის შემდეგ, ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, მმობლიურ სკოლაში, სადაც რამდენიმე გასათხოვარი პედაგოგი უჟუჟუნებდა თვალებს. დედაც ეხვენებოდა (ამ დროს 25 წლის იყო): „აირჩიე რომელიმე და შეილიშვილებს მომასწარი, ხომ იცი, სხვა სიხარული მე არ გამაჩინაო.“

„დედო, ამათ ყველას უუყვარვარ და მეც ყველანი

მიყვარს, აბა, რომელ ერთს დავწყვიტო გული?!“ – ღლაბუცობდა ჭოლა და ორმოც წელსაც გვარიანად გადაცილდა ხუმრობა-ხუმრობაში.

ორმოცდასამისა იყო დედა რომ გარდაეცვალა და მარტივდმარტო დარჩა. ქალები ამ ასაუშიც კისერზე ეკიდებოდნენ, მაგრამ გენეტიკა, სხვას კარნახობდა, აუცილებელი იყო, – ოვაზი და შთამიმავლობა!

დედოს წლისთავის შემდეგ დაოჯახდა. ორმოცდახუთისა კი მამა გახდა. ოჯახმა სხვა სული შთაბერა თითქოს, მაგრამ ჩვეულებას ვერ დალატობდა, ხან სად ათევდა ღამეს და ხან სად. ცოლას, – რომელიც ხუთიოდ წლით იყო მასზე უმცროსი, – ამბავი მიუტანეს, გლაბატობსო. ანიკოს (ლიქოკელი გახლდათ გვარით), რომელიც უკვე მეორე ბავშვს ელოდა, ეგონა, ვიღაც ქალი ურევს თავ-გზასი (არადა, ბლომად იყვნენ) და ჭოლა გააფრთხილა: „კიდევ გავიგებ ამგვარ რაიმეს და ჩემებთან დაბრუნდებონ.“ რაღა უნდა ექნა, ალარ რჩებოდა ღამით სხვაგან, შუალამეც რო ყოფილიყო, შინ ბრუნდებოდა. უმეტესად ნასვამი, რადგან იცოდა ცოლის ეჭვიანობის ამბავი. „გასკდი დღესაც!..“ ეტყოდა ანიკო და გადაბრუნდებოდა კედლისკნ, ზურგს შეაცევდა. ეს კიდევ ზურგზე მოეფერებოდა, აკოცებდა, გადმოაბრუნებდა, რაც ქალს მოალბობდა, ალაგზნებდა და რაგინდ ყელში ამოსული ჰქონიდა ქალის ალერსი, უნდა აღესრულებინა კაცის ვალი. მადლობას სწირავდა გამჩენს შეძლებისათვის. რომ არ შეძლებოდა, ხომ დაიღუპებოდა. ქალს შენ გამოაპარებ რამეს!..

ბავშვებიც წამოიზარდნენ; ბალში მიაბარეს ორივე და ანიკომაც იშვია სამსახური. ამასობაში ჭოლა ორმოცდაათი წლის გახდა. სამეცნიერომ ყვარლის ტბაზე აღუნიშნა იუბილე. თითქოს ცხოვრება დალაგდა და თავისი გზით მიედინებოდა, როცა სკოლაში (ამ დროს ჭოლა სერდუხი სკოლის დირექტორი გახლდათ) ის გამოჩენდა, სრულიად ნორჩი...

* * *

ანგელაც ქართველი იყო.

დიდი ბიოგრაფიის მქონე როგორ იქნებოდა, ოცდაშეიდი წელი ახლახან შესრულებოდა. იზრდებოდა საშუალო შეძლების ოჯახში, იმერეთში, ხარაგაულში.





სტუდენტობისას გათხოვდა, დედაც სტუდენტი გახდა. მერე კიდევ ორი შვილი გააჩინა და როგორც კი პატარები წამოიჩიტნენ, ბალში მიაპარა. უფროსი სკოლაში დადიოდა უკვე. ოჯახში დათათბირების შემდეგ გადაწყდა, რომ სკოლაში დაეწყო მუშაობა (თუნდაც რამდენიმე საათი მიეცათ).

ბედმა (თუ ბედის ირონიამ) იმ სკოლაში მიიყვანა, სადაც დირექტორი ჭოლა სერდუხი გახლდათ. მორიგებით დააკაკუნა კარზე, საიდანაც „მობძანდითო, – გამოხმაურნენ. კარი შეაღო თუ არა, იქვე გამობრუნება დაპირა, მაგრამ დირექტორმა დაასწრო:

– დაბრძანდით, გისმენთ.

ანგელა დაბნეული დაჯდა, „ნამდვილად ისაა, რამდენიმეჯერ შევამჩნიერ, გასრტონომიდან გამოსულმა, როგორ მათვალიერებდა მანქანის ღია ფანჯრიდან, მგონი „ფორდა“, „შავი ფერის...“

– გისმენთ ქალბატონო, ხომ მშვიდობა გაქვთ? – შეატყო ქალს დაბნეულობა ჭოლამ.

– ბოდიშით, არაფერი, კითხვა მინდოდა...

– მშობელი ბრძანდებით? – ჭოლასაც ეცნო ქალი.

– არა, მშობელი არა, უბრალოდ სამსახური მინდოდა და ინგლისური ენის რამდენიმე საათი თუ...

– მომაწოდეთ თქვენი საბუთები!

„მგონი აქვე, ახლო უნდა ცხოვრობდეს, სკოლის გვერდით რომ გასტრონომია, იქ შევნიშნე საშინაოდ ჩაცმული, ოთახის წალები ეცვა, ნამდვილად ის არის.“

– იჭყლეტდა გონებას ჭოლა.

– ინებეთ ბატონო.

– კურტანიძე ანგელა. – ხმამაღლა წაიკითხა დირექტორმა.

– დიახ, ბატონო ჭოლა.

– ზემო იმერული გვარია, კახეთში საიდან?

– მეუღლე მყავს აქაური.

– თქვენ აქვე ხომ არ ცხოვრობთ?

– კი, აქვე ვცხოვრობთ, მესამე კორპუსში. – განითლდა ანგელა.

– აბა, მე ქალაქის ბოლოში ვცხოვრობ, თუმცა რა დიდი თელავია, ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ.

– თქვენ ყველა გიცნობთ, ბატონო ჭოლა.

– ახლა ბევრს ვერაფერს შემოგთავაზებთ, სადეკრეტო საათებს მოგცემთ, მერე კი... თუმცა ვნახოთ, როგორ მომაწონებთ თავს, მოკლედ ყველაფერი თქვენზე და თქვენს ქალურ ალლოზეა დამოკიდებული.

ანგელა კიდევ უფრო განითლდა, ასეთი რამ არასოდეს განეცადა, სახე უხურდა, წინ მამის ჭოლა კაცი იდგა, რომელსაც მისი ხელი, ხელში მოექცია და არ უშვებდა.

– გმადლობთ, როდის მოვიდე? – მოკრძალებით გამოართვა ხელი.

– ხელვე გელოდებით.

დირექტორის კაბინეტიდან გამოსული ანგელა კარგა ხანს არაბუნებრივად იქცეოდა. ჯერ იყო და სულ სხვა მხარეს წავიდა, სადაც წყლით სავსე ორმოებში იარა, ფეხები დაუსველდა და ცოტა შეფხიზლდა კიდეც, მაგრამ ვერც ამან იმოქმედა ბოლომდე, რადგან ტყიდან მომავალი, მორებით სავსე სარტვირთო, ლამის დაეჯახა, მანქანის გამაყრუებელმა

ხმამ და ტალახიანმა წყალმა ისე დააფრთხო, რომ ხმამაღლა შეჰქველა.

– გიუი ხარ ქალო! – გადმოსძახა მძღოლმა და გზა განაგრძო.

„აქეთ რა მინდა, ან საით მიდის ეს გზა?“ – შემობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით აუყვა აღმართს. „ახლა, ასეთი განუწული და მოთხერილი რომ დამინახოს ბატონმა ჭოლამ, მაინც მიმიღებს სამსხურში?“ – ფიქრობდა და სკოლის ეზოსკენ პარებდა მზერას, რომელიც კარგა შორს ჩანდა. „რამდენა გზა გამივლია, რა მიქნა, ნამდვილი ტელეპატია, გველივით არ მომწუსა!.. არადა, რა მისი ბრალია, მე არ მივადექი დასაკლავ ბორილასავით, მან კი... როგორი თვალები აქვს, ხელები... ახლაც ურუნტელი მივლის... პატარა ბავშვს რო მოეფერებიან, ისე მომეფერა, ხვალვე მოდიო, მეგონა უარს მეტყოდა, სადაა სამსახური დღეს ასე ადვილი საშოვი, თან როგორ მითხრა, „შენს ქალურ ალლოზეა დამოკიდებული შენი მომავალიო!..“ ნეტავ იქვე გამოვტრუნებულიყავ, ხომ დავაპირე... ვინ გაგიშვა, მაშინვე ვიცანი, ქორივით მზვერავდა... მამაჩემის ტოლია, იქნებ მელანდება ყოველი, ვაზიადებ და ვფანტაზიორობ...“

– ანგელა, ასე რამ გაგნუნა? – მეზობლის ქალი იდგა წინ.

– მანქანამ დამასველა.

მეზობელმა გავიკირვებით შეხედა და სკოლის ეზოში შევიდა. „ამის ბავშვი აქ სწავლობს, ნეტავ რა იფიქრა.“ – ნაბიჯს აუჩქარა, პატარა ხიდზე შეაბიჯა, რომლის ქვეშაც უსახელო მდინარე (რუ ან წყარო) მიედინებოდა. სახლიც გამოჩნდა. საკუთარ ფანჯრებს ახედა. „ხომ არ ვთქვა სახლში, შტატი არ აქვთ და არ მიმიღესთქო?“

ეზოში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ, მათ არც ანგელას მიახლოება გაუგიათ და არც მისი სადარბაზოში შესვლა, „კიდევ კარგი დიდები რომ არ იდგნენ ეზოში!“ პირდაპირ აპაზანაში შეაბიჯა. როცა მარჯვენა ხელი შიშველ მკერდზე ჩამოისვა, გააურულა, ცხვირთან მიიტანა და მაძებარივით დაყნოსა, „ჩვენი დირექტორის სუნი აქვს, მგონი ავიჭერი...“

დილით ადრიანად ადგა, ისევ აპაზანას მიაშურა. ხელი ისევ ეუცხოვა... მთელი საათი სარკესთან იტრიალა. არც ერთი ვარცხნილობა (რაც იცოდა) არ მოეწონა. „ნეტავ, გუშინ მივსულიყავ სალონში, მზიასთან, ახლა ვედარ მოვასწრებ, ისე, ისიც არ ვიცი, რომელ ჯგუფში უნდა შევიდე, პირველი გაკვეთილი მაქს თუ მესამე, მაინც ცხრაზე უნდა ვიყო სკოლაში, დღეს ხომ პირველი დღეა და...“

– გოგო, კინოში ხომ არ გიდებენ, მთელი საათი რომ სარკესთან ტრიალებ?! – გამოსძახა მეუღლებმ.

– ჩემთვის კინოც არის და თეატრიც, პირველად მივდივარ.

კიდევ ერთხელ შეათვალიერა (ზომიერად მოკლე) კაბა და კარი გამოიხურა.

უსახელო მდინარეზე გადადიოდა, როცა ჭოლას მანქანას მოკრა თვალი და ხიდის მოაჯირს წაეტანა. მანქანამ გაიარა, დირექტორს არ შეუნიშნავს, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა მაინც უჭირდა. ჭუჭყანმა მოაკირაობა ხელი დაუსვარა, შინ მიბრუნება გადაწყვიტა, რაც იმწამსვე გადაიფიქრა, რა უნდა ეთქვა ოჯახის წევრე-





ბისათვის? ხელსახოცი ამოილო, ხელი გაიწმინდა და სკოლის ჭიშკარი შეაღა.

— კეთილი იყოს თქვენი ფეხი! — დირექტორი ულიმოდა.

არც ახლა გაუშვა ჭოლამ გამოწვდილი მარჯვენა. ცეცხლი მოედო მთელს ტანზე ანგელას, ხელი ზრდილობიანად გამოართვა და ბავშვივით იკითხა:

— დღეს რამდენი გაკვეთილი გვაქვს?

— ზემოთ ადით და სასწავლო ნაწილი გეტყვით ყველაფერს, უკვე ვესაუბრე ქალბატონ როენას.

სასწავლო ნაწილი პომადით შეღებილი, დიდმკერდიანი ქალი აღმოჩნდა, ბალზაკის ასაკის, თამამი დეკოლტეთი და მოკლე კაბით.

„ამას ჩემზე მოკლე კაბა აცვია, დირექტორს ეპრანჭება აღბათ, შეიძლება საყვარელიც არის...“

— მეტუთე კლასში შეხვალთ! — ყელი მოიღერა როენამ.

„მგონი მეც მეცეკლუცება.“ — გაიფიქრა ანგელამ და მითითებული ჯგუფის საკლასო ოთახისაკენ გაემართა.

მეტი გაკვეთილი აღარც ჰქონია, სამაგიეროდ რამდენიმე მასწავლებელი გაიცნო. ამათგან ერთი (ფიზიკოსი), ანგელას თანატოლი აღმოჩნდა, რამაც ორთავე გაახარა, თუმცა ნინო ჯერ გაუთხოვარი იყო და ასაკიც არ ეტყობოდა.

ჭოლა აღარ გამოჩენილა. არც მანქანა იდგა სკოლის ჭიშკართან. პირველმა დღემ შშვიდობიანად ჩაიარა. პირველი კვირაც შშვიდობიანად მიიღია. ანგელას ისე ცოტა ჰქონდა საათები, დრო როგორ გაეყვანა (ჭორაობა არ უყვარდა) ამაზე იტეხდა თავს. ჯერ პატარა წიგნი (ჯემალ თოფურიძის მოთხოვნები) წაილო შინიდან, მერე საქსოვი ჩხირები, მაგრამ არც ერთი არ გამოადგა. ხან ერთი კოლეგა ესაუბრებოდა, ხან მეორე და ასე გრძელდებოდა დღის ბოლომდე. თანდათან შეეჩინა გარემოს, ყველა პედაგოგი გაიცნო. დირექტორის მიმართ გაჩენილი ეჭვებიც თანდათან გაუქრა. „რა სისულელებს ვფიქრობდი იმ კაცზე, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გახხ-სენებივარ, იქნებ მე მსურდა ასე რომ ყოფილიყო...“

— ფიქრობდა ანგელა და ყოველ დღით სარკესთან კოპნიაობდა. ქმარიც დაარწმუნა იმაში, რომ მასწავლებელი ყოველმრივ მოწესრიგებული უნდა შედიოდეს გაკვეთილზე, თორემ მოსწავლეების დასაცინი გახდება. საღამობით, ბეჭით მონაფესავით იმეორებდა სამეორდლეოდ ასახსნელ გაკვეთილს.

ამასობაში ერთი თვეც მიიღია. მესამე გაკვეთილის შემდეგ როენამ იხმო:

— გაკვეთილების შემდეგ ბატონი ჭოლა გიბარებს.

— რა მოხდა? — შეშტოთდა ანგელა.

— არაფერი, გაგესაუბრება, გაიგებს, თუ როგორ შეეჩინი სკოლას.

— როდის უნდა შევხვდე?

— ხომ გითხარი დღის ბოლოსთვის, არ მისმენდი!

— გაიპრაზა თავი როენამ.

ანგელა დერეფანში გამოვიდა. ფანჯრიდან ეზო მოათვალიერა. „წინ კიდევ სამი გაკვეთილია, დირექტორმა დღის ბოლოს დამიბარა, სახლში მისვლა-საც მოვასწრებ და...“ ჩქარი ნაბიჯით ჩამოირბინა კიბეები, შინ აქმშინებული მივიდა. კაბები გადმოალ-

აგა, შეარჩია. გადაიცვა და სარკესთან დატრიალდა. დეკოლტემ სავსე მკერდი გამოამზეურა. „ძაან გამომ-ნევევი ხომ არ იქნება?“ — ჰეითხა საკუთარ თავს. „არა უშავს, როენაზე ნაკლები ძუძუები მაქვს! იმას თუ აცვა, მე ვინ რას მეტყვის?“ კაბა კვლავ გადაიძრო და აბაზანაში შევიდა. მერე აზღუდის შერჩევა დაი-წყო. ორი თუ სამი, იქვე, სანოლზე მოისროლა, ასალი გამოილო, ცისფერი, რატომდაც ტრუსიც ცისფერი მოუწინდა და... „რავა საყვარელთან წაშვლელივით ვიქცევი!..“ — გაუელვა გონებაში და სახეზე გან-ითლდა. „თუმცა ყოველთვის აგრე არ ვშვება, ქალი მუდამ წესრიგიანად უნდა დადიოდეს,“ — დაიმშვიდა თავი. სკოლაში დაბრუნდა. კიბებზე მაინცდამაინც როენა შეხვდა.

— რავარი მორთულხარ, სადედოფლოდ ემზადები?! — დაგესალა ქალურად.

— გამომიულიან და თეატრში წავალთ პირდაპირ.

— თეატრი რვაზე იწყება ჩიტუნია...

მიხვდა რომ ჩაიჭრა, სისულელე წამოროშა, მა-გრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— მანამდე ახლობელთან უნდა შევიაროთ, უცხ-ოეთიდან ჩამოვიდა გუშინ.

— შეიარე, შეიარე, რა ჩემი საქმეა. — კიბეებს ჩაუყვა როენა.

„ნამდვილად ჭოლას საყვარელი იქნება ეგ როე-ნა, აბა, ვინ ეკითხება ჩემს ასავალ-დასავალს.“

ბოლო გაკვეთილი გამოვიდა თუ არა, ხელჩან-თა აიღო და დირექტორის კაბინეტისკენ გაემართა. მორიდებულად დააკაუნა.

— შემოდით.

— შეიძლება ბატონი ჭოლა?

— მოდი, გეთაყვა, მოდი! — ჭოლა ფეხზე წამოდ-გა, ხელი მოხვია და მაგიდასთან მიიყვანა, — აბა, მი-ამბე, როგორ მიდის შენი საქმეები, როგორ შეეჩინი ჩვენებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს, ვინმე ხომ არ გაბრაზებს და ა.შ. — სკამი მიუჩინა და იქვე ჩამო-კდა თავად.

— ყველაფერი კარგადაა, დიდებული კოლექტივია, სუსელებანი თავზე მევლებიან, მასწავლიან და ვს-ნავლობ, ასე, რომ თქვენი მადლიერი ვიქნები მთელი სიცოცხლე! — აალმურდა ანგელა.

— ძალიანაც კარგი! — ხელები მოიფშვინტა ჭოლ-ამ.

ანგელა ცდილობდა გამოეცნო, რომელი ბრენ-დის სურნელი ახვევდა თაგბრუს, რომელ სუნამოს ხმარობდა დირექტორი და ბავშურად წასცდა.

— ბატონი ჭოლა, რომელი „ოდეკალონი“ მოგ-ნონთ?

დირექტორმა გადაიხარხარა და სახე ახლოს მიუტანა.

— გამოიცან!

ანგელას თავბრუ დაესხა და ლამის სკამიდან გადმოვარდა.

— ისე გეითხეთ, უნებურად, მინდოდა მეზუქები-ნა...

— არ არის საჭირო, საჩუქრებს არ ვიღებ, ჩემთ-ვის საჩუქრარი შენი მეგობრობა იქნება.

თავზე აკოცა (პატარებს რომ კოცნიან იმდაგ-ვარად) ანგელას და თავის ადგილს დაუბრუნდა.





ვიდრე დაჯდებოდა, პარტიარქის სურათს ახედა.

ანგელა წამოდგა, დირექტორს გამოემშვიდობა და დერეფანში გავიდა. ღია ფანჯრებიდან ნიავი უბერავდა. გააურუოლა, შეცივდა კიდეც და მიხვდა, რომ სულ მთლად სველი იყო. „რა მემართება, ასე თონეში არ გავითლებოდი, ნამდვილად ჯადოქარია. თავზე რომ მაკოცა, მეგონა თავის ქალა დამიდნებოდა“. შინისკენ აჩქარა. ისევ აბაზანაში ჰპოვა შვება. ივაბშია თუ არა, „თავი მტყივია“ – უთხრა დედამთილს და ლოგინს მიძურა.

კეფა უხურდა. ვერც ჭოლას სუნამოს სურნელი მოშორა, არც უცდია. ვერაფრით მოახერხა დაძინება. წათვლემდა თუ არა, ჭოლა წამოადგებოდა თავზე... „არა, როგორ შეიძლება, კაცი ჩემზე ორჯერ უფროსია!..“ სიგარეტი მოუნდა. ქმართან არასდროს მოუწევია (დაქალებში თუ მოწევდა ზოგჯერ), ადგა, ტუალეტში შევიდა, მოუკიდა, ღრმად ჩაისუნთქა, გაიმეორა და ნამწვი ჩარეცხა. ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან. მეუღლეს გაუხდელად ეძინა დივანზე. „ისევ გამტყვრალია, ეგ უპატრონო!“ საბანი თავზე გადაიფარა. „ნეტავ ჭოლას თუ იცნობს, ეცოდინება, აյ ხომ ყველანი ცნობები ერთმანეთს, თანაც სერდუხი ყველაფრით გამოიჩინდა ამ ქალაქში, რად ამეცვიატა მისი გვარი, ან რად არ მაძინებს!.. იქნებ პირიქით, მე არ ვაძინებ, მე ავიჩემე და ჭოლას ვაბრალებ, უკვე შენობითაც კი მოვიხსენიებ მამისტოლა კაცს, დაფასებულს, პატივცემულს, დირექტორს, რა მისი ბრალია თუ ასეთი განწდა, მომხიბლელი, ნიჭიერი და... რავა, მომთხოვა რამე თუ... აბა, რას ვერჩი!..“

დილით ჩაეძინა.

იმ ღამით არც ჭოლა სერდუხს უძინია.

მის მრავალფეროვან, „ათას ერთ ღამეებში“, ათას „შერთხში“ თუ „ზუტხში“ ანუ ლამაზმანებში, ეს პატარა გოგო, საოცარი აურით, ველით, კარმით თუ... ჯანდაბით შეიქრა და თავგზა აურია საქვეყნოდ ცნობილ მექალთანეს, დონ უუანს, კაზანოვას თუ გრიშკა რასპუტინს. ერთხანს, სიყმაწვილეში, ალი ფაშასაც კი ეძახდნენ მეგობრები, პარამხანების ტრფიალს.

ახლა რაც მის თავს ხდებოდა, არასოდეს განეცადა. თუ ადრე (ვიდრე დაოჯახდებოდა) თავდავიწყებით გადაეშვებოდა ამურის ტალღებში, ბოლოს აშკარად ეკრძალვოდა, ამდგვარ ქმედებებს (მით უფრო, რაც ცოლთან დააბეზლეს).

მთელი თვე ებრძოდა თავს, რომ არ ენახა და არ დალაპარაკებოდა ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც უყოფანოდ მიიღო სკოლაში. მაინც ვერ მოერია თავს, როენას დაუძაბა და უთხრა: „გაკვეთილების შემდეგ კურტანიძე შემოვიდესო.“

– ინტერვიუსთვის მზად იყოს, ბატონო ჭოლა!..

– გაუღიმა როენამ.

– რაც გითხარი, ის გააკეთე! – ხმა გაიმაცრა დირექტორმა.

ის სამი გაკვეთილი, სამ საუკუნედ მოეჩვენა სერდუხს.

„ქველი წაბოზარია როენა, ახლა დაბერდა და იეჭვიანა, ქმარიც რავარი მწყერჩიტა ჰყავს, მომიყვანდა და მივდიოდით ერთად ხან გრიგოლეთში, ხან კვარიათში. იქ მგონი როენას ბოზ დაქალს ჰქონდა საკუთარი ბინა და სამი დღით იქ ვჩერდებოდით. ქმარს

კი ეგონა, თბილისში, ზოგჯერ ბათუმში, პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე უშვებდა ცოლს. ჩემთან იმაღლებდა კვალიფიკაციას როენა და დაუფასდა კიდეც, სასწავლო დარგში ჩემი მოადგილეა.

ერთი ქალი კი გამიქცია, ამ ოხერმა, რუსულის მასწავლებელი, მარწყვივით გოგო, ერთი თვის გათხოვილი იყო, ჩვენთან რომ მოვიდა. ოთაბში შემოგვისწრო (გასაღები ჰქონდა) მაგიდაზე რომ მყავდა ფეხებაშვერილი. სკანდალი მოაწყო; საწყალმა გოგომ, მეორე დღეს დაწერა განცხადება. მგონი წახევრად რუსი იყო. დღეს რა მითხრა, „ინტერვიუსთვის მზად იყოს?“ ესეც არ გამიქციოს, ან ჩემს ცოლთან არ დაარეკონოს ვინმეს, მე შენ გეტყვი და გაუჭირდება, ან წამუსი შეაწუხებს.

ანგელას (ცინ ოხერმა დაარქეა) ქმარიც კაი მწყერჩიტა ჩანს, სულ გამობრუული დადის...“

კარზე დააკაუნებს.

ანგელა შერჩა ხელთ.

მთელი საღამო მთვარეულივით დადიოდა, ძილქუში თენთავდა.

„ჩემი სუნამო მოეწონა თუ მართლა უნდა პატივი მცეს, თან ჩემი დაბადების დღეც ახლოვდება. გაიგებ-და აუცილებლად. თანამშრომლები ხომ უპირველესად „შეფის“ დაბადების დღეს იმახსოვრებენ, რათა ყველასგან გამორჩეული რამ აჩუქონ, ამით მზის ქვეშ ადგილს იმკვიდრებენ. ზოგი ამ დროს, საკუთარ თავს თავიზობს „შეფის“ ზვარაკად; როენამაც მაგრე არ გააკეთა. ნეტა იმ დროს, რა თავისუფალი ვიყავი...“

ასეთ ფიქრებში ჩაეძინა და ესიზმრა ანგელა. თმებს ჭრიდა და ჭალარებს ითვლიდა. მაკატელს მოუხერხებლად ხმარობდა, ყურსაც კი შეახო ერთი-ორჯერ, თუმც უსისხლოდ მორჩა ყოველივე, მერე აპაზანში ეპატიუებოდა, თავი უნდა დაგბანოო. შეშინებული წამოვარდა ჭოლა, რისი თმები, რა აბანო, ეგ მინდოდა, ჩაილაპარაკა თავისთვის.

– რა იყო ჭოლა, რატომ ბორგავ? – კითხა ცოლმა.

– რაღაც სიბითურე მესიზმრა.

– ქალები?

– არა, დალაქი, თითქოს თმას მკრეჭდა და ყურიც მიაყოლა.

– დაიძინე, ხვალ ანეტას ვკითხავ, რას ნიშნავს ეგ სიზმარი.

ჭოლამ გვერდი იცვალა. „ეგ ქალები მოცლილები არიან, ანეტა ბითურს რა უნდა კითხოს ადამიანმა, ისე, ანეტა მგონი ანგელას მოპირდაპირე ბინაში ცხოვრობს. ნეტავ, ანგელას თუ სძინავს ახლა მშვიდად, საღამური პერანგი აცვია თუ...“

მეორე ღამესაც იგივე განმეორდა. შუალამისას ადგა და მეგობრის მოეკითხული თუთის არაყი (0.5 ლ) სულმოუთემელად დალია. ნახევარ საათში უგონო მთვრალი იყო. ისე ღრმად ჩაეძინა, დილით ცოლმაც კი, რის ვაი-ვაგლაბით გააღვიძა. თავი ვერ ასწია, ისევ მთვრალი იყო. როენას გადაურეკა, „წნევა მაქვს და მოგვიანებით მოვალონ.“ შუადღე გადასული იქნებოდა, რომ გაიღვიძა. გრილი წყლით დაიბანა და სკოლისკენ წავიდა. მაღაზიასთან მანქანა შეაჩერა და მინერალური წყლის შესაძნად საფულე გახსნა.





– გამარჯობათ ბატონო ჭოლა. – გაუღიმა ან-გელაშ.

– აქ საიდან, გაკვეთილები დამთავრდა? – იყითხა დაბნეულმა.

– მე აქვე ვცხოვრობ, ხოლო გაკვეთილები ერთი საათის უკან დამთავრდა?

– ახლა შინ მიდიხარ?

– დიახ, პური და მანონი უნდა ავუტანო დედამ-თილს.

– აიტანე და ჩამოდი, მინდა მოგეთათბირო!

– ახლა ბატონო ჭოლა?!

– ხო, ადი სახლში და თქვი, სკოლაში თათბირია და უნდა დავძრუნდეთქო.

– კარგი, სად მოვიდე?

– სკოლის გვერდით რომ ძველი აფთიაქია, იქ დაგელოდები.

ანგელა სწრაფი ნაბიჯით გავიდა მაღაზიიდან.

ჭოლამ, ნაბეღლავთან ერთად, კონიაკი „სარა-ჯიშვილი“, შოკოლადი და მინის თხილი იყიდა. მანქანაში ჩაჯდა, დაძრა და გაუქმებულ აფთიაქთან შეჩერდა. ანგელა მალე მოვიდა, სახე თონიდან ამოლებულ, შეპრანულ გოჭივით განთლებოდა.

– რა მოხდა, ბატონო ჭოლა?

– რატომ არ მაძინებ ლამით და ამ ბატონოსაც მოვეშვათ!

– რას ამბობთ, ბატონო ჭოლა!

ჭოლამ არაფერი უპასუხა, მანქანა დაქოქა და ალმართს შეუყვა. კარგა ხანს უბრად იარეს, ვიდრე მთის მწვერვალზე მონასტერი არ გამოჩინდა.

– ჯვარი ხომ არ დაგვეწერა... – მანქანა შეაჩერა ჭოლამ.

– აქ რომ ვინმემ დამინახოს, ბატონო ჭოლა!..

– მანქანაში ვერ დაგინახავენ, მუქი მინებია.

– ბატონო ჭოლა, რატომ ამომიყანეთ აქ?

– იმიტომ, რომ ღამე არ მაძინებთ!..

– არც თქვენ მაძინებთ, ბატონო ჭოლა... – ენაზე იკბინა ანგელი.

გვიანდა იყო. ჭოლა კვლავ საჭეს მიუჯდა, მანქანა მონასტერს გაცდა და ფიქვნაში გაჩერდა.

ჭოლამ ანგელას მუხლებზე დაადო ხელი. ქალს ხმა არ ამოუღია. კაცის ხელმა მკერდი აიარა და ყელთან შეჩერდა. ქალი კვლავ გასუსული იჯდა, სახე წინანდელზე მეტად ავარდისფრებოდა, თვალები ცრემლებით აესხოდა, ჭოლამ თავი გადაუწია და ყელზე აკოცა. ანგელას ცრემლები ლაპალუპით მოსდიოდა. ჭოლამ მანქანა მოაბრუნა და ქალაქისაკენ დაეშვა. გზში სიტყვა არ დასცდენიათ. მანქანა ისევ აფთიაქთან გაჩერდა.

ანგელა მოწყვეტით გადმოვიდა მანქანიდან.

– ბატონო ჭოლა, მე ქმარი მყავს!..

– მე ცოლი!..

* * *

„ყველაფერი“ ჩემი ბრალია, როგორ ვუთხარი ამ ხნის ადმინის, არც თქვენ მაძინებთ, ბატონო ჭოლათქო!... ჩემი ტოლია, ჩემი ამხანაგია, ჩემი განათლებისა თუ რა! კაცს მთელი ქალაქი იცნობს, პატივს სცემს, აფასებს, მერე რა, რომ მოარშიყეა, გა-მეზუმრა რატომ არ მაძინებო და მე რა ვუპასუხე!

ნაცვლად იმისა თავი დამეხარა, პირიქით, გამოვიწვიე, გავაღიზიანე და მივიღე კიდევც საკადრისი!... აბა, ისე არავითარ კოცნას და მოფერებას არ აპირებდა, სულაც მანქანიდან გადასული იყო, ჩემი ბრალია, ჩემი, მე მინდოდა ეკოცნა და მომფერებოდა... ანდა რატომ არ დაუქალე, როცა მეფერებოდა, თავი რომ გადამაწვინა და მკოცნიდა, მგონი, ყელი თავად მივუშვირე, უკეთ რომ ეკოცნა... სულ ჩემი ბრალია, ჩემი!... ხეალ სკოლაში როგორ მივიღე, ვაითუ ვიწმემ დაგვინახა და როენას ენა მიურბენია... მისი სუნამოს სურნელი ამდის ყელზე, თმებზე, ხელებზე...“

დილით დააგვიანდა გაკვეთილზე შესვლა. გამთენისას ჩაეძინა და ვერ მოასწრო მოწესრიგება. როენასგანაც საყვედლური მიიღო:

– მეორდ დააგვიანებ და დირექტორთან გექნება საქმე!

„შეს გარეშეც მექნება დირექტორთან საქმე!..“

– გაიფიქრა და ტელეფონმაც დარეკა.

– როგორ ხარ ანგელა, წუხელ გეძინა?

– არა, არ მეძინა და დილით გაკვეთილზეც დამაგვიანდა.

– ნუ იჯავრებ, ეგ ყველას ემართება, მათ შორის როენასაც!

– როენამ დამტუქსა და დამემუქრა, მეორედ დირექტორთან გექნებათ საქმეო!

– ეგრე გითხრათ?

– კი, სიტყვასიტყვით.

– მაგარი შებერტყულია! ახლა ეგ მითხარი, შაბათს შუამთაში რომ ავიდეთ, ხომ არ გაგვიწყრებიან?

– თუ გაიგებენ, გაგვიწყრებიან, ისე კი, კარგი იქნება!

– ჰოდა, ავწონ-დავწონოთ იუველირივით და მოვემზადოთ!

შაბათამდე ორი დღე და ორი უძინარი ღამე იყო.

კვლავ აფთიაქთან შეხვდნენ ერთმანეთს. ჭოლას კონიაკი და ტკბილეული ეყიდა. ძველ შუამთაში ავიდენ. მანქანა დააყენეს და ფეხით გააგრძელეს გზა. ანგელას ტილოს შარვალი და სპორტული ფეხსაცმელი ჩაედო ხელჩანთაში. იქვე, დიდ ხეს ამოეფარა და ბიჭურად მოაქმნელი გამოეცხადა ჭოლას.

– ყოჩიარ ანგელა, მე ვერ მოვიფიქრე სპორტულად ჩაცმა.

– ამ გადაჭრილ ხეზე ხომ არ გაგვეწყო სუფრა?

– კარგი, აგრე ვქნათ, მეც მომშივდა.

კონიაკი მალე შემოელიათ, „მეტი უნდა ნამომელოო,“ – წუხედა ჭოლა, რომელიც მდელოზე წამონოლილი, თეთრ ღრუბლებს ასცექროდა.

ანგელამ ნარჩენები აალაგა, ქალალდის პარკში ჩააწყო და თავი მოუკრა.

– მოდი ჩემთან! – მოუხმო ჭოლამ.

ანგელა ჭოლას ფეხებთან დაჯდა.

– ჩემკენ მოიწი!

დიდხანს ეფერებოდნენ ერთმანეთს. ანგელა თავიდან მორცხვობდა, მაგრამ ვნებამ და ალეკოლომა თავისი გაიტნეს, ხან თვალებში კოცნიდა სერდუხს, ხან კი ხელებს უკოცნიდა.

გვარიანად შებინდებულიყო.

– კიდევ კარგი, ექსკურსიაზე მივდივართთქო, რომ დავიბარე, თორემ ცხრასვერ დამირეკავდა მეუღლე.





— კარგია, სიფრთხილე მუდამ საჭიროა. რაღაც უნდა მოვიფიქრო, თორემ...

ერთმანეთს ვეღარ ელეოდნენ. ორთავე გრძნობდა, რომ რაღაც ამოუხსნელი, უკიდეგანო და უმაცრესი გრძნობა დაატყდათ თავს, რომლისგან განკურნება შეუძლებელია უსიკვდილოდ; სიკვდილს კი, ვინ მოგაშავებს შენს ნებაზე...

* * *

წელინადზე მეტხანს გრძელებოდა ეს ყოვლის-მომცველი ტრფიალება. ქალაქის შემოგარენის ყველა კუთხე-კუნჭული დაიზეპირეს. ხშირად ამორჩეულ კაკლის ხესთან მიდიოდნენ, იქვე პატარა წყარო მორაკრაკებდა. ხეზე მიყრდნობილ ჭოლას, ანგელაც მკერდზე აკვროდა. რაზე არ საუბრობდნენ, რას არ ისხენებდნენ, ხანაც გულიანად იცინოდნენ. ლიტერატურა და მნერლობა ზოგჯერ დავის საგანიც ხდებოდა. ჭოლა, — რომელსაც გემოვნებიან მჟითხველად იცნობდნენ, — ხშირად ურჩევდა საინტერესო წიგნებს. ერთხელაც, კარგი მწერლის (სამწუხაროდ ნაადრევად გარდაცვლილი) სოსო პაიჭაძის მოთხოვნა „ბაქანი ბოტანიკური ბალი“ მიუტანა. ამის შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა...

ივლიტა (მოთხოვნის მთავარი გმირი) ვარო, დაიყინა ანგელამ. ივლიტას საქციელსაც სინწოვებით ამართლებდა, რაც ჩაიდინა, სინწოველით მოუვიდა და ამადაც ლირს წუთისოფელში ყოფნაო. ჭოლა ზრდილობის გამო ეთანხმებოდა, თუმც ალაგისე გაკენწლავდა მშვენიერ ივლიტას. მას აშინებდა ანგელას ივლიტობა. ეს გოგო სხვნაირად უყვარდა, არა ხორციელად, არა სარეცელისათვის, არა ქალობისათვის.... ქალებით ჭოლას ვინ გააკეირვებდა, ამან კი, სხვა განცდა, სხვა შრულობა, სხვა ალმაზრენა მოიტანა; სულიერება უყვარდა ანგელაში და ხორციელებისათვს აღარ ემეტებოდა. „ხომ არ დავბერდო!..“ ჩაჰეთხავდა ზოგჯერ თავის თავს და პასუხიც ხელისგანვდენაზე ჰქონდა. ნინა, ყოფილი ბალერინა, დღედღეზე რომ იტალიაში წასავლელად ემზადებოდა. ღამით ვერ რჩებოდა მასთან, თორე შეადლიდან, საღამომდე გაგიხარია...

ნინა, ათი წლით უმცროსი იყო, რის გამოც, მოფერებით ძია ჭოლას ეძახდა. „გინდ ბაბუა დამიძახე, მთავარია ხვნა და ფარცხვა შემეძლოს!..“ ექილიკებოდა ჭოლა. აბა, რა დაბერებაზე შეეძლო ფიქრი, უპრალოდ, ანგელა მისთვის არამინიერი ქალი იყო, უხორცოდ და ზოგჯერ თუ კოცნიდა და ეცერებოდა, ეგონა სიზმარში ვარო... ამიტომ არ უნდოდა იმისი ივლიტობა, არადა ანგელას დაეჩემებინა: „იქნებ მოვახერხოთ ერთი დღით ზღვაზე გაპარვა, სველ ქიმაში ჩაფლვა და მერე თუნდაც მოვკვდებიო!..“

— დაივინყე ახლა ეგ ივლიტა და უკთეს წიგნს მოგიტან.

- აბა რომელს? — დაინტერსდა ივლიტა.
- ვლადიმერ სიხარულიძის „მეათე მოწმე“ ან შოთა ჩანტლაძის „პროხორ“, დიდებული მოთხობებია.

მეორე დღესვე მიუტანა სკოლაში წიგნები.

- ორ დღეში დაგიბრუნება ამათ, მერე კი მარკე-სის „მარტოობის ასი წელი“ მათხოვე, კარგი?“

— ნუ იჩქარებ, მე ათი დღით ბალტისპირეთში მივდივარ მივლინებით, იქიდან კი კარგ საჩუქარს ჩამოგიტან.

— აბა გინავარდია ლამაზმანებში, ჭოლა ბატონი!..

— არ იჯავრო, დავამთავრე მაგ საქმე უკვე!...

— რაღაც არ მჯერა!

— შენს სიცოცხლეს ვფიცავ!

* * *

ჭოლა ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. როენამ თათბირი მოიწვია და სულ კაკალ-კაკალ მოახსენა დირექტორს ყოველივე, რაც მის არყოფნაში მომხდარიყო. ანგელა თვალს არ აცილებდა ჭოლას, რომელიც ლიტვურ დღიურს აცნობდა კოლეგებს. ჭოლა, როგორც ჩვეოდა, დინჯად ყვებოდა იმ მიღწევებზე, რასაც ლიტვია (ლატვია, ესტონეთთან ერთად) ბოლო ათწლეულში მიაღწია. საუბრის დროს მისი ტელეფონი რამდენჯერმე აინთო. მიხვდა, რომ შეტყობინებებს უგზავნიდნენ. დაჯდა თუ არა ბარათები დაათვალიერა. სუყველა ანგელას გამოგზავნილი იყო. მანაც მიწერა: „საღამოს ჭადართან გამოდი, გრემში ავისეირნოთო!“

გრემში წაცნობები დაინახეს და სვლა გააგრძელეს. ალაზნის პირას მწვანე მოლზე გააჩერეს მანქანა. ოკვირიანმა სიშორებ ერთმანეთი მოაწყურათ. კარგა ხანს იდგნენ და ერთმანეთის გულის ფეთქვას უსმენდნენ.

— წავიდეთ, ბავშვებს წესიერად არ მოვფერებივარ.

— არც ცოლს?

— ნუ იკბინები, არ გშვენის...

— მეც მყავს მეულლე და ბავშვები, მაგრამ...

— ანგელა, მეჩეუბები?

— არა, ჯობს წავიდეთ, ჩემბიც ინერვიულებენ.

ჭოლა ბავშვებს ეთამაშებოდა, რომლებიც ბოლო დროს, მამას იშვიათად ხედავდნენ შინ. როცა ჭოლა სახლში ბრუნდებოდა, ბავშვებს ეძინათ. ცოლიც ებუზლუნებოდა, „დამის სკოლად ხომ არ გადაკეთდით!“ ბავშვები თავიანთ ოთახში გავიდნენ. ჭოლა კი აპაზანაში შევიდა. მალევე გამობრუნდა და ტელეფონი შეიტანა (სიფრთხილეს თავი არ სტეივა). ერთმანეთის მიყოლებით ორი შეტყობინება მოუვიდა.

„მაგთიკომი მადლობას გიხდით ერთგულებისათვის.“

გაჭირვებით წაიკითხა უსათვალოდ.

„ერთ ღამეს შენთან სიამოვნებით გავატარებდი, ივლიტა...“

აბაზანიდანვე მისწერა:

„ანგელა, ხვალვე მიგავლენთ განათლების სამინისტროში...“

სკოლაში მისვლისთანავე, საქმეთა მმართველს დაუძახა და დავალა ერთდღიანი სამივლინები ფურცილს მომზადება ანგელა კურტანიძის სახელზე.

მზა საბუთი ათ წუთში შეუტანეს ხელმოსახერად.

— უთხარით ქალბატონ ანგელას, რომ არ დააგვიანოს, ტრენინგი თორმეტ საათზე იყნება. — გააფრთხილა საქმეთა მმართველი.

ხოლო ანგელას შეტყობინება გაუგზავნა: „ექვს საათზე მეც თბილისში ვიქნები, გაკვეთილების შემ-





დეგ წამოვალ, დიდუბის მეტროსთან დაგელოდები.“
ანგელამ იცი წუთი დააგვიანა. ჭოლა ადგილს ვერ პოულობდა. რამდენიმეჯერ დაურევა. „საცოში მოვხვდით, ტაქსით მოვდივარ.“ – უპასუხა ანგელამ.

ოც წუთში, იცი ნაცნობი შეეფეთა, თანაკლასელი თუ თანაკურსელი, მეგობარი მუსიკოსიც ნახა, რომელმაც ვახმამზე მიიჩნია. „სხვა დროს, ახლა საქმეზე მივდივარ,“ – ჩამოიცილა მუსიკოსი.

ანგელაც გამოჩნდა.

– საით მივდივართ? – იკითხა მანქანაში ჩაჯდომისთანავე.

– მცხეთაში, ჩემს ძმაკაცს სასტუმრო აქვს.
– იქ დაგხვდება? – შემფოთდა ანგელა.

– გაგიუდი, მგონი მცხეთაში არც არის ამჟამად. სასტუმროს ადმინისტრარორმა ოთახის გასაღები გაუწოდა.

– მეორე სართული, №5, ვახშამს ბარში ინებებთ თუ ნომერში მოგართვათ?

– გმაღლობთ, ნომერში ამომიტანეთ!

ათიოდ წუთში სუფრა გაინყო. სასმელებიდან კონიაკი აირჩია ჭოლამ, რომელსაც გვარიანად მოშიებოდა. სადლეგრძელოებს ჭოლა ამბობდა. ანგელა ცოტას სვამდა, ხმასაც იშვიათად თუ ამინდებდა. ჭოლა მიხვდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ქალის გულში, რომელიც პირველად დგამდა ასეთ ნაბიჯს.

– მეორე ბოთლი ხომ არ მოვატანინო? – იკითხა ჭოლამ.

– არა, არ გინდა, მე ვერ დავლევ, არც შენ დალიო!

ანგელაზე მეტად ჭოლა განიცდიდა ამ მდგომარეობას, არადა, მეასედ მაინც ათევდა დამეს აქ. შეეძლო მთელი ლამე არ დაეძინა, აივანზე დამჯდარიყო და ლექსები ეკითხა ანგელასათვის. არ ემეტებოდა ეს ქალი სანოლისათვის, ეგონა ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. მთელი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კოცნის იქით არ გაუხედავთ, არ უფიქრიათ... ჭოლას არ უფიქრია, თორქემ, რო ეფიქრა, რა შეუშლიდა ხელს?.. ეს ივლიტობა ხომ ანგელამ აჩინა: „ერთი ლამე შენთან ვიქენებოდიო!..“

უარი როგორ ეთქვა, გული როგორ დაეწყვიტა, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი, თავს თავაზობდა, რას იფიქრებდა ან რას იტყოდა, თუმცა თქმით ვის ეტყოდა, საკუთარი თავის გარდა, ჰოდა დათანხმდა ანგელა – ივლიტას და არის ახლა ამ ოთხ კედელში, გარედან მტკურის დუდუნი ისმის, სავსე მთვარე ანათებს არმაზის ხევს.

ტელეფონმა დარწეა.

– ჭოლა, რაიმე ხომ არ გინდა, სასმელი ან ხილი?
– მაღლობა ვამეხს, გადამეხადოს!

მეგობარი და სასტუმროს მეპატრონე ურეკავდა.
– ჭოლა მე დავიძინებ.

– დაიძინე, მე წყალს გადავივლებ.

გრილმა წყალმა გამოაფხიზლა. პირსახოცი მოიხვია და ფანჯრიდან მთვარეს მოეფერა. „ძმობილი მთვარე...“ აეკვიატა რატომლაც. ანგელას გახედა, საღამურის გარეშე რომ იწვა თხელი ზენარის ქვეშ. ქალს არ ეძინა. ულიმოდა. ჭოლა გვერდით მიუწვა. ანგელამ ხელები გაშალა და გულში ჩაიკრა. ყველაფერი ჩვეულებრივად ხდებოდა, როგორც ყველა

ქალთან, სისხლი აჩქეფდა, ანგელა კიდევ უფრო მეტად მიეწება, სხეული მიუშვირა და... ჭოლა სხვა განზომილებაში გადავიდა, სადაც ხორცი აღარ ხორცობდა, აღარ იზიდავდა ანგელას ცხელი სხეული, მისი სიშიშვლე და სიქათქათე, ყოველგვარი ლტოლვა და უინი გამჭრალიყო... აივანზე გასასვლელი კარი გააღო, მტკუკარს ჩახედა, რომელშიც მთვარე ბანაობდა. გაღმიღან მამლის ყოვილი ისმოდა. ოთახში შებრუნდა. ზენარშემოხვეული ანგელა სანოლზე იჯდა. შეცბუნება, წყენა და ტკივილი სახეზე აღბეჭდვოდა. ჭოლამ თავი მერდზე მიადო, ყელი დაუკოცნა. ანგელამ ჭოლას ჭალარა თავი ჩაიხუტა, ჭოლას ტირილი მოუნდა და ატირდა.

– ჭოლა რა ხდება, წუთუ ანგელა კურტანიძე ქალად არ ვრგა, ამას ვინ დაიჯერებს, ანგელა გყავდა სანოლში და...

– ხდება ხოლმე, სხვა დროსაც, მაგრამ... შენ ხომ ჩემთვის ქალი არ ხარ, მე შენ სარეცელისთვის არ მინდიხარ, არც ეგ სურვილი მქონია ოდესმე, ეგაა სულ... ინათელა.

ჭოლა აბაზანაში შევიდა. ანგელაც იქვე გაჩინდა.

– მე უნდა დაგბანო!..

შხაპის ქვეშ იდგნენ, ვწებაც ბუნებრივად გაჩინდა...

* * *

ჭოლამ მეგობარ სექსოლოგს მიაკითხა. საკუთარი მარნიდან წამოღებული ხუთლიტრიანი ბოცა საბარგულიდან ამოილო.

– ალაზანზე ხომ არ ჩავსულიყავით? – კითხა კახამ.

– ჯანი გავარდეს, წავიდეთ.

ყველი, კიტრი პომიდორი და ლავაში წაიყოლეს. კარგად რომ შეზარხოშდნენ, ჭოლამ მცხეთური „ოდისეა“ მოუყვა ბავშვობის მეგობარს.

– რას იტყვი, ექიმო?

კახა ჩაფიქრდა, სიგარეტს მოუკიდა.

– თავად რას ფიქრობ?

– რას უნდა ვფიქრობდე, ორი დღეა ფროიდს და იუნგს კვითხულობ, სამედიცინო ლიტერატურაც გადავქექე...
– მერე?

– რა მერე, ეგ შეიძლება დაგემართოს კაცს, მაგრამ ქალთან, რომელიც თავს გირჩევნია, მაინც დამაინც მასთან...
– ეგ არი, რა!

– რა ეგ არი? ვერაფერი გავიგე!

– თავს, რო გირჩევნია, სულიერება, უფრო მაღლა დგას, ვიდრე...
– ხელი დაპერ! მეც მაგ დასკვნამდე მივედი, მეც ეგრე ვფიქრობ, ლამის ორჯერ პატარაა, ჩემი დაისის მანათობელია, ბოლო მიზანი... მის ხორცითან არაფერი მესაქმება, სხვანაირად მიყვარს...

– ჩვენს ასაკში ყველაფერი მოსულა, ჩემო ჭოლა, ექიმთან ვიზიტიც არ გაწყენდა, თუმც შენს ჰარამბანას კიდევ კარგა ხანს ანუგეშებ!

ბოცა თანდათან დაცარიელდა.

ალაზანიც მეტად ამღერდა...





მხატვარი სოფიო ჭელიძე

* * *

ჭოლას უცნაურობები დასჩემდა. მთელი დღე კაბინეტში იჯდა. ზოგჯერ როენა თუ შეაკითხავდა და გამოელებარაკებოდა. როენასაც უხასიათოდ პასუხობდა. ანგელა ზოგჯერ ტელეფონით ეხმიანებოდა, შეტყობინებებს უგზავნიდა (საუბარს ერიდებოდნენ, იცოდნენ რომ საუბრები ისმინებოდა), თუმცა პასუხებს ვერც ის იღებდა.

ცოლმაც შეატყო უცნაური გარინდებები. ბავშვებთანაც აღარ თამაშობდა ძველი სიხალისით. სამაგიროდ ყოველი ლამე სექსით მთავრდებოდა. ეხუმრებოდა გახალისებული ცოლი, „ახალი სუნთქვა გაგეხსნაო!..“ თავს ცდიდა. ცოლთან ისეთივე ბობოქარი იყო, როგორაც ადრე, თუნდაც ხუთიოდ წლის წინათ. „გამოდის, რომ მცხოვრი ფიასკო ანგელას ბრალია, უფრო სწორად, მისდამი უსაზომო სიყვარულისა, აგრე ხომ, არც ერთი, სხვა ქალი არ მყვარებია... ყოველთვის უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალბატონები მეგობრობდნენ ჩემთან, დახვენილი ინტელექტუალები, მაგრამ... არა, ანგელა ზეციურად მიყვარს, ვიდრე იმ ნაბიჯს გადავდგამე, ერთი ლამე, როგორმე, მასთან უნდა დავრჩე, ვნახოთ...“

მეგობარ ნოტარიუსს დაურეა.

— ანდრო, თუ ჩემი ძმა ხარ, ყველაფერი რაც ჩემს სახელზეა, სახლი, მანქანა, ავტოტარეხი, სააგარაკო ნაკვეთი, ჩემი ცოლის სახელზე გადამაფორმებინე!

— რა იყო, იუპიტერზე მიფრინავ?

— ვენერაზე, ქალია მაინც...

— კარგი, გამოდით, საბუთები წამოილეთ!

ცოლს დაურეკა, „ეზოში ჩამოდი და გამო-

გივლიო.“

— რა იყო, ომში მიდიხარ?

— ჯერ არა, მაგრამ... იყოს შენს სახელზე, რა შავდება.

ერთ საათში მორჩენ ყოველივეს. მეუღლე შინ დატოვა და სკოლაში დაბრუნდა. ანგელას დაურეკა: „ვიცი გაკვეთილზე ხარ, რომ მორჩები ჩემთან შემოდი, საკლასო უურნალი იქონიე, ყოველი შემთხვევისათვის.“

ისევ გაირინდა. ფანჯრიდან ერეკლეს სასახლის ფრაგმენტი მოსჩანდა. „ნეტავ, ქალების მიმართ როგორი იყო მეფე, შვილები კი ჰყავდა ჭერებით... მრავალშვილიანობაში გადაარჩინა იმ დროს საქართველო, ჩემი წინაპრებიც...“ ანგელას შესვლა არ გაუგია, ისევ სივრცეს გაპურებდა.

— ბატონი ჭოლა!

— ისევ ბატონი გავხდი?

— აქ, სხვაგვარად როგორ მოგმართო?

— შენიანები იმერეთში ცხოვრობენ მგონი?

— კი, იქ ცხოვრობენ.

— მერე მშობლები არ მოგენატრა?

ანგელა ძველებურად განითლდა, რაღაც იგუმანა და პასუხი თავის დაქნევით გასცა.

— მეუღლე მუშაობს?

— თუ აქვთ სამუშაო, არ ზარმაცობს.

— დედა მომენატრათქო, რო უთხრა, გაგიშვებს თუ თავადაც გამოგყვება?

— ყოველთვის ერთად მივდიოდით...

კარგა ხანს დუმდნენ. ჭოლა ისევ გაირინდა. ანგელა წამოდგა.

— გავალ, გაკვეთილი მეწყება.

— კარგი, რაღაცას მოვიფიქრებ.

ანგელას გასვლისთანავე მეგობრებს გადაურეკა. ათიოდე ახლობელი მოაქუჩა და რესტორანში დაპატიჟა. უმეტესობა საზღვარგარეთ გადახვენილიყო.

მეუღლეც გააფრთხილა, ვქეიფობთო. თავად ითამადა. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ, სერდუხი ყოველთვის ნადიმობდა, სუფრასთან ლალობდა, თუ შეთვრებოდა, ცეკვავდა და ძლეროდა. სევდიანი ეჩვენათ.

„დავილალე ამათ ხელში, ყველას კოჭა უნდა უგორო, ამათან არც დარექტორობა ღირს და არც მეურტეობა! — მთავრობას გადააპრალა თავისი უსასიათობა. იქვე შეტყობინება მოუვიდა. სათვალე მოძებნა და წაიკითხა. „მეუღლემ მითხრა, მშობლებთან მე წაგიყვანო, რა ვენა, სხვანაირად არ გამოდის.“

სასწავლოდ წაშალა შეტყობინება. „ეს „მესიჯები“, უამრავ ოჯახს ღუპავს,“ გაიფიქრა ჭოლამ და ახალი სადლეგრძელო წარმოთქვა. შუალამემდე იქეიფეს, ერთმანეთს მოეფერნენ.

დილით სკოლაში ადრიანად მივიდა. ეს დღეები სულ ჩეარობდა, თითქოს რაღაც უნდა მოესწრო. რომ

გეკითხათ, თავადაც ვერ გეტყოდათ, სად ეჩქარებოდა, რა უნდოდა. ანგელას შეტყობინება გაუგზავნა:



„როცა სკოლაში მოხვალ, განცხადება დაწერე, თავი გაითავისუფლე, როენას დაუტოვე და ჭადართან მოღი.“

– ირბინე? – შეეგება გულამოვარდნილ ანგელას.

– ქოლა, ასე არ შეიძლება, ხალხი გვიყურებს, ერთხელაც ქვეყანა გიგებს ჩვენს ამბავს!..

ქოლამ მაღალსართულიან კორპუსთან გააჩერა მანქანა. ჯიბიდან გასაღები ამოილო.

– მე ოთახს გავაღებ, პირველი სართულია, მარცხნივ, პირველივე კარი. ხუთ წუთში შემოდი.

ანგელა ოთახს ათვალიერებდა. მაგიდაზე ფილა შოკოლადი და „ენისელის“ ბოთლი იდგა. ქოლამ კარები ჩარაზა.

– საღამომდე შეგვიძლია აქ ვიყოთ.

– ეს ვისი ოთახია?

– უფალმა გვაჩუქა ერთი დღით!.. – გაიცინა ქოლამ და კონიაკის სირჩები შეავსო.

– ქოლა, რატომდაც შეცვლილი მეჩვენები, რატომ დამიძახე აქ?

– დასამშვიდობებლად!..

– სად მიდიხარ ადამიანო, – შეშფოთდა ანგელა,

– ჯერ გამაგიუე, თავი შემაყვრე და...

– ნუ ტირი, გეხუმრე!

ხელი მოხვია, მიიკრა და საკინძე გაუხსნა.

– მოიცა, კაბა დამეკუჭება, თავად გავიხდი...

ანგელას არასოდეს განეცადა ასეთი რამ, ქოლაში ერთბაშათ ამოხეთქა ვულკანმა... არაქათგამო-ცლილი ანგელა ევედრებოდა:

– ქოლა შეჩერდი, დაისვენე, პატარა ხომ არა ხარ!...

საღამომდე ერთმანეთით ტკბებოდნენ.

– დარჩენა რომ შეგეძლოს!... – დასცდა ქოლას.

– გავგაუდი, ასეთი არაფერი გამიგია, აღარ დაიღალე ქოლა!...

– შენთან რა დამლლის!

სახლამდე მიაცილა ანგელა. მანქანა მოშორებით გაუჩერა. აკოცა, ჯვრი მოიხსნა და ყელზე დაკიდა.

ცოტა ხანში შეტყობინება მოუვიდა ქოლას: „არ ვიბან, შენი სურნელით უნდა დავიძინო...“

იმ ღამის შემდეგ ქოლა აღარავის უნახავს: არც სკოლაში, არც ოჯახში, არც თელავში და არც საქართველოში.

რამდენიმე წლის შემდეგ, ერაყელ მეამბოხეთა სურათი გავრცელდა ინტერნეტში. მეამბოხეთა მეთაური, ჭალარა, წვერულვაშიანი, იარაღასხმული ვაჟუაცი, ბევრს ეცნო.

ქოლას ოჯახსაც, უმაღვე შეატყობინეს.

კი, ის იყო, ძველი ასურეთის, შუამდინარეთის მზით სახედამწვარი (გულდამწვარიც...) ქოლა სერდუხი.

27



უურნალ „მწვანეყვავილაში“ გაგრძელებებით იბეჭდება გიზო თავაძის მრავალმხრივ საინტერუსო ჩანაწერები – „ზოგი რამ“. გთვაზობთ ერთ-ერთ ჩანაწერს.

კახეთო, ჩემო კახეთო...

აღარც კი მახსოვს, როდის (რომელ წელს) ვწერ-დი ამ ღექსა:

„აქედან გული საით გამინევს?

ყელში დამაჭრდა „მუკუზნის გემო,

ციხე-ქალაქი ისევ დამიცავს

და მეც დაგიცავ ბებერო გრემო!“

ნუგზარ ჩიკვაიძეს და კაკო დაუშვილს ვუძღვნი, ჩემის თელაველ ძმებს და კოლეგებს. ნუგზარმა, ჩემი ბიჭობის, ყმანვილობის შემსწრემ და მოთვალითვალემ, გაუზუარი შესვედრების (თელავში თუ ქუთაისში) მეარქივემ, გამაცნო აკაკი (კაკო) დაუშვილი თელავში ყოვნისას და ამის შემდეგ მოდის ის ურთიერთობა, რაც დღეს გვაქვს. იმ უამს (მთელი ჯალიბით) კვირაობით ვრჩებოდი თელავში, ნუგზარის (მამა ილია), უთბოლესი დედის კალთაგადაფარებულება: ჰოდა, უურნალ „ოლეს“ რედაქტორს გაგაცნობო, – ნუგზარმა. „ოლე“ მშვენიერი უურნალია (ალბათ, გიორგი ლეონიძე გაგახსენდებათ „ოლეს“ ხსენებაზე), რომელ-საც კაკო დღემდე უდგას სათავეში; უურნალში ჩემი შემოქმედება რამდენჯერმე დაიბეჭდა (ქუთაისელ მწერალთა შემოქმედებასაც ღამის მთელი უურნალი

დაუთმო კაკომ, როცა ხურჯინით ვეახელი მომდევნო წელს).

და ახლა, რამ გამახსენა ეს ყველაფერი?

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ნომერში წავიკითხე უთბილესი „საშობაო მოთხოვობა“. გული ისე გამითბო (თან მატკინა!) მეორეჯერაც წავიკითხე, მერე (როგორც მჩვევია), უახლოეს ადამიანებს წავაკითხე და სხევბსაც გადაუწვდი, – წაკითხეთმეთქი!.. და ვინ იყო ავტორი? ჩემი თელაველი ძმა – კაკო დაუშვილი.

მაღლობა ჩემო ძმაო, იმ ნეტარებისთვის, რაც ამ, პატარა ნოველამ მარგუნა. შენს კაღამს და შენს კაცობას გაუმარჯოს! მე კი, იმ ღექსის (რითაც ეს პანია ჩანაწერი დავიწყე), ერთ სტრიქონს კიდევ გააღებ:

„რამდენი სნება, ჭლექი, რაქიტი,

გლრნიდა და მანც დგეხარ იმედად,

მზის სარეცელო, – ჩემო კახეთო, –

უფალმა შენთვის გამოიმეტა!..“

აღარც კი მახსოვს, როდინდელია ეგ ღექსი, რომელიც თქვენ გეძლვნებათ, ჩემო ძმებო!

ოლქა №1, 2019



პოეზია

ვაჟა ოთარაშვილი ეკა კვანტალიანი

28



მარტინ გარებულის და მარტინ გარებულის მუზეუმი

მიუყვარით, ისე უწოდოთ... მშვიდოფი...
მიუყვარით, ისე მგზებროედ, თოთოლვით...
და შენი ნახვა ისე მომშივდოდ,
ვით გადახრულ ველ-მინდვრებს თოვლით...

ვ. ოთარაშვილი

ვისთვის ქარი ქრის... ვისთვის გრიგოლი გალა,
გრძნობა მძაფროება ფლოთიფლე თავისთავადი...
ვერფინ გაზომის ამ სიყვარულის ძალა –
ერთად ვიფრინოთ რითმების არი ფრთა ვართ...

ე. დვარცილიანი

პოეტური დუეტი

ციკლიდან: „ვავრისწერა ლამით ...“
გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია

ვაჟა ოთარაშვილი

I

* * *

ლამეა... ყინაქს... შენზე ფიქრებით ვთბები...
რა უცნაურად მოხდა შეხვედრა ჩვენი...
შეყვარებულებს ოცნებისა აქვთ ფრთები,
იმ ორის გარდა ვერ ამჩნევს დანარჩენი...
გინდა გავფრინდეთ?... პო, მეცხრე ცამდე ავალთ...
ო, შენთან ერთად არ მშინებია ფრენის...
ფანჯრის რაფაზე ხელებგაშლილი გალა...
და საფრანგეთში მზისკენ მზირალი მერი...

IV

* * *

ჩემი ხარ დღესა... ერთად ვიქნებით
და მომავალშიც შენი ხატია...
სულ დაგტრიალებს ჩემი ფიქრები,
წარსულშიც რომ არ გილალატია...
ასე მგონია რომ გაჩნდი ჩემთვის,
შორსა ვარ, მაგრამ თავზე გევლები...
შენს ნატვრებს ჩემი ნატვრებიც ერთვის
და არაგვივით მოჰქუმებს ცრემლები...
გამომელვიძა, შენ ჩემთან არ ხარ
და თითქოს აქ ხარ ასე მგონია...
დილაა... ნისლი და ვიწყებ ხარხარს
და მარტოობის ვკლავ აგონიას...

II

* * *

ვიღვიძებ... შენ ჩემთან არა ხარ
და გული ლექსების ტუსალი,
ნეტავი მანდედან განახა...
თუმცა ვინ მოარგებს გულს ალვირს...
ყალყზე დგას... არაგვი სწყურია
და შენი ბროლმკერდის სილალე...
ცრემლები თვალს დაუწურია,
ნასვლისას გზაში რომ ვინახე...

V

* * *

ურუანტელმა დამიარა ისე,
თვალებს ვხუჭავ და მოვერივარ შენთან...
შევეხები კულულებს და კისერს,
მკერდში მესმის შენი გულის ფეთქვა...
მიყვარხარ და ფიქრით ვჩეხავ მანძილს,
ჩამოყვება წვიმა დარდის ძაფებს
და შენ გჩუქნი მერი ლექსის ამ მძივს –
შენს კალთაში თეთრ ვარდებად ვაფენ...

III

* * *

მენატრები... ვერ ვიძინებ... ვწვალობ...
ნეტა უკან ჩაიმარცვლო წამო...
ნეტა დღესაც ისევ ვიყოთ ერთად,
შევაჩეროთ მტკვრის არაგვთან შერთვა...
ვერ ვაჩერებ მკაცრ უამთასვლის ნებას –
გესმის ლექსის ამოქვითინება?...



* * *

სიზმარშიც მესმის შენი ხმა ცხადად –
მწერ და შეავსებს ძილი ფიალებს...
ივლისის ცაზე მზე გამიცხარდა
და დილას სისხამ მოაფრიალებს...
მერიით... გეტრფი და გეთაყვანები,
რომ არ გიცნობდი ვინა თქვა ნეტა...
არაგვისპირზე ქარმა ყანები
ყაყაჩოების სევდით მოხვეტა...

* * *

შენა ხარ ჩემი სულის ნაწილი,
შენა ხარ ჩემი სულის სალბუნი...
ამ სიყვარულმა გამაარნივა,
თვალთა ციური სხივი მარგუნა...
მერი, მიყვარხარ... ანდამატივით
მიზიდავს შენი სულიც, სხეულიც...
როგორ რთულია და რა მარტივი,
ტრფობა ციური – არა ჩვეული...

* * *

მე მუდამ მახსოვხარ,
რადგან ვერ გივიწყებ...

რადგანაც ჩემში ხარ ფიქრების ატომად...
ნატერები მაქვს ოხრად
და ჩემი სიფიცხე –
ვით ვარდი მოგართვი ამ ლექსის ავტორმა...

* * *

შენა ხარ ჩემი გოგო შროშანა
და რამდენ ტკივილს გაუძელ მარტომ...
გულში მიზიხარ,
გულში – შორს არა
და მუდამ გნატრობ...



* * *

მიყვარხარ, ისე უბრალოდ... მშვიდად...
მიყვარხარ, ისე მგზნებარედ, თრთოლვით...
და შენი ნახვა ისე მომშივდა,
ვით გადახრუულ ველ-მინდვრებს თოვლი...
და შენი სულის ნაპერნკალები:
შენი ლექსები, თბილი რითმები...
ხელქვეშ მითროთან შენი ხალები,
სინაზით სავსე შენი თითები...
მოტაცებული გამოგიხსენი,
გამოგარიდე ქაჯთა ხელიდან...
შენით ძვირფასო ისე ვივსები...
შეგისვამ ცხენზე მერი... ჰერი და...

ეკა კვანთალიანი

* * *...

როცა გულიდან სიტყვა გადმოჩეფს თავად,
ცაში მივფრინავთ სამყარო რჩება მიღმა...
რამდენი ვნახეთ შურით და ბოლმით დავა,
თუმც ჩვენი ტრფობა ყველას ჩამოხსნის ნიღაბს...
არვინ მიყვარდა ძვრიფასო მე შენს გარდა,
გახსოვს თბილისი – ხელს რომ ჩამკიდე...
გასავლელია ისევ რამდენი გზა და
დასაწერია ლექსი რამდენი კიდევ...
ვისთვის ქარი ქრის... ვისთვის გრიგალი გალა,
გრძნობა მძაფრდება დღითი დღე თავისთავად...
ვერვინ გაზომოს ამ სიყვარულის ძალა –
ერთად ვიფრინოთ რითმების ორი ფრთა ვართ...

შუბლი გაგიცხელა არაყმა...
უყურებ ისე ვით ნატყვიარს –
ვალები ფურცლებზე ცხრილებით...
მუზები ჯარივით გარტყია,
ბრძოლისგან თმებშევერცხლილები...
თვალები ცრემლებით მევსება,
რომ გდარდობ მეც გამოგიტყდები...
ქრონიკად დარჩება ლექსები –
ჩვენი სიყვარულის სიტყვები...

* * *

შორეული სიზმარია ოცნებები,
ზეციური მირაჟების ლაციცი...
თუმცა გინდა ალმაფრენა მომცე ბევრი,
უშენოდ რომ მოვიწყინე არც იცი...
სიყვარულის ურუანტელმა ამიტანა,
მომენატრე... ვერ მაშინებს სიცივე...
ო, ეს ტრფობა, რა ყოფილა ამისთანა –
ტკბილი ტანჯვა – ახლა უკვე ვიცი მე...

* * *

ნისლებით დღე გაცრეცილია,
განთიადს სიზმრები არ აჲყვა...
დადნება გული ვით ცვილია,





* * *

ვერ შევიყვარებდი შენს გარდა ვერავის,
მზის სხივი თითქოს და გულში ვერ აღწევდა...
გიპოვე: ფიქრები ცას გადასერავენ,
შენი მონატრება რომ შორიდან აღვწერო...
დარდით ავსებული სოშორე მეძნელა,
ისე ვით ვარდების ბალჩაში აგავა...
ფიფქისგან დათოვლილს ვერ ვარჩევ ენძელებს,
ახლა ხომ მიპოვე... ახლა ხომ აქა ვარ...
ვიგონებ ბაზალეთს... სულ პირველ იმ ბარათს –
ლექსად რომ მომიძღვენ... ყაყაჩოს და იმ ცას...
ეს ჩუმი ლოცვაა – ყველგან რომ გიფარავს
და სიყვარულია ჩემი რომ დაგიცავს...

* * *

შემოდგომა გაიფანტა ველად,
პარიზის ცა ვერ აკავებს ღრუბლებს...
ზოგჯერ თურმე წვიმას პეშვით დალევ,
მონატრების როცა არ ჩანს ზღურბლი...
ნოემბერი ნატვრებს დაენაფა –
დარდებივით მოაგროვებს ფაჩხებს...
თუმცა მაინც ვილიმები სწრაფად –
გულში შენით გაზაფხული მიჩქეფს...

* * *

შენი სიტყვები ანდამატია,
შენგან შორს ყოფნა ძლიერ მაწვალებს...
ან აგვისტოა, ანდა მარტია...
ტრფობისთვის ცრემლით ვიხდი ან ვალებს...
სწორედ ლექსია მივჯნურთა ხარკი,
თუმც შურით ბევრმა გაგვაქოლიკა...
ტიციანს გულთან ჰქონდა მიხაკი –
მე კი ყაყაჩოს მომწონს ლირიკა...

* * *

ისაუბრებენ ამ სიყვარულზე
ჩვენი ლექსები დასაბუთებით...
საუკუნეებს ვიცი გაუძლებს –
ეს ტრფობა – გულში ნასათუთები...
შენა ხარ ჩემი გრძნობები მწველი,
ცად მოფრენილა ფიფქი ფარფატით...
სარკმელს გავყურებ ისევ მოწყენით,
თუ მოგენატრო – სიტყვით დამხატე...

* * *

თებერვლის ყინვებს არა სურთ წასვლა,
თუმც გაზაფხული განა შორს არი...
ბარათებს ლექსით გიგზავნი ასლად,
როგორც მინდვრების თეთრი შროშანი...

* * *

გახსოვს წინანდალი
სახლი ჩუქურთმებით –
მითიური დალის
მოკვეცილი თმები...
წარსულს მოიგონებ,
ისტორიის ვარამს...
ახლაც იქ ვართ ვგონებ,
ჩავუარეთ მარანს...
მდარდობ? გეტყვი კმარა...
მნატრობ? მეტყვი კიო...
ამ სიყვარულისა დაიწერა ლექსი –
ტრფობა გავაგრძელეთ ჩემო გალაკტიონ –
ბარათაშვილის და ეკატერინესი...



როლანდ გიორგაძე

საქართველოს მთავრობის მეცნიერებების და კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერთებული მინისტრი

მინისტრი მინისტრი გამართული ახლოგაზრდა წევროსანი, თავი მაღლა ეჭირა, მზერა წილები მიერყო და გულში ორმოწადებული ფსალტის იმეორებდა. წევრი არ ჰქონდა დარჩენილი საკროვ საქართველოს მდგრადი მომსახურის, როდესაც წინ მის-საფიც მოხდენილი, საშედლო სიმაღლის, ოდნავ შევსებული ახლოგაზრდა მამაკაცი გადაელობა.

რ. გიორგაძე

31



დისო, დისო...

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 2018 წელი

სიონის ტაძრის დასავლეთის კარიდან წვეროსანი, სტიქარით შემოსილი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ცოტა შეყოვნდა, უკან შემობრუნდა და ლამაზად მოჩქერითმებულ კარს ეამბორა. მერე სწრაფადვე შემოტრიალდა და სასულიერო სემინარისკენ მიმავალ გზას დადგა. კიბეზე ასვლისას კიდევ შეჩერდა, აღმოსავლეთისკენ გაიხედა, მეტების ტაძარს შეავლო თვალი, პირველი გადაინწერა და გზას გაუყენა. საღამო ხანი იყო. ქალაქი ბინდში იძირებოდა. აქა-იქ ლამპიონები ბუუტავდა. ბნელეთი გაპატონებულიყო ქვეყანაში. სხვადასხვა ჯაგუფი, კლანი და სამო დანასისხლად გადაპიდებოდნენ ერთმანეთს და ვინ იცის, მტრის გასახარად მერამდენედ ღვრიდნენ ერთმანეთის სისხლს. პატიოსნება, თავმდაბლობა და სხვა სათნოებები სასაცილოდ გამხდარიყო. კანონი და სამართალი ავისმეტნელების ხელში ჩავარდნილიყო. სამოქალაქო ომის ხანძარი, არეულობა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, – ღვთით-კურთხეული ქვეყანა საკუთარი ცოდვების ნაყოფს იმკიდა.

მიდიოდა მხრებში გამართული ახლოგაზრდა წვეროსანი, თავი მაღლა ეჭირა, მზერა ცისკენ მიეპყრო და გულში ორმოცდამეთე ფსალმუნს იმეორებდა. ბევრი არ ჰქონდა დარჩენილი საერთო საცხოვრებლამდე, როდესაც წინ მასსავით მოხდენილი, საშუალო სიმაღლის, ოდნავ შევსებული ახალგაზრდა მამაკაცი გადაელობა.

– საიო გაგინევია, მამაო, – გაიკრიჭა, – არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო. მე გიცანი წვერში ჩამხრივალი და შენ გაგიჭირდა ჩემი ცნობა? როგორც არ უნდა შემოსიო, როგორც არ უნდა დაიბურო სახე, სიარული მაინც გაგყიდის. რამდენი ხანია, არ მინახავხარ, შენზე ამბობენ, მდვდლობას აპირებსო, – არ ჩერდებოდა ახალგაზრდა.

– ელეფთერ, შენ ხარ ბიჭო?

– ხო, რა გაგიკირდა. მე ვარ, ლუკაია, მე, –

და გადაეხვია, – სიარულზე გიცანი. მოიცა, ერთი კარგად შემოგხედო. – უკან დაიხია და შეათვალიერა. – გიხდება, ხომ იცი, წვერი. დღეიდან შენი „კლინკა“ მამაო იქნება. ახლა რას გაარჩევ, ვინ არის მღვდელი და ვინ – ერისკაცი. ყველას წვერი აქვს მოშეგებული. მცც მოვუშვი, მარა არ მომენტინა, რიუჟ წვერი ყველას თვალში ხვდებოდა, ბოლოს და ბოლოს, უწვეროებიც ხომ უნდა იყვნენ. – მხარზე გადახვია ხელი ელეფთერმა. – კაი, დაგანებოთ ამას თავი. როგორ ხარ? გამხდარხარ კი. ეგ არაფერი, – მზრუნველად გადახედა, – ანი მე მოგაფერიანებ, ველარსად დამეკარგები.

ლუკამ პატარ პაუზით ისარგებლა და ძლივს ჩააკვეთა რამდენიმე სიტყვა.

– როგორ გამიხარდა, ბიჭო, შენი ნახვა. რას საქმიანობ, ელეფთერ?

– ჯერ ერთი, მე ელეფთერი აღარ ვარ.

– კაი, კაცო, აბა მოჩვენება ხარ?

– ერეკლე ვარ ანი. ერთი ის გამაგებინა, რა ჯანდაბამ დაარქევინათ ჩემთვის ელეფთერი. –

პიჯაკის ღილები ჩაიხსნა და წინ გადმოცურებული შავი პისტოლეტი უკან თეძოსკენ გააცურა. – ხო, ახლა ერეკლე ვარ. ისე ხან დავითი ვიყავი, ხან –

დემეტრე, სხვა სახელებიც მოვიზომე, მაგრამ ერეკლე ყველაზე მეტად მომწონს, კარგად ულერს, ასე სჭირდება საქმეს. ხომ მართლაც კარგად ულერს? –

ღიმილი არ შორდებოდა სახიდან ელეფთერს. – ასე-თი სახელით რომ გაეცნობი კაცს, სულ სხვანაირი მოწინებით განეწყობა შენს მიმართ. სახელი, ძმაო,

დიდი შინაარსის მატარებელია, ისინი კიდევ ელეფთერიო. მღვდლებსაც ხომ ორი სახელი აქვთ. შენც შეგიცვლიან სახელს. არა, არა, – ხელები გაასავსავა, – მე უკვე დაგარქვი შენ სახელი. დღეიდან შენ „მამაო“ ხარ.

– ეჭ, შენი გამოსწორება არ იქნება, ელეფთერ, – თავი გადაიწინა ლუკა.

– ა, კიდევ, ელეფთერი კი არა ერეკლე, დაიმახსოვრე, თავი არ მომჭრა საზოგადოებაში.

ოლე, №1, 2019





– გეყოფა ლაზლანდარობა. შენ ის მითხარი, რას აკეთებ ამ უკულმართ დროში.

– ნუ ხარ მოუთმენელი. ახლა ეგ სამოსი გა-მოიცვალე და რესტორანში წავიდეთ, იქ ვიბაზროთ, როდემდე უნდა ვიდგეთ ქუჩაში. შენი საყვარელი ლუდიც იქნება და სხვა ბევრი რამეც.

– სად ისნავლე, შე უნიგნურო, ასეთი დახვენი-ლი საუბარი? – გაეხუმრა ლუკა.

– ბიჭო, წადი გამოიცვალე-მეთქი.

ორიოდე წუთი მოანდომა ლუკამ გამოცვლას. ასარჩევიც ბევრი არაფერი ჰქონდა, გარდერობში სიღარიბე დაქსიტინებდა. ელეფთერს დამტვრეული ძელსკამის კუთხეზე ჩამოსვენა და სიგარეტს აბოლებდა. შეუმჩნევლად წამოპარა ლუკა და თავზე წაადგა. ელეფთერი ფეხზე წამოვარდა და იარაღზე გაიკრა ხელი.

– მე ვარ, ბიჭო, რამ შეგაშინა!

– ფეხშიშველი ხომ არ დადიხარ, კაცო? ჩქამიც კი არ გაგილა.

– რა იყო, იარაღიანი კაცი რამ დაგაფრთხო? – იორნია გაერია ხმაში ლუკას.

– ცუდი დროა ახლა, ძამია, ძალიან ცუდი. დასწრებაზეა ყველაფერი, კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. წავედით, წავედით, ცოტას გაგამხიარულებ, სულ მაღლა-მაღლა რომ იხედები, ცოტა ხანს მიწაზე დაეშვი, აქაც ბევრი საინტერესო რამ ხდება. ლამაზი და ცდუნებებით სავსეა ეს წყეული საწუთრო, მოდი და გაუძელ, თუ ბიჭი ხარ.

– რა ქარაგმებით, განსაზღვეული ბრძენებაცივით მელაპარაკები. შე ჩემას, ჩემი დედას, სულელოს და ჩერჩეტოს მეტი შენგან არაფერი მსმენია.

– უნდა განვითარდე, ძმაო, სულ პირველ კლასში ხომ არ იქნები. არც ძველი დამვიწყებია, სულ მეიტანე-წევილეს ხომ არ ვიძახებ. ახლა ასე სჭირდება საქმეს.

– ვინ გაგანათლა, ასე ბრძენებაცივით რომ საუბრობ? – ისევ გაიმეორა ლუკამ.

– თუ მახსოვრობა არ მღალატობს, სკოლაში შენზე ნაკლებად არ ვსწავლობდი. აიღებენ დიპლომს, შემოდებენ კამოდის თავზე და დაარიკინებენ ტაქსის, თან მოჩვენებითი დანანებითი იტყვიან, რა ვუთხარი ამ დროსო. – მერე წითური თმა მოიქექა, ლუკას სახეში შეჩერდა და ინშინის მოგებით ჰქითხა,

– აბა, მითხარი, სტალინმა რომელი ინსტიტუტი დამათვრა? შენსავით სემინარიაში სწავლობდა და ისიც არ დაუმთავრებია. არ აზანზარებდა მსოფლიოს?

ლუკამ თავშეუკავებლად გადაიხარხარა, ძლიერ მოითქვა სული და უთხრა:

– მაოცებ პირდაპირ, შეგრცხვეს პატარა, ცოტა ნაკლებს მაინც გაუყადრე თავი.

– რავა ტყუილია, თუ? – და თვითონაც ახარხარდა ელეფთერი.

გამხიარულებული ბიჭები რესტორანს მიადგნენ, რომელიც სხვა შენობებისგან არაფრით გამოიჩინდა. მხოლოდ განათებული აბრა მიანიშნებდა, რომ აქ მოსალხენი ადგილი იყო.

– საოცარია პირდაპირ, მთელი ქალაქი თითქმის ჩაბნელებულია და აქ კი ყველაფერი ჩახჩახებს.

– მოხერხება უნდა ყველაფერს, ძმაო, მოხერხება და ილბალი. ერთი წუთით, ყმაწვილო, ერთი წუთით, – და პარმალთან მისულმა დაბლა რამდენიმე საფეხური ჩაირბინა.

– ისევ? არ მითხარა ახლა, მაშინდელივით აქ დამელოდეო.

– არა, არა, აგერ ვარ შენთან ერთად. ერთი სოფლელი მეზობელია. ცოტა უტუა, მაგრამ საქმის გამკეთებელი, სულ თან დამყვება, დავუძახებ. სადღაც აქ მელოდება. – შეცბუნებულს რომ შეხე-და, ისევ გაუმეორა, – შენთან ვარ, არსად მივდივარ.

არ დაუძახია, დაუსტვინა მხოლოდ. სიბნელი-დან ტანბრგე ახალგაზრდა გამოვიდა, შავი ლაბადა მუხლებამდე ჩამოშვებოდა, გრძელი შავი თმა ბენ-დენათი წაეკრა და უშინაარსო თვალებით იმზირებოდა. – კოჭოია, შევიდეთო, – უთხრა ელეფთერმა. ლუკას გაელიმა – ეს თუ კოჭოია.

ბიჭები შენობაში შევიდნენ. საკმაოდ ვრცელი დარბაზი იყო. თეთრ ფერებში, გაკრიალებული. მერთალი შუქი ინტიმურ გარემოს ქმნიდა. რესტო-რანი სანაცხევროდ შევსებულიყო, აქა-იქ შეზარხოშე-ბული კაცების ხმამაღალი საუბარი ისმოდა.

– ვიღას სცალია სარესტორნოდ, ჩამოშლილია ქვეყანა, სირცხვილიცაა, – ჩაიღაპარაკა თავისთვის ლუკამ.

– შენ ეგრე გეგონოს, ცოტა ხანში აქ ნემსის ჩასაგდებ ადგილსაც ვერ იპოვი.

– სად დავსხდეთ? – იკითხა ლუკამ.

– მოთმინება ყმაწვილო, მოთმინება. მოთმინებაა საწინდარი ცხონებისა, ასე არ წერია იმ წიგნებში, შენ რომ ყოველდღე კითხულობ?

გაოცებულ ლუკას ხმა აღარ ამოულია.

– ნუგზარ! – დაიძახა ელეფთერმა. – ხედავ, რა სახელია? – მოუბრუნდა ლუკამ, – ნუგზარ არაგვის ერისთავი, შენ კიდევ ელეფთერიო.

მხრებში გამართული ახალგაზრდა მამაკაცი მოცეკვავესავით მოხდენილი მოძრაობით მიუახლოვდა ელეფთერს და გადაეხვია.

– ისევ იმ ოთახში. რაც საჭიროა, შენ ჩემზე კარგად იცი, – უთხრა ელეფთერმა.

– ახლავე მოგაქცევენ ყურადღებას. აი, ის გოგო მოგემსაზურებათ, – და ხელი ტანაშოლტილ, ქერათმიან და მოკლევაბიან გოგონასაკენ გაიშვირა.

გაყირვებული ათვალიერებდა ლუკა კეთილმოწყობილ ოთახს. კედლები ისე იყო დამშვენებული მხატვრის ტილოებით, საგამოფენო დარბაზი გეგონებოდა.

– ალბათ რეპროდუქციებია ნიჭიერად შესრულებული, თორემ ამდენ ორიგინალს მუზეუმშიც ვერ ნახავ. მხატვრობის მოყვარული ყოფილ რესტორნის მეპატრონე, – გაუელვა ფიქრმა ლუკას. – ალბათ რომელიმე ნიჭიერ მხატვარს გადაახატვინა.

– რას ჩაჰკირკიტებ, მოგეწონა? ერკევი მხატვრობაში?



ლუკამ მზერა ტილოებიდან ელეფთერზე გადაიტანა:

– ბევრს ვერაფერს, ერთი მხატვარი მეგობარი მყავს – მერაბი, ის მიხსნის ხოლმე, თანაც სემინარიაშიც გვაქვს ხატწერის გაკვეთილები. გამიკვირდა, ისე ოსტატურადაა შესრულებული, გეგონება ორიგინალია.

– ვინ იცის, ვინ იცის, – ორაზროვნდა ჩაიცინა ელეფთერმა.

– იქით რაღაა? – მასიურ ხის კარზე მიუთითა ლუკამ. ისევ ღიმილი გაუკრთა ელეფთერს. ამ დროს ტანაშოლტილმა ოფიციანტმა შემოალო კარი. ლუკამ მზერა უსულო ცივი ტილოებიდან მომავადოებელ სილამაზეზე გადაიტანა, ისე ახლოს იყო, სუნთქვაც კი ესმოდა. მაღალი, მომხიბვლელი მკერდი თანაბრად აუდ-ჩაუდიოდა. ყველაზე მეტად თვალებმა გააკვირვა. უზომოდ მეტყველი, ამასთან ნალვლანი, მაყვალივით შავი თვალები უძვირფასესი სამკაულივით ჩაეხატა შემოქმედს ულამაზეს თეთრყირმიზ სახეზე. მზერას დაემონა მთელი არსებით და ქვემოთ გაექცა თვალი. არასოდეს ენახა ასეთი სწორი და ლამაზი ფეხები. მალევე გამოერკვა, შეცტუნდა, დაიმორცხვა და აფორიაქებულმა ისევ ტილოზე გადაიტანა მზერა. ღიმილმორცეული შეჰყურებდა ერეკლე ლუკას ნამიერ გარდასახვას.

– ასე იცის, მათ, მიწაზე დაშვებამ, შენ კი არა, ეშმაკიც ვერ გაუძლებს მის მომხიბვლელობას. – გაიფიქრა თავისთვის.

– რა მოგართვათ, ბატონო ერეკლე?

– შენ ხომ ჩემზე კარგად იცი, ჩემო ნათია! – უპასუხა სახეგაბადრულმა ელეფთერმა, – ვენდობი შენს ალღოს და გამოცდილებას, იმედია, არ შემარცხვენ მეგობართან. ხო, მართლა, გაიცანი ჩემი სიყრმის მეგობარი.

ნათიამ ნაბიჯი წინ გადმოდგა და ლუკას ხელი გაუწინდა – ნაზი და ლძილი თითების შეხებამ ურუანტელი მოჰვერა. ღმერთო, მართლაც მზესავით არ ანათებს.?! ნათია ოთახიდან გავიდა და იმწამსვე ბენდენიანმა ახალგაზრდამ შემოალაჯა. ლაბადა გაიძრო, სკამზე გადაჭიდა, მხრიდან ავტომატი მოიხსნა, კუთხეში კედელზე მიაყუდა და უბოდიშოდ მიუჯდა მაგიდას.

– ხომ გითხარი, უტუა-მეტქი.

ბენდენიანს აინუნშიც არ ჩაუგდია მისი სიტყვები. ცოტა ხანში სამეფო სუფრა გაიშალა.

– რომელ ღვინოს მიირთმევ, ახალგაზრდავ, წითელს თუ თეთრს?

– როგორც ამბობენ, სამქურნალოდ წითელი ჯობია, მოსალენად – თეთრი.

– სწორადაც ამბობენ, ყმანვილო. ბევრი კარგი რამ გვაქვს ქართველებს. სუფრის კულტურა ერის კულტურის გამორჩეული ნანილია, მე თუ მკითხავ, გვირგვინიც.

ლუკას აოცებდა ელეფთერის ასეთი გარდასახვა. ეს მართლაც არ არის ელეფთერი, აუცილებლად უნდა გავარკვიო, როგორ გადაიქცა ერეკლედ. აუცილებლად გავარკვევ, თანაც დღესვე.



33

მხატვარი სოფიო ჭელიძე

კუუჯდამალობით და მორცხვობით არაფერი გამომივაო, – ფიქრობდა ლუკა და სითამამისთვის ღვინოს მიეძალა. ღვინოსაც არ შეურცხვენია თავი, მორიდების საზღვარი ნისლივით ქრებოდა, მხოლოდ ნათიას შემოსვლის დროს მუნჯდებოდა. მისდა გასაკვირად ყოველ შემოსვლაზე ელეთმელეთი მოსდიოდა და სათქმელს ვეღარ აბამდა თავს. გასვლისას კი ისევ ლალი და ენანცლიანი ხდებოდა. მაგრამ მაინც აწუხებდა რაღაც. მძიმე ტვირთივით აწვა მხრებზე და ბოლომდე ვერ განთავისუფლებულიყო. მისთვის უცნობ სამყაროში აღმოჩნდა, რაც ძალიან ბოჭავდა. უწვეულო გარემო, ღვინო და ქალი საოცრება. უკითხავად მიძინებულმა გრძნობამაც გაილვიძა, რომელიც ძალას იქრებდა და მოთიკება უჭირდა. გულში დაუწყო თავის თავს კიცხვა – მოეშვი, მერე რა მოხდა, თუ ათაში ერთხელ ღვინოს დალევ, რა არის ამაში დასაძრახი და სამარცხვინო, სიხარული და მხიარულებაც ხომ ღვთისგანააო. გიხაროდენ და მხიარულ იყვენითო, ესეც გაიხსენა, მაგრამ რაღაც მაინც წინწინდა გულს, რაღაც აფრთხობდა და აფრთხილებდა. არც პავლე მოციქული დავიწყებით, ზომიერად ღვინის ხმევის საჭიროებაზე. უხილავი, შემანუხებელი და დამთრგუნველი გრძნობებისგან თავის დასალევად მოზრდილი ჭიქით ღვინოს დაენაფა, ფეხზე ნამოდგა, აბეზარი ფიქრების მოსამორცლად ხელი აიქნია და მისთვის უჩვეულო რიხიანი ხმით ელეფთერს მიმართა:

– ბიჭო, ერეკლე ხარ, თუ ელეფთერი, გამაგებინე ერთი, ნამდვილად ვინ ხარ, რატომ გეპყრობიან ასე მოწინებით, ან საიდან ფული. ვისი შეგირდი იყავ, საიდან ასეთი დახვენილი არისტოკრატული მანერები, სად ისწავლე ასე გამართული ლიტერა-





ტურქული ენით საუბარი? ბოლობოლო ვინ ხარ შენ?

მთელ სალამის ელეფთერს ლიმილი არ მოშორებია სახიდან, გულწრფელად უხაროდა სიყრმის მეგობართან შეხვედრა. ახლაც სახეგასსხვოსნებულ-მა მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— სად გეჩქარება, დატები მომენტით, ამ ღამის უფალი მე ვარ, მთელ შენს დარჩენილ ცხოვრებაში არ დაგავინყდება ეს ღამე, ამაზე მე ვიზრუნებ. — ისიც უხაროდა, ლუკას დაბეჭულ სახეს რომ ხედავდა. — რა მითხარი მაშინ, ბაბუშენი ხომ მიღიონებში იხრჩობოდა? რომ იცოდე, ფულის შორვაზე ადვილი არაფერია. მთავარია მონდომება და იმ ნიჭის მაქსიმალურად გამოყენება, რომელიც ბუნებამ მოგანიჭა. — მერე ხელი ასწია, ტილოებს მოავლო მზერა და პათეტიურად ნარმოთქვა: — ბუნება უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, ხოლო წრენირი — არსად. — წამიერად გაჩერდა და დაბალ ხმაზე დააყოლა, — პასკალისაა ძმაო. მე კი ყველგან ვარ და ამავე დროს — არსად. ბუნდოვანია ხომ? — ხელი ჩაიქნია, — შევეძვათ...

ყბაჩამოვარდნილი ლუკა მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

— შენ ჩემი გაგიუბა ხომ არ გინდა, ბიჭო! — მერე მოულოდნელად გადაიხარხარა, გონებაში მობორიალე ურთიერთსანინალმდეგო აზრებს კარი გადაუკეტა და მონატრებულ შეგობართან ერთად მხიარულებაში გადაეშვა. — თუ ძმა ხარ, ერთი ეგ შენი მეგობარი ცოტა ხანს გაუშვი. გულახდილი საუბარი მხადა შენთან.

ელეფთერმა თვალით ანიშნა უტუს, ცოტა ხნით დაგვტოვეო, ისიც უსიტყვოდ წამოდგა ფეხზე და ავტომატს მისწვდა.

— არ გინდა, დატოვე, არ დაგჭირდება.

კოჭოიამ კარი გააღო და შეყოვნდა. ლუკამ თვალი ჰკიდა გადაესებულ დარბაზს, ესტრადაზე მომდერლები შეკრებილიყვნენ და ვიღაცის შეკვეთას გულმოდგინედ ასრულებდნენ. ესიამოვნა წაცნობი მელოდია.

— თუ გინდა, ყველას აქ შემოვიყვან. — შესთავაზა ლუკას.

— არ გინდა, ელეფთერ, არა, მე შენი ამბავი უფრო მაინტერესებს, ხომ იცი, ძნელია, სიმღერით გააკვირვო ვინმე ჩევნთან.

კოჭოია კი კარში გაჩერილიყ.

— დაგვტოვე, კოჭოია, დაგვტოვე, დაგიძახებ მერე.

აწონილი ახალგაზრდა უკანმოუხედავად გავიდა და კარი გაიხურა. ელეფთერიც წამოდგა, ლუკას ბეჭებზე ხელი მოუთათუნა და დევლებურად მიმართა — შე ძეველო. სკამი მაგიდისისცემშე შეაჩოჩა და ბოლთის ცემას მოჰყა. უხმაუროდ, ფაქიზად დგამდა ნაპიჯებს, თითქოს რაღაცას ეპარებაო. კრანახის „მაჭანკალთან“ შეჩერდა, დიდხანს უმზერდა, მერე თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, მიღმიერში გადასულმა წარმოთქვა:

— ბავშვობის წლები ყველაზე საუკეთესოა ადამიანის ცხოვრებაში. სუფთა, უხინჯო და წმინდა.

— მის სახეს სევდა მორეოდა, თვითონვე ეუცხოვა თავის ხმა. გამოერკვა და წამიერად ისევ მომღიმარ ელეფთერად იქცა, თავისთვის კი გაიფიქრა, — ყველას აქვს თავისი პატარა სისუსტე, რომლის შენიღბულაც ყოველთვის არ ხერხდება.

— ბიჭო! — მიუბრუნდა ლუკას, — გახსოვს, ბავშვობის ზაფხულს თბილ წვიმაში რამდენს დავტანტალებდით ფეხშიშველნი. თეთრეულებიან ბალაბში რამდენს დავდევდით ბურთს და საღამოზე დასისხლიანებული ფეხებით ვბრუნდებოდით შინ. მთელი ღამე ფეხებზე ცეცხლი მეკიდა. შენ რა გიჭირდა, დები გეხმარებოდნენ ეკლების დაძრობაში, ჩევნ კი რა უნდა გვექნა, ძმებს. ხო, კიდევ, შენ ტალახის ზელა გიყვარდა, რა ლამაზ ფიგურებს ძერნავდი ხოლმე, — ისევ წარსულში გადავარდა ელეფთერი. ლუკას არ გამოჰპარვია მისი წამიერი ფერისცვალება, რატომლაც შეებრალა და მისდა გასაკვირად, ცრემლი მოაწვა თვალზე. ელეფთერი მაგიდას მიუჯდა, მოზრდილი ჭიქა ქარვისფერი ღვინით შეავსო, ლუკასაც შეუესო.

— ე, ბიჭო, გეყოფა, გამოვთვრები და ერეკლეს შესახებაც ვერაფერს გავიგებ.

— ნუ გეშინია, ყმზვილო, ანი ვერსად დამეკარგები, — ელეფთერი ფეხზე წამოდგა და სადლეგრძელო თქვა, — მოდი ჩევნს მეგობრობას გაუმარჯოს. სანთლით საძებარია დღეს წამდვილი მეგობარი. — მერე ცოტა დაყოვნდა და გააგრძელა, — სიყრმის მეგობარზე ძვირფასი არაფერია, წალდია, გულწრფელი და უღალატო. ღვინით ფულით და გავლენით დამეგობრებულნი პირველსავე განსაცდელის ჟამს ჩამოიშლებიან ხოლმე. მოდი, ვახტანგურად დავლით.

ბიჭებმა სასმისი გამოცალეს და ერთმანეთს გადახეხვინენ. ღვინო კი დინჯად იღვწოდა. შეჰყვენენ ისევ საუბარში. ბავშვობისდროინდელი სხვა ამბებიც მოიგონეს. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, უმიზეზოდ იცინოდნენ და ღვინოს ნება-ნება ყლუპავდნენ. ელეფთერმა მოუკლო სმას, ლუკა კი ჭიქებს აცარიელებდა. უზომოდ მხიარული იყო და გადამთვრალი. ნათიამაც მოუხშირა შემოსვლას. ლუკას გვერდით ჩამოჯდებოდა ხოლმე, კერძებს ურჩევდა და განუწყვეტლივ კისკისებდა. ლუკა კი ღვინოს სთავაზობდა, აღარც იბნეოდა და აღარც მუნჯდებოდა, გაუთავებლად ლაქლაქებდა და ხელზე ეტანებოდა. ბოლოს სკამიდან წამოვარდა, თიხის ფიალა ღვინით შეავსო, მუსლიზე დაეცა და შენდორ ჰეტეფის ლექსი ისეთი განცდით, ისეთი გრძნობით წაიკითხა, რომ ნებისმიერ მსახიობს შეშურდებოდა: „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი“... და ცრემლმორეულმა და აღტყინებულმა ბოლომდე ჩამთავრა. მერე გაირინდა, თავი ჩაქინდრა და დიდხანს დასცეროდა იატაკს. მომხდარით გაოცებული და გრძნობამორეული ნათია მიუახლოვდა, მკლავში ხელი გამოსდო და ფეხზე წამოაყენება.



შემოიხვია და ნელი მოძრაობით მუსიკას აჰყვნენ.

- ხომ ვამბობდი, ეშმაკაცაც შეაცდენს-მეთქი,
- ჩაილაპარაკა ელეფთერმა და უხმოდ გაიძურნა. ლუკას არც მისი შემოსვლა გაუგია და არც გასვლა. ნათიამ კი ცეკვა-ცეკვით, ნელი და ნაზი მოძრაობით, მეორე კარი გააღო და წყვილი სილრმეში გაუჩინარდა. კედლიდან უკბილო „მაჭანკალი“ იმზირებოდა და ხარხარებდა.

თავის ტკივილმა გაახელინა თვალი. საფეთქლებში ჩაქუჩივით ურახუნებდა რაღაც. წამოჯდა, ირგვლივ მიმოიხედა, ეუცხოვა გარემო. თავის ტკივილმა ისევ ლოგინზე წააქცია. აზრებს იკრებდა - ნეტავ სად ვარ? აქ, როგორ მოვხვდიო. ისევ დახუჭა თვალი. შემანუხებელი ტკივილი არ ასვენებდა. წამოჯდა და ყოველი კუთხე-კუნჭული თვალით მოჩერიკა. მხოლოდ ფილმებში თუ ენახა ასეთი ფუფუნება. სიზმარში ხომ არ ვარ ნეტავო. ჯოჯოხეთურმა ტკივილმა ფეხზე წამოაგდო, სასთუმალთან სიგრეტს მისწვდა, სანთებელა გაჩჩისაკუნა და გააბოლა. ისეთი ხველება აუტყდა, ლამის დაიხრჩი. მე ხომ არ ვეწევით. კედლებზე მიმარტულ უზარმაზარ სარკეში აირეცლა მისი შიშველი სხეული. შეცბა, სხვა ეგონა და ისევ სანოლში შეძრა. თავი ახლა მარცხნივ მიაპრუნა, კედლიდან ულამაზესი შიშველი ქალი იმზირებოდა, ზღვიდან ახლად ამოსულს წყლის წვეთები ტანზე მიჰკვროდა. ამდვრეული მზერით შესცეკროდა სურათს და როგორც ბურუში გამოაჭირებს ხოლმე მზე, ისე გამოიკვეთა გუშინდელი ლამის კონტურები. აკანკალებული ხელით მისწვდა სამოსს, თავი მოინტერიგა და მასიური ხის კარი გამოაღო. განახლებული სუფრის თავში ელეფთერი იჯდა და ულიმდა. გახევდა. მერე ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მომჩვარული სკამზე დაესვენა.

- თუ არ დაეცი, ვერასოდეს გაიგებ ალდგომის სიხარულს. ხომ გაგიგონია.

- გამაგებინე, ვინ ხარ? - ძლიერ ლუკამ.

ელეფთერმა ნათქვამს წაუყრუა.

- სანამ შენ გეძინა, მე შენი საქმეები მოვაგვარე.

- რა საქმეები? - უაზროდ იკითხა ლუკამ და უკვე სულერთიას სინდრომით შეპყრობილი ბორჯომის წაეტანა, ბოთლიდანვე დალია.

- შენს სასწავლებელში ვიყავი, მოვახსენე, დედა ჰყავს ავად, წუხელ სასწავლოდ სოფელში გაემგზავრა და ათი დღე არ იქნება-მეთქი. ასე რომ, ათი დღე თავისუფალი იქნები.

- ალარც მეკითხები, ისე წყვეტ? ანდა ანი რაღა აზრი აქვს. რა მეთქმის, - ხელი ჩაიქნია და თავი ჩალუნა.

- კარგი, კარგი, გეყოფა თვითგვემა, არაადამიანური არაფერი ჩაგიდენია. ვიღაც ფილოსოფოსი ამბობდა: ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არააო.

- ისევ დაიწყე!

ელეფთერი ფეხზე წამოვარდა:

- გეყოფა, გამოფხიზლდი, ძალიან მჭირდები. პატარა გამოცდა მოგიწყვე, ვერ გაუძელი და ჩაიჭრი. თუ დასვაა, შენზე მეტად მე დავისჯები. ვაი მაცდუნებელსო, ხომ ამოგიკითხავს. ახლა რაც შემეხება მე, ვიცი, კვდები ცნობისმოყვარეობით, ჯერ სული მოითქვი, წაიხემსე, მერე ყველაფერი თანმიმდევრობით.

* * *

- გახსოვს, რომ გეუბნებოდი, სოფელში ყველაზე დიდი და ლამაზი სახლი ვის აქვს-მეთქი, - ბოლთის ცემას მოჰყვა ელეფთერი. - რა თქმა უნდა, გემახსოვრება, - თვითონვე დაამოწმა თავის ნათქვამი, - ისიც გემახსოვრება, მასთან დავდივარ და პატარა დავალებებს მაძლევს-მეთქი, რომ გითხარი. იმ კაცმა ჩემში მისი საქმისთვის სასურველი და გამოსადეგი რამ დაინახა. მოხერხებული და ცულლუტობისკენ მიდრეკილი ბავშვობიდანვე ვიყავი. არ გამომეპარებოდა, ვისთან მწიფდებოდა პირველად ბალი, თხილი, შენ წარმოიდგინე, კიტრიც კი. ამასთანავე მიბაძვის საოცარი უნარი მქონდა - ხმის, მიხვრა-მოხვრის, გარდასახვის სხვა ნიჭიც. მარტო ჩიტების გამოჯავრება რად ლირდა. შაშვს ისე ვეპაექრებოდი, გელამ, ახლა გერმანიაში რომაა, კინალამ თოფი დამახალა. თვითნაბად ოქროსავით ვიყავი, რომელსაც დამუშავება და სათანადო ფორმაში მოყვანა სჭირდებოდა. გუმანით მიხვდა, რა ხვითოც ვიყავი და დაუზარებლად მოჰყიდა ხელი ჩემს გაშალაშინებას. მასალა მოზელილი იყო, სათანადო ყალიბში ჩასხმალა აკლდა. არც წარმოსადეგობა, შეხედულობა და მომხიბულელობა მაჟლდა, რომელსაც ამ საქმეში ხანდახან გადამწყეტი მნიშვნელობა აქვს. კაცთა მოდგმის უმეტესი წანილი სახიერებით იხიბლება და ხშირად განსჯის უნარსაც კარგავს. კარგი ნედლი მასალა ვიყავი. ოსტატზე იყო დამოკიდებული ქოთანს ყურს საიდან მიაბამდა. საჭირო იყო განსწავლულობა, კარგი განათლების მიღება, ადამიანებთან შთაბეჭდილების მომზდენი ურთიერთობის დამყარება, დამარწმუნებელი საუბარი, კონტაქტში ადვილად, მაგრამ მორიდებით შესვლა, ზრდილი და დახვეწილი ქცევები, ხელგაშლილობა და დარწმუნება იმაში, რომ გვერდზე დაუდგები, მისი ერთგული მეგობარი გახდები და მისთვის ყველა საჭირბორო სატკივარს უწამლებ. მოკლედ, მსახიობობა უნდა შემძლებოდა და მასწავლებელი დამიქირავა. ნებისმიერ დროს შემეძლო უარის თქმა, მაგრამ მიუხედავად სირთულეებისა, ოფლის ღვრისა, აზარტში შევედი, მაინტერესებდა რა გამოვიდოდა ჩემგან. სამი წელი დამჭირდა რათა დახვეწილი ლიტერატურული ენით მესაუბრა. უამრავი წიგნი წავიკითხე, განსაკუთრებით საღვთო ლიტერატურის წაკითხვა-სწავლაშ დამტანვა. ვეკითხებოდი, ეს რაღა საჭიროა-მეთქი და მპასუხობდა, - ყველაზე მეტად გამოგადგებაო. სახარება თითქმის დავიზეპირე. არაერთხელ გადავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“... შევიძინე ცალკე წიგნად





გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები და დავიზეპირე. უამრავი ლიტერატურიდან, რაც მე წავიკითხე, გაგიკვირდება, მაგრამ გამორჩეულად მაინც „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მიყვარდა, რაღაც ჩემეული იყო მასში. ვბაძვდი. დიდი გაქანებისაა, მას ვინ შეედრება. კატეგორიულად ამიკრძალა კუთხურ ენაზე საუბარი. ახლა ხომ ხედავ, როგორ ვსაუბრობ. მეუბნებოდა, – ბრძნენთან ბრძენი უნდა იყო და ბრიყვათან – ბრიყვი ჩვენს საქმეში არ აქვს გამართლებაო. პირიქით, ბრიყვათან ჭკვიანად უნდა წარმოაჩინო თავი, უნდა გააკვირვო, უნდა დაარწმუნო, რომ შენ მისთვის წარმოუდგენლად დიდი სიმაღლე ხარ და ყველა საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა შეგიძლია. ჭკვიანს თავი სულელად უნდა მოაჩვენო, უფრო მოგენდობა. განსწავლის პერიოდში, პრაქტიკული გაკვეთილებისთვის, ხანდახან ეგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებაში გამიყოლებდა. ჩრდილივით შეუმჩნეველი უნდა ვყოფილყავი. ის ფრაზეოლოგია უნდა შემეთვისებინა, რომლითაც ისინი საუბრობდნენ. ქცევის ეტიკეტი და ბევრი სხვა რამ. მასწავლიდა და ამასთანავე მცდიდა. რუსული გამოთქმა უყვარდა „დავერია ნო პრავერიაიო“. ბრწყინვალე ფლობდა რუსულს, თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა და მეც მაიძულებდა მესწავლა. – მონადირესავით უნდა იყოო, ყოველი სიტუაციის შეფასება უნდა შეგეძლოსო. შეცდედე, ყველა შემთხვევიდან სარგებელი მიიღოო, როგორი მძიმე შემთხვევაც არ უნდა იყოს, ყველა მოვლენიდან შეიძლება სასარგებლო გაკვეთილის მიღებაო.

ელეფთერმა ბოლთის ცემა შესწყვიტა, ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა, ისევ რგოლებმი უყრიდა ანთებულ სიგარეტს. როგორც ჩანს, შეუძლებელია ყველა ჩვევის დავიზებაო, – გაიფიქრა ნაამბობით გამოვხიზლებულმა და გაოცებულმა ლუკამ. თავი ისევ ტეხდა, ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამს. შეჰერებდა ელეფთერის ჩაფიქრებულ სახეს, ნაადრევი ნაოჭებიც შეამჩნია თვალის უპეებთან. არაფერ უკითხავს, მოთმინებით ელოდებოდა.

ელეფთერი ისევ წამოდგა, მდუმარედ შემოუარა მაგიდას, კედელზე ჩამოკიდებულ სურათებთან შეჩერდა და დაუინებით შეაცქერდა. მუდამ მომლიმარი ელეფთერის სახეზე ლიმილი გამქრალიყო. შემობრუნდა და ლუკას მიმართა:

– რატომ არაფერს მეკითხები?

ლუკა თავი წამოსწონდა და მოკლედ უპასუხა:

– ველოდები დასასრულს.

ტურმა ლიმილის კონტურები მოხაზა: – მაშ მოისმინე, აღსარება, მამაო!

* * *

შელანძლული „შიგული 06“-ის მარკის ავტომანქანა ფრუტუნით მიუყვებოდა გზას. საჭესთან ოცდაათიოდე წლის უდალომიანი მამაკაცი იჯდა. გაუკაცრიელებულ გზატკეცილზე აქა-იქ თუ ჩაიკრილებდა ავტომობილი. ეს რა ჯაახანა შემხვდა, ჩამოვება კი ბოლომდე? ხაშურის შესასვლელთან

უცნაურფორმიან ადამიანთა ჯგუფი შეამჩნია. მოძრაობა შეანელა, ქამრიდან იარაღი ამოილო და გადატენა. ხელი აუნიეს და ანიშნეს მანქანა გაეჩირებინა. ახალგაზრდამ „შიგული“ მოშორებით გააჩირა, იარაღი ისევ მოსინჯა, კარი გააღო, გადმოვიდა და უცნაურად გამოწყობილ ახალგაზრდებს მიესალმა. ზოგს ჭუჭყიან ჯინსის შარვალზე სამხედრო ფორმის ქურთუე ეცვა, ზოგი ბათინკებით იყო, ზოგიც – ზონარშეუკრავი კედებით, საცოდავი შესახედავები იყვნენ და დაძაბულნი. სანადროოდ არიან გამოსული, – გაიფიქრა თავისთვის. სანამ რამეს ეტყოდნენ, თვითონ დასწრო: – რა გაგჭირვებიათ, ბიჭებო! ხომ არ შემიძლია რამეში დაგეხმაროთ?

მერე მოჩვენებითი დარდიმანდობით, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, სიგარეტის ამოსალებად გულის ჯიბეს მისწვდა და იარაღიც გამოაჩინა.

– ხომ არ მოსწევთ? – სიგარეტიანი კოლოფი ისე გაუწიდათ პასუხს არ დალოდებია. ბიჭებმა წინ წამოიწიეს.

– ორ ცალს ამოვილებ, – თქვა ერთმა.

– დაიტოვეთ, გქონდეთ, თქვენ უფრო დაგჭირდებათ, მე კიდევ ვიშოვი, – მოჩვენებითი მზრუნველობით გადახედა ახალგაზრდებს.

ბიჭებმა სიგარეტი გააბოლეს. დაძაბულობა ნელ-ნელა იმუხტებოდა, შხოლოდ კედებიანი იყურებოდა უნდოდ, ფერდაკარგულ თითებს ავტომატს მტკიცნეულად უჭირდა, ხელი უკანკალებდა.

არ გაუგარდესა ამ დამთხვეულს, ყველაზე საშიში მშიშარა კაციაო, ფიქრობდა, – ყველა ქუჩაშია გამოყრილი. ნადირობის დროა, მაგრამ იციან კი ამ ფრაზებმა საქმის კეთებას შნო რომ უნდა?! მფრთხალები არიან. სათანადო არც თავხედობა აქვთ და არც სითამამე.

დაყონება აღარ შეიძლებოდა, შეაფასა რა სიტუაცია, ინიციატივა თავის ხელში აიღო და როგორც მდგომარეობის ბატონ-პატრონმა მბრძანებურად მიმართა:

– ბიჭებო! რომელი საძმოს წევრები ხართ?

იმათაც უპასუხეს:

– გელასი. გელასი!

ლიმილი მოერია სახეზე უდალომიანს, თითქოს აკვნის მეგობარი ყოფილიყო მისი და სიტუაციის კიდევ უფრო დასათბობად ყველას ხელი ჩამოართვა. მერე ავტომატიანს მიუბრუნდა და დამცინავად მიმართა:

– ბიჭო, რავა რჩოლია ხარივით მიყურებ, განიეი იქით იარაღი, მაგასთან თამაში არ შეიძლება, უშმაქა არ სძინავს, მარცხი არ მოგივიდეს და არ გაგივარდეს.

ზურგი შეაქცია და გულის ჯიბიდან რაღაც საბუთი ამოილო. ავტომატიანი მაინც დაძაბული იყო.

– დაუშვი ნიკა, დაუშვი, ჩვენიანი ყოფილა. – შეუძახეს მეგობრებმა.

– მაინც რა გაგჭირვებიათ, ბიჭებო? – ახლა უკვე შინაურულად მიმართა.





– ცოტა ბენზინი გვეჭირდება. ტყუილად გვიგდია მანქანა. მანქანებიც თითქმის არ დადის, რომ ვისმეს სთხოვო, – ერთმა მათგანმა ორაზროვნად გაიღომა.

შნო და მარიფათი უნდა ყველაფერს, უნდა მივცე, – გაიფიქრა უდალთმიანმა. – რა იცი რას მოიმოქმედებენ, რომ დავიძვრები. მათ კი მხიარულ ტონით მიმართა:

– რაზეა პაზარი, ძმურად გავინანილოთ, რამდენიმე ლიტრს მოგცემთ, გადაუდებელი საქმისთვის მანქანაც კი შემიძლია დაგიტოვოთ და მეც გამოგყვეთ, მაგრამ მნიშვნელოვან საქმეზე მაგვიანდება. – გულში კი ისევ გაიფიქრა, გზაზე ვიწმეს გადავაწყდები და ბენზინს როგორ ვერ ვიშოვიო.

გახარებულებმა ლამის გადაკოცნეს უდალთმიანი და მანქანაში რომ ჯდებოდა, პატარა ფურცელი მისცეს, საშვის მაგვარი, – რიკოთთანაც დაგხვდებიან, იქაც ჩვენი ბიჭები არიან, აჩვენე და ულაპარაკოდ გაიშვებენ. უდალთმიანს არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიღომა, მანქანა დაძრა და გეზი დასავლეთისკენ აიღო. ბიჭები ხელის ქნევით დაემშვიდობნენ.

– ა, ბიჭო, კაცი. ეტყობა, ვიღაც მაგვარია, უშიშარი, ნარბიც კი არ შერჩევია. ზოგი კი ჩვენთან შეხვედრისას იფასმს. – ნაჩუქარ სიგარეტს მისწვდა, ასანთი გააჩხაუნა და გააბოლა. – სად შოულობენ ნეტა? კარგა ხანია, ასეთი სიგარეტი არ მომინევია. – და დაძრულ მანქანას თვალი გააყოლა.

– რა ვიცი, დანჯლრეული მანქანით კი დადის, – ეჭვიანობდა ისევ ნიკა.

– შესანიღბავად ბიჭო, შესანიღბავად. ამით შარსა და დავიდარაბას იცილებს. ხო მოისმინე, შემიღლია მანქანაც დაგიტოვოთ.

– რა ვიცი, რა ვიცი, – ეჭვის ჭია ღრღნიდა ნიკას.

რიკოთის გვირაბთან მართლაც დახვდნენ ბიჭები. ხორხოცებდნენ, იგინებოდნენ და აბოლებდნენ. მათთან მსახიობობის თავი ალარ ჰქონდა. გელას საძმოს წევრების საშვი აჩვენა და მათაც დიდანს არ შეუყოვნებიათ. ის იყო გვირაბში თავი შეჰყო, რომ ავტომატის ჯერი გაისმა. უსაქმურობისგან არ იციან რა გააკეთონ, ღლაბუცობენ, ერთობიან, – გაიფიქრა თავისითვის. მალე გვირაბს გასცდა და თავეჭვე დაეშვა. მოსახვევთან გარებული ავტომანქანა შენიშნა, მიუახლოვდა. გაზიალებული „გაზ-24“ იდგა. ნეტავ აქმდე როგორ მოაღწია, ამ მანქანაზე ხომ ნადირობაა გაჩაღებულიო.

მანქანის სხაზე „ვოლგიდან“ ჭაღარათმიანი ასაკოვანი მამაკაცი გადმოვიდა და ხელი აუწია. ან თავზე ხელაღებული უნდა იყოს, ან ძალიან უნდა უჭირდეს, – გაიფიქრა უდალთმიანმა, თავისი „უიგული“ უკან მიუყენა „ვოლგას“ და ასაკოვან მამაკაცს მონიშნებით მიესალმა:

– რა გაგჭირვებიათ, პატიცუცემულო, – და მისკენ გაემართა.

ასაკოვანმაც შემხვედრი ნაბიჯი გადმოდგა და ხელი გაუწიოდა. რა ზრდილი და თავაზიანი ახალგაზრდაა, – გიფიქრა გულში.

– თუ ღმერთი გწამს, იქნებ დამეხმარო, – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ასაკოვანი. – არ ვიცი, რა ეტაკა, ვერ ვერებავ. ბევრი არაფერი ვიცი მანქანის, ორიოდე წელია რაც მყავს, იშვიათად დავდივარ.

– ცუდი დროა ბიძია, ძალიან ცუდი, არ უნდა გამოსულიყავ.

– ვიცი, ცუდი დროა, აქვე ვცხოვრობ, სოფელში. დილით შემატყობინეს შენი შვილი დაჭრესო, რაღაც გაუგებრობაში მოჰყვა.

– ნუ გეშინია, ბიძია, გული დაიმშვიდე, არაფერი მოუვა, ახალგაზრდა კაცის სხეული ყველაფერს გადაიტანს. – დაამშვიდა ასაკოვანი.

– შენს პირს შაქარი, შვილო. – იმედის სხივი გაუკრთა კაცს.

– მოდი, ერთი ვნახოთ, რა სჭირს შენს მანქანას.

უდალთმიანმა მანქანაში შეიხედა. ახალივით იყო, მერე კაპოტი ასწია. შეამოწმა აკუმულატორი, კონტაქტები, საღენები, სანილები, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო.

– ბიძა, მათხოვე გასაღები. – მერე ყასიდად ჰკითხა: – ბენზინი ხომ გისხია?

მოხუცს ჯერ გაელიმა, მერე ნაღვლიანად დასძინა: – შავი დღისთვის მქონდა გადანახული და ეს დღეც დადგა, ავზი სავსეა.

– ნუ გეშინია, ბიძავ, ყველაფერი კარგად იქნება, – ისევ დააიმედა უდალთმიანმა. – ეტყობა, აკუმულატორია დამჯდარი. მოდი, ვცადოთ, რა გამოვა.

მანქანაში ჩაჯდა, გასაღები გადაატრიალა, ძრავას ჩქამიც არ გაულია. გადმოვიდა და აკუმულატორთან მიერთებული სადენები ისევ გასინჯა. ერთ მათგანს სუსტი კონტაქტი ჰქონდა.

– აბა, კიდევ ერთხელ ვცადოთ. – კაპოტი ჩამოუშვა და მანქანაში ჩაჯდა.

მოხუცს სახე გაბადროდა, ეს რა ლეთისნერი ახალგაზრდა შემახვედრა ბედმაო. მანქანა ჯიუტობდა, არ იქიქებოდა.

– მოდი, მომაწექი, იქნებ დაგორებით დავქოქოთ.

– ახლავე, ახლავე, – აფუცხუნდა მოხუცი.

– თავდაღმართია, ბიძავ, სულ პატარა ბიძგია საჭირო.

ასაკოვანი მიაწვა, მანქანაც გაგორდა, თანდათან სიჩქარეს მოუმატა, გაიფრუტუნა, შებორძიკდა და დაიქიქა.

– აგაშენა ღმერთმა, – სიხარულით წამოიძახა მოხუცმა და ტაშიც კი შემოჰკრა. მანქანამ სისწრაფეს მოუმატა და მოსახვევში მიიმალა.

* * *

ლუკა სრულიად გამოფხიზლებულიყო, ყურადღებით და ინტერესით უსმენდა. ელეფთერი კი ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა, წრიალებდა, ბოლთასა სცემდა, ხან ჩამოჯდებოდა, ხან ადგებოდა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




თინათინ სიყმაშვილი

38



საქართველოს განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანებულების



— ეგრე... — კბილებში გამოწერა-გამოლერლა კრძაკო-ფილმია. — არა, კიდე იქნიალე და იქშეცვენე!..

ოთხეტებში, რაჯ იყო, ამოსვლისა, ამოცვლისა და შორის, ლომის გადალმა და კრძაკო-გამოლერლი მთებისაკენ მიიღორის თავი... და, თითქოს ახლა მიხვდა სალორფავის საფასტურისა, ერთი სახუალონბლად დაინტენციალურა... იქ, ფერდონებზე, მისი ჭი-შიკა და მოდგმისანი თავისუფლად დახვანხვალონბრდნენ და დაშლივიგინობრდნენ...

თ. სიყმაშვილი

დიდსევლიანი პატარა ამბავი

მოშუადლევდა. ჯერ არ დამოკლებოდა ჩრდილები ხეებს.

მაგრამ ისეთი ხვატი იდგა, სუნთქვა ჭირდა.

არ იძროდა ნაავი, ფოთოლი არ ტოკავდა.

ალმურავარდნილ გზაზე ტილოსქუდიანი კაცი მიირყოდა და მიბლაცუნობდა. სიმძიმისგან ჩამოგრძელებულ ბადურას მიაქნევდა და მიაკონწიალებდა.

დროდადრო შეჩერდებოდა. სანდლებს წაიძრობდა ფეხიდან. გამოფერთხავდა და გამობერტყავდა ქვიშასა და მტკერს. ცალი ხელით რომ საჩრდილობელ-საფარობელს მოიშველებდა, ცალითაც უჯრედულა ცხვირსახოცს მიისვ-მოისვამდა თავსა და კისერზე, ოფლს მიიმშრალ-მოიმშრალებდა, მექუდეს დალოცავდა, ქუდს მაღლა აისროდა და თავს შეუშვერდა...

ისევ გაუყვებოდა. სავალი კი არ ილეოდა. უფრო და უფრო მატულობდა თაკარაც.

ერთხელაც შედგა გახვითქული. შეისვენა. მუხლიდან ქარი ამოილო. უცხოსავით დაზვერა მიდამო. ჯერ სად იყო, კიდევ ბევრი ჰქონდა საფლახუნებელი და საფრატუნებელი.

— შუადლე წამოვიდა. დავიგვიანე და ეგ არიო...

— ჩაიჯუჯლუნა, გვერდზე გაანიჭა და ნელა დაიძრა...

კარგად რომ აკეცა შარა, სიცხით გამობლეტილ თვალებში ქარისაგან გადალრეცილი კინკილა თუ-თის ხე გაებლანდა.

უჟ, ერთი იქამდე მიმაღწევინა და მეტი არაფერი მინდაო, ინაგრა. როგორც შეეძლო, აჩქარდა.

ცოტაც წაინია და ხელმარცხნივ კაკლის ხეები წამოიქმნირნენ. იქიდან უკვე ბალჩა-ბალები იწყებოდა.

ლრეცელა და კინკილა აღარ გახსენებია. გზა დააგდო, ბალახ-ბულახში ჩაკარგული ბილიკეც გვერდზე მოიტოვა და ყამირ-ყამირ გაუყვა.

მიდიოდა თავჩალუნული, ფეხი არსად ჩამი-ვარდესო, მითქერავდა და მითელავდა გაბარდულ ვარდეკაჭებსა და ძირტკბილებს, ღორისქადებსა

და კიტრანებს.

იხტომიალა, იწონიალა ნასიმინდარზე და უც-ბად თავისი აგარაკის ჭიშკარს მიადგა...

— ერთი მივივლ-მივივლი ჩემ ადგილ-მამულსა, თვალს გადავკრ-გადმოვერამ აქავრობასა, მერე მივეგდები გრილოში მწვანიანზედა და მზის ჩასლომდე აღარ გავიქნევ ფეხსაა... — წაულილინა თავისთავეს.

ხალათის ჯიბიდან გასაღები ამოაძვრინა. კლიტეს მოარგო. გადაატრიალა... კარს წიხლი ჰერა. შეაღო, შიგნით შეაბოტა და ფეხუკულმა მიიგულა.

შესვლისთანავე რაღაც არ ეთავისა.

ხელბადე ძირს დადგა. იქიდან სალაფავით პი-რამდემყრილი ჯამფილა ამოაცოცა...

და ვიდრე დაინახავდა, მანამდე მიხვდა, რომ თოვლია აშვებულიყო.

გრილოში, მწვანიანზე მიგდება და კოტრიალი რომ აღარ ეწერა, იმასაც მიხვდა...

ან რა დიდი დანახვა და მიხვედრა უნდოდა, როცა პატრონის გამოჩენაზე, სიხარულით აც-ქმუტებული და ანგმუტუნებული, შესაგებებლად არ გამოქანდა, ფეხებზე არ მიეგლასუნა, არ შეეტოტა და შეებლოტა.

— თოვლიავ, თოვლიაავ! — ერთი ორჯერ სავ-ინიციბოდ მოუხმო.

ფეხზე გამოდებული რგოლი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა. მთელი იყო. ძალას საყვლური კი არ გაეწყვიტა, კისრიდან წაეგდო.

უჟ შენიო, ამოიქმინა და საყვლურნაგდებულს რომ ვერ მისწვდა, ჯავრი იმაზე იყარა. იქით მოსიროლა. ჭიშკრიდან ქოხამდე გაჭიმულ მავთულზე გამობმული ჯაჭვი აულრიალდა და მტვერში ჩაითვალა.

გადაღმა მთა-გორები და კლდე-ლრეები იწყებოდა. მეჩხერი, ჯუჯა ბუნერითა და ეკალბარ-დებით აჯაგრულ ფერდობებსა და კბოდებზე რამდენიმე ძუკნა და ხვადი დაჯლიგინობდა და დაბლარძუნობდა...



უმალ იცნო... თოვლია გორებს ხან თავზე მოექცეოდა, ხან დაივაკებდა. ერთხელ სულ ახლოს ჩაიქროლა და თვალი წა-მიერადაც არ გაუპარებია ღობის შიგნით...

ყველაფერზე ეტყობოდა, იმ ჩირგვები-სა და ნარეკლების, მზისაგან გადატრუსული თხემებისა და სერების მეტი აღარაფერი ახსოვდა...

კაცი კი იდგა. ხან სალაფავს დახედა-ვდა, ხანაც, შეელთებული და გაბეზრებული, ამაოდ ცდილობდა, მხედველობიდან არ დაკარგვოდა გაორგულებული და გაგარეულებული...

იმასაც ყველაფერზე ემჩნეოდა, მეტს ველარ მოითმენდა...

ბოლოს, კი არ გასძახა, იხავლა: – თოვლიაავ, თოვლიაავ!..

იმან აინუნშიაც არ ჩააგდო. ვინ იცის, არც გაუგონია. ცხაურიდან შეთვალიერებულ და დაგულებულ სანავარდოზე თავისუფალი ქრიტინი და სურხური ადვილი დასათმობი როდი იყო. ნიავწანნალაც გა-დატყავებულ და გადაყვლეფილ კისერში საამურად უქიქინებდა და ულიტინებდა...

ის ახლა ღელებითა და ნალვარევებით გვერდჩამოდლავებულ და ჩამოდლლეზილ ქედას შეუყვა. აიოთხა და აირბინა. გადაადგა, უკანა მხარეს მოექცა. თვალს მიეფარა. იმავ წამს შორიშორა ბორცვებზე შეითამა-შა. ერთი გაიშლიგინ-გამოიშლიგინა, მერმე თავქვე დაეშვა... ისევ აიალმართა...

ერთი ამას დამისედეთ, რა დღეშიაო, ამან. ჩაი-მუხლა. რიყის ქვა მოიხელა და ჯამზე, ვითომ აქ არაფერიო, ნელა დაარანჟუნა. მოლოდინში ყურთას-მენად იქცა. დაძაბულმა ერთხელ კიდევ ჩამოჰკრა და ჩამოარაჟუნა.

გუმანმა არ უმტყუნა. ქაქანი, მიწის ფხოჭნისა და ენის წკლაპუნის ხმა მისწვდა. გულში გაეღმია.

– მოხვედი? მოოდი, თოვლიაავ, მოოდიი... ეგრე არა ჯობია? – ფეხი წადგა, ახლოს მისვლა დააპირა.

ნაადრევი მოუკიდა.

თითქოს მიუხვდა თოვლია. უნდობლად გახედა სალაფავს, მისკენ ფერებ-ფერებით მიმავალ კაცს და ისევ ბექშის მისცა თავი.

ახლა კი ლამის დაახრჩო პრაზმა და ამოუნთხეველმა ბოლმამ. ჯერ ძაღლზე, მერმე თავის თავზე მოუკიდა გული, რას ვეღრიტინები და ვეღლოლივები, რო მოშივდება, მოა, მა სად ჯანდაბას წავაო...

ქურქელი მინაზე დაათხლიმა. ქოჩიდან ბრტყელტუჩა გამოიტანა და მოფამფალებული მავთულის გამაგრებას შეუდგა. ის ახლა ზურგით გრძნობდა, პატრონმიტოვებული როგორ დაჰქროდა ფრიალოებსა და ფლატებზე აღმა-დალმა, თავისნებას მოწყურებული, დანატრებული და დახარტებული...



მხატვარი სოფიო ჭელიძე

საბელ-საბმელი რომ ჩახლართა და ჩახვანჯა, ახლა ჯაჭვი მოსინჯა და მოწინებული ასწია. თვალით გადაზომა, კიდევაც გამტკავლა. ნახევარი ხელუულმა გვერდზე მოიგდო. დარჩენილი რგოლს მიაწნა და მიაგრინა. დამოკლებულს თითი გამოჰკრა. ააჟლარუნა და ააჩხარუნა.

ისე გაერთო, სალვედე და საჯაჭვე ლამის გადაავინებდა.

ქაქანი, ფხაჭუნი, წკლაპუნი და ყლარწუნი ისევ გაისმა.

სულ ახლოს იყო.

კაცმა თავი გამოიდო. ვითომ ფეხებზეც არ ეკიდა, რა ხდებოდა კუნელისა და მურავის ბუჩქებთან...

როცა სულმა წასძლია და თავი მიაბრუნა, ძუენა ისევ გორიელებს გაჰკვროდა და გართხმოდა...

ხელთ ისევ ჯამფილა და ბრტყელტუჩა მოხვდა. მეტი ვერაფერი იღონა და ახლა გვერდიდან შემოურახუნა. დასცხო და დასცხო. აღარ უძახდა... ისე...

ცივად ზრიალ-წკრიალებდა ლითონი.

ხმა იქაურობას გასცდა. ხევ-ხუვები გადაიარა, ლრანტეებსა და ლარტაფებს გადაურბინა და მოქარებულ მთას შეასცდა.

გულგადალეული და ილაჯგანყვეტილი სადაც იდგა, იქვე დაუმხო. ფეხი მოირთხა. იჯდა. უხათქუნებდა. არაფერზე ფიქრობდა.





გაცრეცილ-გაზინთული ხალათის საყელო-სა და აბუწუნებულ ჭაღარას შეუ ბორა ჩაფრენო-და... სიცხისაგან გალექებული ერთხელ შეიშ-მუშნა. მეორედაც... მხრები აინურა, კისერზე მიიხახუნ-მოიხახუნა. ვერა და ვერ მოიცილა და ბრტყელტუჩა მოიშველა. ცოტა მაგრა კი მოუვიდა. ბოლოს, მიანება...

მზემ იმაღლა, იმაღლა და გადაიხარა, დაცერა-ვდა. და ვიდრე მიმწუხრებულ დედამიწას გამოეთხოვებოდა, ჩვენი ნაცნობი აგარაკის ეზოშიც ჩაიჭყიტა.

კაცა ჩაეწიქა და საჭმელ-სათქვლეფში დრუნწინაყოფილ ძალლს ღვედს უჭიმავდა.

ამას რომ მორჩა, სალოები თითო საყელურსა და კისერს შეუ ჩაუცურა, გაატარ-გამოატარა... ეხალ-ვათა და ზედვე ერთი კვანძი კიდევ მიამატა.

დასაიმედებლად ერთხელაც სცადა, ძლივძლივ ჩააცოცა ნეკი და რომ ვეღარ გაალალლალა, ახლა თავისკენ ღონივრად მოქაჩა...

- ეგრე... - კაბილებში გამოცრა-გამოლერლა კმაყოფილმა. - აბა, კიდე იქრიალე და იქშუტუნე!..

ოთხფეხმა, რაც იყო, ამოსვლისა, ამოტვლიპა და შორს, ღობის გადაღმა დაყუდებული მთები-საკენ მიიღრიცა თავი... და, თითქოს ახლა მიხვ-და სალაფაგის საფასურსაო, ერთი საწყალობლად დაინკავწევა... იქ, ფერდობებზე, მისი ჯიშისა და მოდგმისანი თავისუფლად დახვანხვალობდნენ და დაშლივინობდნენ...

ორფეებმა მზერა მიადევნა... მერმე ხელის მტევანი ყბაში ამოსდო, აუწია...

სახტად დარჩა. ძალლის სველ, ნალვლიან თვალებში ქარდაკრული და დაგვალული ბალახი ბიბინებდა და ლივლივებდა.

ეგრე ნაცნიმაზე უძირო ცა და თავდაყირა ჩაყ-ვინთული ხეები იყურებიან ხოლმე გუბეებიდან...

მაჯაზე რაღაც დაელვენთა.

ეცხელა.

ზესკნელი გაჭვალა და მოხილა. არსად ირწეო-და ლრუბელი...

წამოფიჩეული წარბები მოეშვილდა. საფეთქლებს მიებჯინა.

ხელი ბეწვს შეახოცა და წამოიჯავა.

- თასმა განიერი აგილია. უფრო წვრილი უნდა იყოს. კარგა ნაეჭირება. რაც უნდა გაიწიოს, ვეღარ გადაიგდებს. - ღობის გადაღმიდან შემოეხმიანა ვი-დაც გამვლელი.

- ჰოო... - იქით არც გაუხედავს, ცხვირში თავისთვის ჩაიდუდლუნა. დამოკლებული ჯაჭვი საყელურზე გამოაბა თოვლიას. თავზე მძიმედ დაა-დო მარჯვენა. ეგრევე მძიმე-მძიმედ ჩაატარა იმის აცახცახებულსა და ჩაზნექილ გავა-წელზე. ჯაგებსა და ძაღვებში ძრომიალისაგან აბურძგნული ბალანი დაულაგა, ბირკა და ძურნა ააწინენა...

საბელზე მიმღრძვალმა ვერ გაიგო, ტუქსავდა თუ ეფერებოდა.

ამას დაბეჭითებით ვერც პატრონი იტყოდა...

ქრისტიანული პოეზიის IX ფესტივალი

„ნეინდა ნინოს პვარი“

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებული ლექსი უნდა გამოგზავნონ, ამა წლის 31 მაისი ჩათვლით, ელექტრონულ მისამართზე:

festivali2011@mail.ru

festivali 2011@yahoo.com

ლექსის თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი,

პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი,

პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.

ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და გაიცემა საფ-ესტივალო პრიზები.

ფესტივალი ჩატარდება 2019 წლის სექტემბერში.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 46 44 29.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი



თემურ ტაბათაძე

ს ლ ი ტ ლ ი ს ლ ი ტ ლ ი ს ლ ი ტ ლ ი ს ლ ი ტ ლ ი

„დიდი დათვის“ შვიდ ვარსკვლავს
ვერ დავიშობებ,
მაგრამ სიციცის კაწი მეტქმის!..
იმ ლამეს,
სამყაროს შემოქმედმა
„განძის მწველად“ დამაფინა!..
შენი ჟულის მწველად!..

თ. ჭავჭავაძე



ფუსტი

ვუძღვნი ბაბუის ხსოვნას

ის ლამე,
არ ყოფილა განსაკუთრებული, –
ბაბუის მონათხრობიც,
ამას ადასტურებს;
აივანზე გაუთელავს მღელვარება,
იმედს გზა ჰქონია გაზაფხულებული,
მაგრამ დრო შეგუბებულა ტბორედ,
„ცხენშურიც“ გატრუნულა ხევში,
ხათრით რომ დაურქმევიათ მდინარე;
ბუხარში შებოლილ სულგუნს მსგავსებია მთვარე;
თუმცა, ის ლამე,
მაინც არ ყოფილა განსაკუთრებული!..
ბაბუა ტყუილს არასდროს ამბობდა,
არც დაფიცება უყვარდა...
მთლად რომ დაუტკეპნია მოლოდინი
და თრითონის სტვენას,
გული გაულევია,
სიცოცხლის სუნთქვა შთაუბერავს
სამყაროს შემოქმედს ჩემთვის –
„ბიჭი დაიბადაო!..
იმერელი ბიჭი!.. სვანეთში!“ – ბებიაქალს უთქვამს:
„გილოცავო, მახვში!“
„სვანის გერშით გავზრდიო, შვილიშვილს!“ –
ბაბუას ნიკოლოზის დროინდელი
„ბერდენა“ დაუცლია აივანზე...
არასდროს ამბობდა ტყუილს,
არც დაფიცება უყვარდა...
„დიდი დათვის“ შვიდი ვარსკვლავია
ამის მოწმე...
საგვარეულო კოშკის ნადვრიტალზე,
სანთელი აუნთია მახვშის,
კიდევ ერთი ბიჭი შეემატაო,
განძისმცველთა ოჯახს! – წინაპართათვის მიუხარებია;
ფუსტები ყოფილან ჩემი წინაპრები –
განძის მცველები;
კოშკი ბოლშევიკებს ჩამოუქცევიათ
საქართველოს გასაბჭოების შემდეგ,
ათას ცხრაას ოცდაორ თუ ოცდასამ წელს,
დევეკების ნაგებ ლოდებს,





ამონალი დაუდეს,
ქვები „კანტორის ასაშენებლად წაილეს თურმე?..
ცუდი კაცები ყოფილან ბოლშევიკები, სი მარე!“ –
ფუსტი იყო ბაბუაჩემი –
განძის მცველი,
ტყუილს არასდროს ამბობდა,
არც დაფიცება უყვარდა...

.....

ის ღამე,
არ ყოფილა
განსაკუთრებული!..
თბილისში დაიბადე, რომელილაც კლინიკაში; –
მთვარე არ მგვანებია შებოლილ სულგუნს,
მღელვარება არ გამითელავს აივანზე,
არ დავლოდებივარ იმედის გაზაფხულებას,
სავარძელში მოვალათდი კომფორტულად,
ბიჭი დაიბადებოდა, ვიცოდი!..
იმერულ ოჯახში გაჩინდებოდა,
პირველი გურული შვილიშვილი; –
მაინც მოგვახარეს შენი დაბადება,
შამპანური დავსხლიტე სკვერში...
მე, ფუსტი არ ვარ
და ტყუილსაც ხშირად ვამბობ;
დედის დაფიცებაც მიყვარს!..
კოშკის ნადვრიტალიც არ გამაჩინა,
არც განძი მოუბარებია ვიწმეს.
სვანურად საუბარიც დამავიწყდა,
„ცუდი კაცების“ ცხოვრებასაც გაუსინჯე გემო,
მე, ფუსტი არ ვარ
და ტყუილსაც ხშირად ვამბობ;
დედის დაფიცებაც მიყვარს,
თუმცა,
„დიდი დათვის“ შვიდ ვარსკვლავს
ვერ დავიმოწმებ,
მაგრამ სიტყვის კაცი მეთქმის!..
იმ ღამეს,
სამყაროს შემოქმედმა
„განძის მცველად“ დამადგინა!..
შენი სულის მცველად!..
ფუსტის გერმით გაიზრდები!..
ტყუილს არასდროს იტყვი,
არც დაიფიცებ!
„ცხენშურის“ წყლითაც დაგარწყულებ,
„ლამარია“ დაიცავს შენს რწმენას,
„დიდი დათვის“ შვიდი ვარსკვლავია მოწმე!
სხივთა ტორებით,
ზეცას ჩაჭიდებული შვიდი ვარსკვლავი,
საგვარეულო კოშკის ნადვრიტალიდან რომ მოჩანს!..
მე, ფუსტი ვარ!
განძის მცველი!
ჩემი წინაპრებიც ფუსტები იყვნენ!..
შენც ფუსტი იქნები,
განძის მცველი,
ტყუილს არასდროს იტყვი!
არც დავიფიცებ!
წმინდა წინოს ჯვარი
გაასხივოსნებს შენს რწმენას!..
შენ ფუსტი ხარ,
რწმენის მცველი!



გარიბა დედაპრიშვილი

მთვარე გაქრება, გაფნება ლამე,
ლეჩაქს, ბინდისფერის, მოიხდის ზერა,
თითქოს, – ფალლილი, ბნელთან ჭიდილში,
გაიხდის ჰექტარს, ლამით რომ ეჭვა.
გადაშლის ფრთებს და ქათქათა წაზე,
თელავის ნიავს აჟუება მცრედი,
ზარების რეკით აღვიძებს ქალაქს,
სამი ტაძარი, – ქათქათა გეფი.

მ. დედაპრიშვილი

43



ს ი მ ი ლ ი კ ა რ ე ბ ი ნ ი ს ა მ ი ს ა წ ი ლ ი

კაქათველო

სად ყვავის, ასე, ვარდი და ია,
სად იშმის ჰანგი, ასე, ზღაპრული,
საქართველოა, თვითონ, სიმღერა,
საქართველოა, თვით, გაზაფხული.
გადაქარგული, გადახატული,
მწვანით მოსილი ზერები, ყანები,
ჩემი მამული, ქართველი კაცის
სალოცავი და სათაყვანები.

ჩუმად ჩურჩულებს ტირიფის ტოტი,
ნებივრად ფშვინაგს ალაზნის ველი.
მთვარე გაქრება, გადნება ლამე,
ლეჩაქს, ბინდისფერის, მოიხდის ზეცა,
თითქოს, – დალლილი, ბნელთან ჭიდილში,
გაიხდის ბექტარს, ლამით რომ ეცვა.
გადაშლის ფრთებს და ქათქათა ცაზე,
თელავის ნიავს აჟუება მცრედი,
ზარების რეკით აღვიძებს ქალაქს,
სამი ტაძარი, – ქათქათა გედი.
მთვარე კი, მთვარე ცას არ სცილდება,
არ აქვს დაკარგულის, სულაც, წადლი,
და გდია ცაზე, ვით გაცრეცილი,
გახუნებული, თეთრი მანდილი.

ზუზუმბი

გაიძარცვა ბალში იასამანი,
გაშიშვლდა და გაიძარცვა თელაც,
შენ კი, მწვანე, ხილაბანდით მოსილი,
„იავნანას“ დაჰლულუნებ თელავს!

დამილოურე

მეჩქარება, ჩემი მთები
ვნახო მწვანედ დაქარგული,
როგორ მინდა, ჩემთან ერთად,
კისკისებდეს ნაკადული.
ჩემს ტერფებთან გაიფინოს
მწვანე მოლი გაზაფხულის.
როგორ მინდა მქონდეს ცაში:
საფრიალო თეთრი ფრთები.
როგორ მინდა ჩემთან ერთად,
ჭიკჭიკებდნენ ჩიტუნები,
ლურჯთვალება გაზაფხული
მომეახლოს ლურჯი გზებით.
როგორ მინდა, არსად იყოს:
მშერი და მათხოვარი,
ზეციერო, მოსმინე –
ჩემი ავა, სათხოვარი,
კველა კეთილს და მორწმუნეს,
გაუჩინე სახლი, კარი.
დამილოცე ჩემი ხალხის
ჭერი, ფუძე და კერია,
სიყვარულით ამღერე,
ვისაც, ჯერ, არ უმღერია,
ტკბილი ნატვრა ამისრულე,

თელავის მთვარე

ზუზუმბოს მსგავსად, გიგოს გორასაც,
ტანაშოლტილი ნაძვები მოსავს,
ლექსად მოსკედება ნადიკვრის სიო,
ციცენა ქალაქი იღვიძებს, როცა...
გიგოს გორაზე, პანია ტაძარს,
თავზე ევლება ნათელი, – ციდან,
საამოდ ბრწყინავს, მზის სხივზე ჯვარი,
თელავს ევლება სიღურვე ნმინდა.
დილა სიმღერას დაენაფება,
ტკბილი სიცოცხლის გიურ წყურვილით,
და დაედგმება მთელ კახეთს თავზე,
ვით-დიადემა, – ოქროცვარული.

ოლქ, №1, 2019

თელავის მთვარე

მთვარემ ღრუბლებით ნაიკრა შუბლი
უცებ დააწვა მთის წვერებს ბნელი,





რადგან, ნათლის ვარ ფერია.
როგორ მინდა გული მენთოს —
ცისარტყელას ციალებად,
ჭაბუკური ოცნებების
მაღალებდეს ტრფიალება,
ყველა კენჭი გადამექცეს
საბადაგე ფიალებად.
ზენაარო, მისმინე და
შემისრულე ნატვრა ყველა,
სიკეთე და სიყვარული
დამითესე მთა და ველად,
საქართველოს თავს დაადგი
სამშვიდობო ცისარტყელა.

დედა

გაზაფხული ვარდიანი,
ლურჯი ზეცა, წმინდა,
სიხარული და სიცოცხლე
ვისთვის? — ჩემთვის გინდა!
დღე და ღამე: შრომობ, ზრუნავ,
არ გწვევია დაღლა,
მსურს: იმედი გაგიმართლო,
სულ ვიფრინო მაღლა!
კარგი შვილი გაგეზარდო,
გული მქონდეს წმინდა,
მშვიდობა და უღრუბლო ცა,
რადგან ჩემთვის გინდა.



სურათი გადაღებულია, 2018 წლის 17 სექტემბერს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, დის-ერტაციის დაცვის შემდეგ.

მარიამმა დოქტორანტურა დაამთავრა წითელ დიპლომზე და სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე (ინგლისურ ენაზე): „ადამიანის აქტივობის გამოცნობა სხეულზე დამაგრებული სენსორების მეშვეობით“ და მიენიჭა საერთაშორისო პროგრამისტის წოდება.

მარიამი ქართულის გარდა ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ, რუსულ, უკრაინულ და გერმანულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.
ამჟამად ცხოვრობს ბელგიაში.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“, უერნალ „ოლეს“ ერთგულ ავტორს, უნიქიერეს მარიამ დედაბრიძოლს ულოცავს სადოქტორო დისერტაციის დაცვას და უსურვებს დიდ წარმატებებს შემოქმედებით, სამეცნიერო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.



ივეტა პავლიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი წლის დილას სახლის კარზე ვიღაცამ ორ-
ჟერ დააკაუნია. ლექსო ძის რა გამოეცარებოდა? მო-
ნაბეჭდითო, გასძინა და კარისკენ გაემართა... კართან
მათხოვარი იღვა და მონაცლებას ითხოვდა. ლექსო
ძის ჟერ გულის შემოყარა, კინალამ კარის მიუხურა,
გუნებაში შეუსურთხა კიფეზ – ამ უქონელმა რა შარქედა
უნდა შემომიტანოს, მაგრამ უძალ გადაიტიქო. მათხ-
ოვანს უთხრა: მანდ, კართან, ფაჩებილი შეშა ანუკა,
აილე და შემოფიო. ასე რომ, გამოსავალი მაინჯ იპოვა.

ი. პავლიაშვილი

45



ახალი წლის რკო

დღეს წლის ბოლო დღეა – 2018 წლის 31 დე-
კემბერი. უკვე კაი ხანია მოთმინებით და უკეთესი
მომავლის იმედით ვცხოვრობთ, თუმცა მოთმინე-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ბასაც აქვს საზღვარი. იმედი ყველაზე დიდი ნუგე-
შია ადამიანისთვის, მაგრამ იმედის იმედზედაც ვერ
იქნები ყოველთვის დამოკიდებული.

საახალწლო საყიდლებზე გავედი – იქვე მეტ-
როს მიმდებარე ტერიტორიაზე. კიდევ კარგი, სოფ-
ლიდან მცირე ნობათი გამომიგზავნეს ჩემებმა,
თორემ ისეთი ფასებია, ვერაფერს მიეკარები. რა
ქნას გაჭირვებულმა გლეხმა?! ვინ იცის, რამდენ-
მა მათგანმა მოიკლო თავის სარჩო-საბადებლიდან
და თბილისში ჩამოიტანა იმ იმედით, რომ ერთ-

ორ გროშს მაინც შეიტანს ოჯახში, საახალწლო
საჩუქრებით ხელდამშვენებული დაბრუნდება უკან
და დიდსაც და პატარასაც ერთნაირად გაახარებს.
მყიდველი რომ ნაკლებად ჰყავდათ, ეს მათ სახეზე
ამოვიკითხე. ჩემი თავი ხომ შემეცოდა ამ გაუსაძ-
ლის სიტუაციაში, მაგრამ ის გლეხები კიდევ ჩემზე
მეტად.

ჩამნკრივებულ თაფლით სავსე ქილებს გა-
დავხედე, არჩევანი დიდი იყო. დაილოცოს ჩვენი
მადლიანი მინა-წყალი. რანაირ თაფლს არ ნასავ: ცაცხვის, წაბლის, ფიჭვის, მაისის, აკაციის, მთის
ყვავილების. ის იყო თაფლი შევარჩიე საყიდლად,
რომ პატარა ტომრით შუახნის კაცი შევნიშნე.
ტომარაზე შედგმულ შუშის თლილ ჭიქაში ჯერ
ნიფელი მეგონა ჩაყრილი, მერე მინის თხილი, მა-
გრამ როცა ტომარაში ჩავიხედე, ჩემს გაოცებას
საზღვარი არ ჰქონდა – უცნობი რკოს ყიდდა –
1 ჭიქა ერთი ლარი. გულუბრყვილოდ ვიკითხე: –
რკოს, რა სამჯურნალო თვისებები გააჩნია?

მოხუცმა ჩემს შეკითხვაზე ერთი ისეთი ამოიო-
ხრა, მეგონა გულიც ამოაყოლა. ისეთი კეთილი და
მოწყალე თვალებით შემომხედა, დავიბენი. „გაჭირ-
ვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებ“ ჩემისთანა ადა-
მიანზეა ქალბატონო ნათქვამი. ექიმთან ჩამოვედი,
სამგზავრო ფული ახლობელმა მასესხა. შინ ხეთი
შეილიშვილი მელოდება. მათი მშობლები უცხოეთში
ნავიდნენ ბედის საძიებლად, მაგრამ სამუშაო ჯერაც
არ აქვთ. ბავშვები პატარები არიან, მათაც ქალაქუ-
რი მოსწონთ ყველაფერი. რა ვქნა, ცხოვრებამ მათხ-
ოვრად მაქცია, ყიდვას არავის ვაძალებ, ვინც ხელს
გამიმართავს და იყიდის მონაცემები ჩაეთვლება. ხე-
ვალიდან ღორის წელი შემოაბიჯებს, შვილიშ-
ვილებისგან გავიგე, რომ საახალწლო სუფრაზე
რკოც აუცილებელი ყოფილა, როგორც მაგიდის
სამშვენისა და მეც დავიჯერე. ბარაქა და მუხის სი-
ძლიერე არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახს. ერთლარ-
იანი, როგორც შესანირი ისე დავადე ტომარას და
ნირწამხდარმა გზა გავაგრძელე.



მიხმარ... მექანი...

ჭოგრიტით ვუყურებ ჩემს ბავშვობას, შორიდან რომ მიქნებს ხელს და ათასფეროვანი მოგონებებით მახსენებს თავს. პოი, ბავშვობავ... – განუმეორებელო და ტკბილო. მივდევ კვალდაკვალ გაქცეულ წამთა ნათებას, ვეფერები, ვაფიზლებ მონატრებულ დღეებს და მიჭირს ზღაპრიდან ცხადში დაბრუნება.

მენატრება ჩემი ბავშვობა, მშობლიური კუთხე, კერა, სადაც დაირნა ჩემი აკვანი, სადაც ფეხი ავიდგი, სადაც მუდმივად ცოცხლობს მამაპაპური სული და გული. რა კარგია, რომ ქვეყნად არსებობს ადგილის დედა, რომელიც ყოველთვის თავისკენ უხმობს და ეძახის ადამიანს.

ნეტავ ერთხელ კიდევ მაგრძნობინა სიძველის სურნელი, თუნდაც იმ ხავსიანი ქვითკირისა, ან იმ დანთებული წალმისა, ანდაც ლარში მოდუდუნე იმ შფოთიანი რუს წყლისა, ყოველთვის უცნაურ გრძნობას რომ ტოვებდა ჩემში. ნეტავ ძველებურად შემაღებინა ის კარი, სადაც მე და ჩემმა დაძმამ ნაკვალებივით დავტოვეთ ცარციო მინანერი ჩვენი სახელები. ნეტავი, ახლა როგორია ის ეზო? – დედა რომ დააკრიალებდა და ზედ მინაზე ნახატებად რჩებოდა ჩაიდნის ტუჩიდან გადმოლვრილი წყლის რკალები. ნეტავი ახლა როგორ გამოიყურება ჭიშკართან მდგარი თეთრი თუთა, ანდა ქარვისფერი ლელვები, კავით რომ მოგინვდიდა დედა? ნეტავ როგორაა ახლა ჩვენი ვენახი, ჭიგოს გამაგრება ხომ არ სჭირდება? ისევ, თუ ხალისობს „მამულში“ წითელი ბლება, რომლის სურნელი დღესაც მახსოვს და მენატრება?.. ანდა მოლზე თუ კიდევ ამოდის ყვითელგულები და სიცოცხლით სავსე ის ჩვილბალახიანი მინა ისეთივე სურნელს თუ მოაგორებს, როგორც მაშინ? მივყვები გაქცეული წამების ნათებას, ვაფხიზლებ წარსულს და მინდა, ისევ ისე ვიგრძნო გაზაფხულის ფერადოვანი შემობიჯება, ისევ ისე მინვდიდეს მზე ოქროს ფიალებს, ისევ ისე მტაცებდეს ფიქრს ცის ბინდბუნდი, ლურჯ ცაზე თაიგულებად ანთებული ვარსკვლავების კოცონი, ლრუბლების ნისლში მოცურავე შორსმჭვრეტელი მთვარე და ცისკარი. ლამის მთელი ცა ჩავიტიო ჩემს თვალებში და ყველაფერს ისეთი დასასრული ჰქონდეს, როგორც ზღაპარშია. ნეტავ ერთხელ კიდევ მარბენინა ეზო ფეხშიშველას და ერთხელ კიდევ დამახატინა ქვიშაზე ჩემი ბავშვობის ოცნების კოშკი, ერთხელ კიდევ დამანაფა შენს წყაროზე და ერთხელ კიდევ დამსვა მზის გულზე გამობარ იმ დიდ ქვაზე, ბავშვები რომ ვეცილებოდით ერთმანეთს პირველობას. ნეტავ ეკლესის ეზოში კიდევ თუ არის სიკვდილ-სიცოცხლის ამსახველი ეპიტაფიანი ბეჭერი ქვები, გოგო-ბიჭები რომ გადავირბენდით ხოლმე? ანდა სად არიან ახლა ჩემი თანატოლები? ვინ იცის, ვინ საით წაიყოლა წუთისოფლის შარაგზამ? როგორ მომნატრებიხარ, ჩემო ბავშვობავ, ჩემო ახლობელო ადამიანებო?!. ჩემო სანუკარო მინა-წყალო?!. მინდა და ერთხელ კიდევ შემოგევლო, მოვეფერო შენი სუ-

ლის სიმაღლეს. შემოვირბინო შენი შემოგარენი, დავიქანცო შენს იონჯაზე ია-ენძელების კრეფით, მერე ბავშვური კისკისით ავირბინო გაკვალული ბილიკი და გადმოვიხედო შენი სიმაღლიდან. გადავხედო არემარეს, დავტებე შენი სიდიადით, ჩაგწვდე შენი გრძნობების სიღრმეს. ერთ მუჭაში მოვიქციო პორიზონტს აქეთ და პორიზონტს მიღმა გაფანტული მზის სხივები და ხმამაღლა დავიძახო: „მზის შვილი ვარ! მისი ჯიში!..“

განა შეიძლება იყოს გრძნობა იმაზე ძლიერი, ვიდრე არის სიყვარული საკუთარი ქვეყნის მიმართ? იმ მინა-წყლის მიმართ, სადაც დაბადე, გაიზარდე, სადაც ცხოვრობ, სადაც არის შენი წარსული და მომავალი, შენი ერის სულიერება, ტრადიცია, შენი გენეტიკა. არა, არ შეიძლება იყოს და სწორედ ამიტომ არის, რომ ეს გრძნობა სიცოცხლის ბოლომდე მიყვება ადამიანს. ეს ის სიყვარულია, რომელიც შენთან ერთად იბადება, როგორც გული, რომლის გარეშეც სიცოცხლე წარმოუდგენელია. ვერასოდეს დაივიწყებ იმ ბუდეს, საიდანაც აფრინდი, სადაც დაამთავრე შენი „ბალლობის უნივერსიტეტი“, სადაც არის შენი ღმერთი და ჯვარი, სადაც მუდმივად ცოცხლობენ მომავლის ხატები, ურომლისოდაც ვერ ზიდავ სიცოცხლეს.

შეუძლებელია იცხოვრო ბედნიერად, თუ გვერდით არ გეყოლება ის, ვისთანაც ლაღად და თავისუფლად გრძნობ თავს, ვინც ყველაზე ძლიერ გიყვარს. შეუძლებელია გაექცე საკუთარ წარსულს, საკუთარ ფუძეს, საკუთარ თავს, საკუთარ ბედისწერას. როგორც ხე მინას ფეხსვების გარეშე ვერ ჩაეჭიდება – ასევე ადამიანიც, უფესვებოდ ვერ იცოცხლებ, ვერ ზიდავ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ გეფერები ახლა, ჩემო მინა-წყალო, და მასთან ერთად, ჩემო ბავშვობავ. შენ დაგტრიალებს ჩემი ყველა მოგონება, სულის სახლში რომ დავაბინადრე. შენ განაპირობებ ჩემს სულიერებას, ჩემს ყოველებას, ჩემს მეს. შენ მეძახი გაჭირვების უამს და შენ მეხმარები, მამხნევებ.

მე ვიარე იმ გზით, საითაც გულისთქმამ გამნია და იმავე გულისთქმამ მომიყვანა დღეს შენთან, სანატრელო. ჩემი რწმენა ჭეშმარიტებაა და ჩემი მრწამსიც ისეთივე წმინდა და შეუბლალავია, როგორც შენი სული. მე ჩემს ცხოვრებას მხოლოდ იმ თიხიდან ვძერნავდი, რომელიც მქონდა. ახლა კი... ჩემი ცხოვრების შემოდგომა მიუყვება ბილიკს და... დღესაც შენ მინვდი ხელს, ჩემო მშობლიურო კერავ, დღესაც შენ მიხმობ, ჩემო ბავშვობავ. მიხმობ, მეძახი... ჩემო აკვნის დედავ, შენშია ჩემი დასაფრენი, ჩემო სიკვდილისწინა საკურთხეველო... სულის ზიარებას შენგან ველოდები...

შეუმჩნევლად და სწრაფად ჩავურბინე ჩემს ბავშვობას, შორს გამიყოლია სურვილმა. ჯერ გამინათდა, მერე კი დამენისლა გული და რაღაც იდუმ-ალებით მოცულმა გრძნობამ დაისადგურა ჩემში



სამარადისოდ, რომელსაც ვერავითარი დროება ვერ ამოშლის.

მრავალფეროვანია ცხოვრება. შეუცვლელია

მისი დაუწერელი კანონი. მის წინაშე კი ულონოა, მორჩილია ადამიანი. გუშინდელი დღე ხვალისას არ შეიძლება ჰგავდეს.

გეპცლება

სოფელში ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდებოდა... სულ რაღაც ერთ კვირაში ახალი წელიც შემოაღებდა კარს და სიკეთე დაგბედებოდეთო, იტყოდა.

უცნაური კაცი იყო ლექსო ძია. კეთილ, პატიოსან, ძევლი ტრადიციების დამცველ კაცს, ყველაფერი თადარიგიანი უყვარდა. საშუალება სულ რომ არ ჰქონოდა, მაინც რაღაცას გამონახავდა და არც ერთ საუფლო დღესასწაულს არ გამოტოვებდა, ოჯახში სუფრა რომ არ გაეძალა. ლექსო ძია პირველ იანვარს იყო დაბადებული და ახალი წლის მოსვლა ბავშვივით უხაროდა. ზოგიერთ საკითხზე კი მას თავისი შეხედულება ჰქონდა.

მეკველედ აუცილებლად ვანო პაპა უნდა ყოფილიყო, სხვას არავის შეუშებდა ოჯახში პირველს. ვანო პაპა გზის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა. მოხუცი ხელჯოხითაც ძლიერ დადიოდა, მაგრამ ლექსოს ხათრს ვერ უტეხავდა. რომ არავის დაქსწრო, ალიოზზე დახვდებოდა ხოლმე ვანო პაპას ჭაშქის წინ, დიდი პატივით გაუდებდა სახლის კარს და მერე თავად მიჰყვებოდა უკან, სადაც საახალწლო სუფრა იყო განყობილი. მეკვლეს საპატიო ადგილზე დააბრძანებდნენ და სუფრის დალოცვის შემდეგ იწყებოდა საახალწლო დღესასწაული.

აი, წელს კი ლექსო ძიას დიდი საფიქრებელი გაუჩინა ახალი წლის მოახლოებამ. ვანო პაპა ზაფხულში გარდაიცვალა და მის შემცვლელად არავინ ეგულებოდა, რადგან მისი აზრით, ვანო პაპასანირი კეთილი გულის და კარგი ფეხის ადამიანი იშვიათად მოიძებნებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ვინც პირველი შემოგვილებს კარს, მეკვლეც ის იქნებაო.

ახალი წლის ღამეს, საათის ისრები მიუახლოვდა თუ არა თორმეტს, თოფების სროლა დაიწყო. სოფელი მხიარული შეძახილებით, ზარ-ზემით, ბათქი-ბუთქით ხვდებოდა ახალი წლის მობრძანებას. ლექსო ძიამაც გამოიტანა კარგად დაზეთილი სანადირო თოფი, რომელსაც მხოლოდ ახალი წლის ღამეს გამოიღებდა კარადიდან, გაშლიდა, ააწყობდა, კარგად გააპრიალებდა ხავერდის ნაჭრით, მერე

ლულას გახედავდა, ღია ფანჯრიდან ცისკენ ასწევდა და სამჯერ ზედიზედ ესროდა თუთის ხის კენწეროს. მართალია, 12 საათზე უფროს შვილიშვილთან ერთად ტკბილეულით ხელდამშვერებული შეაღებდა სახლის კარს, მაგრამ თავის თავს მეკვლედ არ თვლიდა – მეკვლე გზიდან შემოსული პიროვნება უნდა ყოფილიყო და არა ოჯახის წევრი.

ახალი წლის დილას სახლის კარზე ვიღაცამ ორჯერ დააგაუნა. ლექსო ძიას რა გამოპარებოდა? მობრძანდით, გასძახა და კარისკენ გაემართა... კართან მათხოვარი იდგა და მოწყალებას ითხოვდა. ლექსო ძიას ჯერ გულს შემოეყარა, კინალამ კარიც მიუხურა, გუნებაში შეუკურთხა კიდეც – ამ უქონელმა რა ბარაქა უნდა შემომიტანოსო, მაგრამ უმალ გადაიფიქრა. მათხოვარს უთხრა: მანდ, კართან, დაჩეხილი შეშა აწყვია, აიღე და შემოდიო. ასე რომ, გამოსავალი მაინც იპოვა. შემოატანინა შეშა, ისედაც გახურებულ ლუმელს კიდევ შეუნთო, დასვა შეციფებული გლახა, გაათბო და მერე მეუღლეს დაუძახა – სადა ხარ, დედაკაცო, მეკვლე მოგვიბრძანდა, გამოგვედეო. გნყალობდეთ ლმერთი, ლუდლულით მიმართა დაბნეულ-დარცხვენილმა უცნობმა გაოგნებულ დიასახლისს და თან ქურთუკზე შემოცვეთილ-ჩამოძენილი ჯიბეები ხელით დაიფარა.

თავადაც დაბნეულმა ლექსომ პატარა შვილიშვილი აფრინა ძმის იჯახში – პაპამ დაგიბარათ, ყველანი ჩემთან გადმოდითო. ცოტა ხანში სუფრას მეზობელ-მეგობრებიც შემოუკრთდნენ. ლექსოს ტანსაცმელში გამოწყობილი მეკვლე თავს უცხოდ აღარ გრძნობდა და შეზარხოშებულ სუფრის წევრებს ლამაზ ბანსაც აძლევდა. გვიან ღამემდე გუგუნებდა ლექსო ძიას ოჯახში მრავალუამიერი.

ის წელი იჯახისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. მას შემდეგ ლექსო ძიაც დარწმუნდა, რომ ადამიანის მომავალი ცხოვრება მეკვლეს „ფეხზე“ არ არის დამოკიდებული, რომ ეს მისი აკვიატება, ცრუნწმენა იყო და მეტი არაფერი.



მაის კაპიტოლიუმი

48



საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გადაწყვეტილი დოკუმენტი

საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გადაწყვეტილი დოკუმენტი

როდესაზო თებერვალი ინურება და პერსია გაზაფ-ხულის ენით აუნერელი სურნელი ცრიალებს, მამუს თავისი საგარდელი ეზოში გამოაქვს და ცემა კაკლის ხის ქვეშ მაგიდას მადგემენებს. ეს კაკლის ხე ნახევრა საუკუნეზე მეცნიერა და ის მამუს დარგო. ზის ამ ხესთან, რომელსაც ჰერ კვირტების არ გაძლია და შორს იყურება, შორს კი თეორად დათოვლილი მთების.

მ. კაკაურიძე

ცრანგი მაშიკო

**„მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი!“
სოკრატე**

ჩემს ფანჯრებთან, ამ დილით, ბელურები ხმაურობდნენ. მართალია, გარეთ ჯერ ისევ ბინდია, მაგრამ უკვე ვიცი, რომ თბილი დღე იქნება; კიდევ კარგი ძალები არ ჩანან – მათ ყოველ ჭახჭახს და ფორიაქს თოვლი მოჰყვება. არადა, სათოვლედ ჯერ არ მემეტება მუქი შინდისფერი ვარდები, ეზოს ამ დრომდე რომ შემორჩენია სავერდოვან პეიზაჟად. ნელ-ნელა ინათა. კავკასიონის თოვლით გადათე-თრებული კალთები აღარა ისე მყაცრი და ცივი, მოღუშულ ამინდში რომ ჩანს და თან ისე ახლოსაა ეს სასწაული, ჩემგან ორ ნაბიჯზე, რომ მგრნია, ხელს თუ გავიწვდი, შევეხები-მეთქი. ცა ლურჯზე მეტად ლურჯდება და დროულად უნდა გამოვთხი-ზლდე ამ ეიფორიიდან, თორემ სამსახურში დავაგვიანებ. საუზმეს, როგორც ყოველთვის, ვერ ვასწრებ – დროში უნდა ჩავეტიო. დამღალა ამ „დროში ჩატეულმა“ ცხოვრებამ, მაგრამ დინჯად ყოფნისთვის დრო საემარისზე მეტი მაშინ მექნება – არავითარი არც საქმე და არც ვალდებულება რომ აღარ იარსებებს არავის მიმართ...იქით, სხვა სამყაროში! დიდი ბებიის სახელი დამარქებეს, იმ ბებიის, რომელსაც ერთი ულამაზესი, 23 წლის შვილი (პაპაჩემი იოსები), იმში უგზო-უკვლილ დაეკარგა და მეორე, კამამა ლურჯი ცისთვალა ბიჭი, გიგლა, მენინგიტით გარდა დაცვალა. ცოტა შემილამაზეს სახელი, მაგრამ ჩემს შემობლიურ სახლში რომ ჩავდივარ, ჩემი უფროსი ძმა მაინც მაშიონს მექახის. მუდამ შავი ტანსაცმელი ეცვა ბებიაჩემს, გაზეთს სათვალის გარეშე კითხულობდა და თავისი მძიმე ბედის მიუხედავად, როდესაც მიცემდა, სულ ილიმდა; ტკბილად მეფერებოდა და მკლავებზე მკოცნიდა. ტირილს მიშლიდა – ცრემლები შეინახე, მე რომ მოვცვდები, მაშინ მიტირებო. რამდენჯერ გადმომილია მისი ყმანვილქალობის დროინდელი ჩემოდანი – ოდესალაც კოხტა და კოპნია; რამდენჯერ ამომიქოთებია იქაურობა და ჩემს პატარა თავზე მომირგია შავი ხავერდის ჩიხტიკოპი, მაქმანებით და ძვირფასი ტულესბადით გაწყობილი,

ზედ შებლის თავზე სათუთად რომ ჰქონდა ბებიას თავისი ძარღვიანი ხელებით ჩამაგრებული აღმასის თვლიანი „ბალჩის“ ქინძისთავები.

ლამაზი ქალი იყო ბებიაჩემი. ლამაზიც და ლამაზად ჩაცმულ-დახურულიც! ვანოს ცოლი აპა სხვანარი როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო. თანასოფლელები ვანოს „ჭაღატა“-ს ეძახდნენ, ლამაზს და მოხდენილს ვინრო წელით და გამლილი მხარ-ბეჭით, ეს სახელი შეურჩის და „დაანათლეს“. ცხენზე ჯდომაც მოხდენილი იცოდა. მის ნაქონ ვერცხლის ქამარს რომ ვუყურებ, სულ მიკვირს, ნუთუ ასეთი თხელი აგებულების იყო კაცი, ამდენ საქმეს რომ უძღვებოდა? მისი „მარიფათის“ ამბავი მთელმა მაზრამ იცოდა და გასაკულაკებელთა სიაში პირველი ის ჩანერეს. ხარებასა და გოგიასთან ძმაცაცობდა. მათი ხშირი მსაპანძლობა მოუდეს მიზეზად და გაკულაკება არ აქმარეს, დააპატიმრეს, ყაჩალებს რატომ მფარველობო. აპა რა ყაჩალები ისინი იყვნენ; უსამართლობისა და უკანონობისაც ჭკუიდან გადასული ერთი უბრალო ჩვეულებრივი ბიჭები, დასაკარგი რომ აღარაფერი დარჩენოდათ და საკუთარი ლირსებისთვის როგორც შეეძლოთ, ისე იბრძოდნენ. მოკლედ, არ გაახარეს ივანე – ხან რა მოუდეს მიზეზად, ხან რა – ყველაფერი წაართვეს. იმ ხნის და ასაკის კაცი აპა სადღა იყო ნამსვლელი, ან როგორ წავიდოდა სხვა ქვეყანაში. სამაგიეროდ, იოსები (პაპაჩემი) ფიქრობდა წყნარად გასცლოდა თავის მშობლიურ კუთხეს, რადგან კარგს არაფერს დიდი ხანია არსაიდან აღარც ის აღარ ელოდა... სამსახურში გავრბივარ. ზუსტად ოცი წუთი მჭირდება, რომ თეთრი ბაზალტის ფილებით მოპირკეთებულ ფოიეში ფეხი შევადგა და ჩემი დილის გამოცხადება დავაფიქსირო. მივრბივარ, რადგან ამას სიარული აღარ ჰქვია და თავს ვინუგეშებ, კარგი, საშუალო დონის ვარჯიში მაინც ხომ გამომდის ეს დილა-საღამოს „გაქცევა-გამოქცევა“-მეთქი. უკვე ოცი წელია, ასე „დავრბივარ“, მაგრამ ცხოვრებას ჩემზე უფო

სწრაფად სირბილი სცოდნია და ხან ვენევი, ხან ვერა. არადა, რა კარგი შეგრძნებაა, როდესაც გგონია რომ დაეწიე და ის-ისაა მხარი უნდა გაუსწორო, რომ გვერდიდან გიქრება და ისე გარბის, თვალის შევლებასაც ვეღარ ასწრებ... ამასობაში კი დრო გავიზუდება და დროულად თუ უდროოდ გაჩენილ ჭალარას ვინდა დაექტბა, საკუთარ თავსაც ვეღარ სცნობ, გულისყურით რომ იხედები სარკეში. ერთ დილას, კისრის გარშემო, უცნაური რკალი აღმოვაჩინე, ეტყობა მაისური მატერდა-მეთქი ძილის დროს, თავი „ვინუგეშე“, მაგრამ მაისური რა შუაშია, როდესაც დრო გიქრება თვალსა და ხელს შუა და სიზმარში ნანას ემსგავსება შენს მიერ უკან მოტოვებული წლები... ასე ყოფილა... როდის და როგორ ხდება ჩვენს ცხოვრებაში გარდასახვა, ვერ ვამჩნევთ ვიდრე ერთ ლამაზ დღეს ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდებით!

დანამდვილებით მიტირს იმის თქმა, თუ როგორ გარდაისახა იოსები, მაგრამ როდის – ეს უკვე ზუსტად ვიცი. დიდ სამამულო ომში წასვლამდე, ბებია ელენეს დაუბარა: „იცოდე, თუ შესაძლებლობა მომეცა სადმე გადასვლის, მე აქ აღარ დავბრუნდებიო“. უცნაური ქალია ელენე, ჩემი გამზრდელი ბებია. თავ-შეკავებული, დარბაისელი! მისგან ხმამაღლი საუბარი არ მახსოვს. რაც არ უნდა რთულად იყოს საქმე, ხმას არც აუნევს და არც დაგანახებს, რომ გაბრაზდა. ძალიან ბევრი რამ იცის, მაგრამ ზედმეტი საუბარი არ უყვარს. ელენე პროფესიონალურია და ადგილობრივ მეურნეობაში მუშაობდა. ომის პერიოდში ბებია თავის დას ეხმარებოდა და ვინ იცის რამდენი ლამე გაუთენებიათ ლამპის შუქზე, კერვაში გართულებს... ერთმანეთს უსიტყვოდ ამხნევებდნენ და ასე გადიოდა ზამთრის ცივი, გრძელი ღამეები. ფრონტიდან კი მოდიოდა და მოდიოდა წერილები. როდესაც სამჟუთხა ბარათებს ვხსნი და ვკითხულობ, უცნაური შეგრძნება მეუფლება – თითქოს მეც იქვე ვარ, ახლომახლო და საკუთარი თვალით ვხედავ იმ ჯოჯოხეთს, რასაც პაპა წერილებში აღნერს. ქვემეხების გუგუნი მესმის და ბოლმა მახრჩის; მეცოდება იოსებიც და ყველა მისი თანამებრძოლი, სრულიად ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც შიშად დაცლილი თვალებით სიკვდილს ჩაჰყურებდნენ სახეში და გამლილ მკლავებში უსიტყვოდ უვარდებოდნენ. „დედი, ცხენიან-მარხილიანად მარხავს მინაში ყველაფერს, იმისთანა ბრძოლებია“. ამ სიტყვებს, 1943 წლის ბოლოს, ქერჩის მისადგომებიდან გამოგზავნილ წერილში წერს იოსები. აღარ მინდა ამ სამჟუთხა ბარათების გახსნა! მათენ გახედვა აღარ მინდა, დაე, დავიწყებას მიეცნენ, რადგან ამ კოშმარის გაცოცხლება ყოველ ჯერზე იმ ტკივილიან იარას ხსნის, რასაც მე პირადად გაურკვევლობა დავარქვი. 1944 წლიდან ფრონტულმა ბარათებმა მოსვლა შეწყვიტა... ბოლო წერილი იანვარში მოვიდა... ცოტა ხნის შემდეგ კი – შეტყო-

ბინება, რომ იოსებ ბიწკინაშვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა! რთული ყოფილა გაურკვევლობასა და სიცრუეში ყოფნაც და ცხოვრებაც. ოჯახმა იმთავითვე იცოდა, რომ იოსების მსგავსი ბიჭები არც ასე უბრალოდ, შემთხვევით კვდებოდნენ და მით უმეტეს, არც უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ. შესაძლოა უკვე ხანში შესული მმობლები იმედს ეჭიდებოდნენ და გულს არ იტეხდნენ, რომ ახალგაზრდა რძალი და შვილიშვილი გაემხნევებინათ, მაგრამ გულის ყველაზე ბნელ კუნტულში, მე, პირადად,



49

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ყოველთვის მჯეროდა, რომ ომის დასრულებისას და შემდეგაც, წლების მანძილზე, პაპა ცოცხალი და უვნებელი იყო. დაბადებიდან მოუსვენარი ვარ (გადმოცემით ვიცი). ჩემებურად ვცდილობდი სამყაროს შეცნობას და პირველი მარცხი, რომელიც ჩემს მეხსიერებას შემორჩინებული გახლდათ სამი წლის ასაკში უწებლიერ მარცხენა საჩვენებელ თითში გაყრილი ბებიაჩემის საკერავი მანქანის ნემსი. მახსოვს, ჩემი უფროსი ძმა როგორ დამციროდა და თან სიყვარულით და მზრუნველობით მახვევდა დაზიანებულ თითზე ფუმტულა ბამბის სქელ ფუნას – „ქორწილამდე მოგირჩებაო“. ამ ინციდენტის წყალობით შევიყვარე ალბათ კერაზც და საკერავი მანქანაც, რომლისთვის, სამწუხაროდ, დრო აღარასოდეს აღარ მაქვს.

ვიდრე გამართულად წერას ვისწავლიდი, ჩემს ნათქეამ ფრაზებს და სტრიქონებს ბებია ელენე ინერდა... შემდეგ დრო არასოდეს მყოფნიდა წერისთვის. ერთი ამოსუნთქვით ვაკეთებდი ყველაფერს, რათა დატვირთვით ვაკეთებდი ყურცელი ამელ!

ოლქა №1, 2019





მიყვარს სუფთა ფურცელზე წერა! სწორედ ასეთი სუფთა ფურცელი მიღევს მუხლებზე და ვწერ! ძალიან მინდა ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზა ვიპოვო და ვიდრე ამას მოვახერხებ, ჩემს წარმოსახვაში ძალიან ნაცნობი სახის შტრიხებით ჩემივე თანატოლი გოგონას პორტრეტს ვაცოცხლებ.

ფრანგი მაშიკო

მაშიკო ფრანგული სახელია არაა. ბაბუას და-ჟინებული თხოვნით დაარქვეს მშობლებმა... ბაბუა! მაღალი, მუდამ გამხდარი; მოხდენილი ღიმილით და ჩანიერიკებული კბილებით – გულიანად იცინის და ეს ლამაზი კბილები მარგალიტებივით უელავს! ბაბუა გმირია და მაშიკო ამაყობს, რომ გმირი ბაბუას სისხლის და მოდგმისაა – ის ქართველია! თავის მეგობარ იატაკეშელებთან ერთად ფაშისტებს ებრძოდა. მათ გადაარჩინეს სამხედრო ჰოსპიტალის დაჭრილი ბინადრები და მათ შორის პატარა ბავშვებიც. ბაბუა და მისი მეგობრები სამუდამოდ დარჩნენ ამ პატარა ფრანგული ქალაქის ისტორიაში. აქ შეხვდა ის ბებია მილენს. მათი შეხვედრის ისტორია საინტერესოცაა და ამავე დროს სასიამოვნოც. ბებია ორი მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცი-მცველის იმედად იყო დარჩენილი მთელს ჰოსპიტალში, როდესაც სამხედრო განგაში ატყდა. არავინ იცის, თუ საიდან გაჩინდენ იქ უცხო ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდა სამხედროები, რომლებმაც მძიმედ დაჭრილი პაციენტები თავშესაფარმი გადაიყვანეს. როდესაც უანი და მიშელი, ხუთი-ექვისი წლის ტყუბი ძმები გაპყავდა ბაბუას შენობიდან, მძიმედ დაიჭრა. მიღენა ბებია, მთელი კვირა, გვერდიდან არ მოშორდა უცხო ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცს, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ გამოკეთდებოდა.

ბაბუა თავისი სამშობლოდან კომუნისტებს გამოექცა. როდესაც თებერვალი იწურება და ჰაერში გაზაფხულის ენით აუნერელი სურნელი ტრიალებს, ბაბუას თავისი სავარძელი ეზოში გამოაქვს და ვეება კაკლის ხის ქვეშ მაგიდას მადგმევინებს. ეს კაკლის ხე ნახევარ საუკუნეზე მეტისაა და ის ბაბუამ დარგო. ზის ამ ხესთან, რომელსაც ჯერ კვირტებიც არ გაშლია და შორს იყურება, შორს კი თეთრად დათოვლილი მთებია. ბაბუა იწყებს (უკვე მერამდენედ) ამბის მოყოლას და მეც (ასევე მერამდენედ) ვინერ მის მონაცოლს... ომი ახალი დამთავრებული იყო. იოსები იმ მეგობრის სანახავად ჩავიდა საფრანგეთში, რომელიც სამხედრო ჰოსპიტალში იწვა. გიგო ფრანგ იატაკეშელებს კარგა ხნის ნინ შეუერთდა და მაშინ დაიჭრა, როდესაც ფაშისტები სულ ლაფავდნენ, თუმცა სისასტიკეს მაინც არ იშლიდნენ. სადგურში თანასოფლელები შეხვდნენ იოსებს, ფილიძეანთ გოგია და ომარაანთ ზაქრო: „იოსებ, ნამოდი, რაღას უცდი, ჩვენ უკვე ვბრუნდებით“, ხელს უქნევდნენ ბიჭები და მატარებელში, თავისკენ უხმობდნენ. ის მაინც აქეთ წამოვიდა, დაჭრილი მეგობრის ნახვა მოიმიზება. გაორებული იყო – ოჯახმა, მშობლებმა და მეუღლემ ხომ 44 წლის იმ ულიმდამ დილას გამოიგლოვეს, როდესაც მისი

უგზო-უკვლოდ დაკარგვის ბარათი მიიღეს. მერი – ის ახლა ვინ იცის, რამდენი წლის იქნება უკვე. რატომ მერი? გალაკტიონის ლექსის შემდეგ საქართველოში დაბადებულ თითქმის ყველა გოგონას ხომ მერის არქევდნენ. თავისუფლების უინმა და წყურვილმა იმდენად გადაწონა ყველაფერი ერთად, რომ ვერც მშობლებმა, ვერც ელენემ და ვერც პანია მერიმ, უკან, სამშობლოში ვერ დააბრუნა. მერამდენედ ხედავს ცხადად გონებაში, ცივის მთის კალთებს შეფერილი სოფლის პეიზაჟს, მკაცრად რომ გასცერის ალაზანს გაღმა, გოროზ მეციხოვნედ აღმართულ, მუდამ თოვლიან კავკასიონის ქედებს. მერე რამდენჯერ გადაუცურავს ბიჭებთან ერთად სანაძლეოზე ეს მოდუდუნ ალაზანი, წელიწადში სამჯერ მაინც რომ გახელდება ხოლმე და მიაქვს არემარე; ღვთისმშობლის ეკლესის ეზო და ბებერი ცაცხვებით ჩაბურული ბუღლვარი დაუდგა თვალწინ; ქიტესაანთ ეზოს ამოფარებული ირმისთვალება გოგონები და ჩუმად ამ ეზოსკენ გაპარებული მზერა – გაეღმის. ელენე! არისტოკრატების საგვარეულო პორტრეტიდან გადმოსულ ქალშვილს ჰგავდა, პირველად რომ ნახა. დახვეწილი სახის ნაკვეთი, ეშიანი სახე და გრძელი თითები! რამდენჯერ გადაფურცლა ბაბუამ გულში სათუთად შენახული წიგნის ფურცლები ზუსტად ამ გვერდებზე და რამდენჯერ გაეცრიცა თვალში კამიამა სილურჯე – როგორ ვგავარ თვალის ფერით ბაბუს და როგორ მიხარია, ეს მან არც კი იცის. რამდენჯერ დააპირა სამშობლოში ჩასვლა და იქაურიბით უინის მოკვლა. როგორ ებრძოდა საკუთარ თავს, რომ იმ შავი ლიმუზინის კარი არ გამოელო და მშობლიური სახლის კარში აბდავლებული არ შევარდნილიყო. მაშინ, მხოლოდ წუთით გაატარეს თავისი სოფლის ქუჩებში და წამით თვალი შეავლებინეს მშობლიურ სახლს – მხოლოდ სახლს. სახლთან ქალი იდგა და გაოგნებული მისჩერებოდა ლიმუზინს. ელენე! სულ არ შეცვლილიყო. არა-და 25 წელი არ იყო პატარა დრო... ბედი მქონიაო, ხშირად უთქვაში ბაბუას, როდესაც საფრანგეთთან მისი გაცნობის პირველივე წუთებს იხსენებს. მილენას მამაც, ისევე როგორც ბაბუას ქართველი მამა, მევენახეობით იყო დაკავებული და მიშელ ბურონის მიერ საგანგებო ტექნიკური გიგანტებით დამზადებულ სუფრის ლვინოს მთელს მხარეში ცნობდნენ. ალბათ მშობლიური სახლის და კუთხის სურნელი თუ აღმოაჩინა ბაბუამ ამ მამულში, თორებ მისი მოუსვენარი ბუნების ადამიანი სხვანაირად ვერ მიეჯაჭვებოდა აქაურობას. მიყვარს ბაბუა. ის მერიც მიყვარს, ბაბუას თვალით რომ არ ყავდა ნანახი, მაგრამ როდესაც მასზე საუბრობდა, ხელს მუდამ გულზე იდებდა. ვიცი რომ მერი მამაჩემზე ბევრად უფროსია და ისიც ვიცი, რომ შესაძლოა, ჩემნაირი მაშიკოც არსებობს ამ სამყაროში. მაშიკო, რომელსაც ასევე გმირი პაპა ჰყავს, იგივე ჩემი ბაბუა...

კახეთი 2016 წლის ნოემბერი

ვანო პაპა ნოემბერში გარდაიცვალა და არ



ვიცი, სიმბოლურია თუ არა, რომ ზუსტად ნოემბერში ვიხსენებ და თავს ვუყრი ამ ისტორიას; ვისთვის – ისტორიაა, ჩემთვის კი დღემდე დაუსრულებელი ამბავია! ამბავი, რომელიც რელიქვიასავით მომყვება მთელი ცხოვრება და დასრულებით, ალბათ მხოლოდ ჩემთან ერთად დასრულდება... დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყვის იოსების შესახებ, თუ როგორ და რა ვითარებაში დაიკარგა უგზო-უკვლიოდ, ათიათასობით მისი ასაკის ჯარისკაცის მსგავსად, მაგრამ საფრანგეთში, ომის შემდეგ მისი ყოფნა და არსებობა, დასტურდება. ბევრი მიმსვლელ-მომსვლელი იყო ყოველთვის ვანო პაპას სახლში. ყველა სხვადასხვა ამბავს ჰყვებოდა. ზოგი აიმედებდა მოხუცს: „აი, ნახავ სალ-სალამათი რომ შემოგიღებს სახლის კარს და გადაგეხვევა“; ზოგი ცდილობდა სიმართლის და ჭეშმარიტების მარცვალი გაეღვივებინა: „ვანო, კაცო, აბა დაფიქრდი, ქერჩითან მაშინ იმისთანა ბრძოლები მიდიოდა, ცოცხალი იქ სულიერი ვინ დარჩებოდაო“. იმედს მაინც არ იკლავდა დიდი პაპა და იმედთან ერთად წავიდა ამ ქვეყნიდან!... ნოემბრის თვეში... შავი ლიმუზინის ამბავი კი, რომელიც ერთხელ და ისიც გაკვრით გაიხსენა

ელენე ბებიამ, დღემდე მოსვენებას არ მაძლევს. თუ რომელი ქვეყნის დროშა იყო დამაგრებული საელჩის კუთვნილ იმ შავ ლიმუზინზე, ბებიას ამის შესახებ არაფერი უთქვამს და ალბათ მაშინ არც მიუქცევია ყურადღება, რადგან ასეთი მანქანები იმ დროს სოფელ-სოფელ და მით უმეტეს, უპან-უპან არ დადიოდა. თანაც ზუსტად იმ ქუჩაზე, რომელზეც მე გავიზარდე, მანამდე დედაჩემი გაიზარდა და დედაჩემამდე – იოსები პაპა მოევლინა ქვეყნას! ელენემ მაშინ გაოცების მეტი ვერაფერი მოახერხა და მხოლოდ დღესაა დარწმუნებული, რომ იმ შავ ლიმუზინში მისი იოსები იჯდა... ზღაპრად ვეითხულობ ამ ამბავს, მგონია და გულის ნათელ კუნძულში მაინც იმედად ვიტოვებ, რომ საფრანგეთის ერთ პატარა ნაწილში, პირობითად, იქაურ „კახეთში“, ჩვენი ფრანგი მაშიკო ცხოვრობს, ლურჯად კამიამა ცისთვალა, დიდი მაშინ ბებიასავით ლოყანითელი და ლამაზი!.. აქ კი, დილაობით, ისევ ბელურები ხმაურობენ ჩემს ფანჯრებთან, თუმცა ამინდის პროგნოზით ვევდები, რომ უახლოეს დღეებში შაშვებიც გამოჩნდებიან!



ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის

„ნეინდა ნინოს ჯვარი“

ახალი ლაურეატები

22 დეკემბერს უკვე მერვედ ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „ნეინდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წელილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით „ნეინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ბატონი თემურ ჩალაპაშვილი.

ფესტივალის უიურიმ: ზაალ ბოტყოველი (თავმჯდომარე), მამა ილია ჩიკვაძე, ბადრი სულაძე, გივი ჩილვინაძე ფესტივალის მთავარი პრიზი „ნეინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა: ედუარდ უგულავას, ელდარ ჭიჭიაშვილს.

ფესტივალის პრიზი „ნეინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ: კახა სულუაშვილს, ნინო დარბაისელს.

ფესტივალის პრიზით „ნეინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვნენ: ზორა ვაშაკიძე, თინათინ სიყმაშვილი, ზვიად ნეფარიძე, მაკა გელაშვილი, ლალი მიქაია, მამუკა დემეტრაშვილი, მზია თვალაბეგიშვილი, მარია თაბაგარი, ნინო ახალაშვილი, თიკა გელაშვილი, ქალთამზე (ანა) სურმანიძე, თენგო ხუციშვილი, ირაკლი ასლანიკაშვილი.

ფესტივალის დიპლომები გადაეცათ ბექა ზამთარაძეს, მაია დაკონიძეს, ნინო ტარყაშვილს, ივეტა პავლიაშვილ-დოხნაძეს, იამზე არველაძე-ხეცურიანს, კესარია (დოდო) აბაშიძეს.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორია ლიტერატურული უურნალი „ოლე“.



ნანა მარიაშვილი

52



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მმართველობის სამინისტრო

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მმართველობის სამინისტრო

ფა ეს გულიზ გავამთელო

არც კი ვიცი, სად მეძახის
მოხატული, ჭრელი მდელო,
მუდამ, შენზე მოლალულმა,
მერამდენე ლექსი ვწერო.
სითეთრეში, ჩაძირული,
ღრუბლებს მისწვდეს ფრთებით წერო,
ლალი ირმის შეძახილით –
მთა და ბარი შევაჯერო.
ბილიკი-ბილიკ გამოვუყვე,
კორდიანი – ფეხით ვთელო,
არც შენ დამრჩე – დარდიანი
და... ეს გულიც – გავამთელო!

არც კი ვიწი, სად მეძახის
მოხატული, ჭრელი მდელო,
მუდამ, შენზე მოლალულმა,
მერამდენე ლექსი ვწერო...

6. მანიურშვილი

როდემდის ვიყოთ

შემოხვევია შენი დარდი,
როგორც ვაზი,
ჩაკრული ჭიგოს,
შენი ცრემლები
მეც მატირებს
და მირლვევს ლიბოს.
სიმართლე თვალში
თვალს გამიყრის და,
იქნებ, მკითხოს:
ჩვენ – ამ ყოფაში
და... ამ დარდში,
როდემდე ვიყოთ?!.

ზეფაზენი

ზედაზენს ათევს ლამე, –
ზეცა კაშკაშით ხვდება,
ტყეში სიჩუმე დადის,
სიჩუმე ყველას სწვდება.
ბჟუტავს სანთელი თავისთვის,
მიიღევა და ქრება,
ტარის კედლები სიწმინდის
შუქით გამთბარი ჩნდება.
მადლი ტრიალებს ძველი,
წმინდა მამათა კერას,
მოჩანს სანახი ქართლის,
ქვემოთ გადაშლილს ვხედავ.
აქედან, ისმის – ლოცვა,
მთელ საქართველოს სწვდება,
და, ერთიანად, თქმული,
ზეცაში ადის, – ღმერთან!

მე შენს ძახილზე მოვედი

მე შენს ძახილზე მოვედი,
სხვა, არა გამიგია, რა,
გულის ყვავილად გაშლილი,
ველი დამიხვდი მზიანად.
მეც მოველ, როგორც მელოდი,
გავხდით: ერთურთის ზიარად,
მოვდივართ, მოგვაქვს ულელი,
ცხოვრების – მკაცრი მანტია:
რაოდენ საამურია:
მაისობს, განა – მარტია?! –
რამდენიც უნდა გავიდეს,
სულ, ჩაუქრობლად ანთია!..



ანი ჩამატი

ს
ლ
ი
კ
ლ
ი
კ
ლ
ი
კ
ლ
ი
კ
ლ
ი
კ
ლ
ი
კ
ლ
ი

არ მახვად სოფელში, ამ ზაფხულს, ქაღაუ?
არ მახვად? – მეითხავდა გულნატკენ წერი,
ქაღაუ კარგია, სოფელსაკე მოხედე,
ამოდი, ამწვანდა სახლი და ეზო.

ამოდი, გასწავლო საქონლის მოვლა და...
კარაქის შეფლვება, გასწავლო, ამოდი,
წინაზე მდინარეს, იმხელა, მოვარდა,
სახლის თუ არ მიხედავ გაქრება ნაშრომი.

ნასულხარ ქაღაუში, აქ, ვიღა ვიქწერით?!
არ დაგაფინყდეს, რომ შენა ხარ – ფშაველი.
ა. ჭამატი

53



სლოვაკიური იურიდიკური უნივერსიტეტის სახლი

ანი ჭამატი დაიბადა თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში 1995 წელს.

2016 წელს დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, – ინგლისური ენის სპეციალობით.

ანიმ 2016 წელს მონაბიღობა მიიღო ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში „ჩვენ მოვდივართ“ და დაიმსახურა ვერცხლის დიპლომი.

* * *

გავყურებ განცდით: ამ, ლამაზ მთებს, – ზეცად აწვდენილს,
თვალს მოგტაცებენ ადგილები, ეს, – არნახული;
მე, შემიძლია, სიამაყით, გითხრათ სიმართლე:
წვეთი არ არის, ჩემში, სისხლი – არაქართული!

მე, არ დავეძებ, თუნდაც, მოვკვდე – ამ ტკბობის მერე,
მათ გარეშეა – ეს სიცოცხლე არაფრად თქმული,
სანამ მოვკვდები, მაინც, ჯიქურ, ხმამაღლა ვიტყვი:
წვეთი არ არის, ჩემში, სისხლი – არაქართული!

მთები მაცოცხლებს და... მარადის, ასე იქნება,
ნურეის ჰელია: ბუმბერაზებს – არ ჰელია: სული,
მე, სისხლი მიდულს – ქართველისა და... კვლავაც ვიტყვი, –
წვეთი არ არის სისხლი, ჩემში, – არაქართული!

* * *

არ მახვალ სოფელში, ამ ზაფხულს, ქაღაუ?
არ მახვალ? – მეითხავდა გულნატკენ ბებო,
ქაღაუ კარგია, სოფელსაც მოხედე,
ამოდი, ამწვანდა სახლი და ეზო.

ამოდი, გასწავლო საქონლის მოვლა და...
კარაქის შედღვება, გასწავლო, ამოდი,
წინაზე მდინარეც, იმხელა, მოვარდა,
სახლს თუ არ მიხედავ გაქრება ნაშრომი.

ნასულხარ ქაღაუში, აქ, ვიღა ვიქწებით?!
არ დაგაფინყდეს, რომ შენა ხარ – ფშაველი.

P.S.

სან, მთაში ვიქწები, ხან, კიდევ ბარადა...
ჩვენი სილადეა – სამშობლოს მთა-ველი.



სოაგვო

მთებს შორის ღარად მოქცეულო, ნაჟურო მთათა...
ირმის ცრემლებად ჩამოსულო, ორ ფერში ხარობ,
მთათა ზვინებში მოჩუქრებევ, არაგვო, ჩქარო,
რამდენი წელი შენს ნახვას და შეხებას ეჩქარობ.

54



* * *

შენი უიმედო სიყვარული,
შენზე ფიქრი, ისიც უიმედო,
ფიქრში ღამეები ნათენები, –
დასავინყებლად, როგორ გავიმეტო?..

ისევ, ის – წუთები, – ნაწამები,
ისევ, დეპრესია, – არეული,
შენი ნაკვალევის მიმდევარი, –
ისევ, ჩემი თავი, – მთვარეული.

ისევ, შენი მოსვლის მოლოდინი,
შენი ჩახუტების იმედები,
ისევ, გამახსენდა – ის დღეები, –
მახსოვს, შენ ნახვას რომ ვიძედებდი.

შენგან გახიზნული სიყვარული,
როგორც თოვლში გაყინული და დამზრალი,
ისევ, – უიმედო გულის ფეთქვა,
თითქოს, ხვალის გზები – გადამწვარი.

მაინც, იმედები, ჯერ, – ცოცხალი,
შენი დაპრუნების იმედები,
ისევ, სიყვარული და... იცოდე,
მაინც, უსასრულოდ, გელოდები.

* * *

ნავიდეთ, ჩარგალს ვესტუმროთ,
მეც არ ავსულვარ, – წლებია,
ნავიდეთ, ვნახოთ მგოსნები, –
ერთმანეთს როგორ ხედებიან.

ვაჟას კერიას ვესტუმროთ, –
სანამ არ არის გვიანი,

წავიდეთ, ვნახოთ ყვავილნი,
მისი დეკა და ლვიანი;

წავიდეთ და... ჩვენც გავლალდეთ,
რომ ვიყოთ ხალისიანი...
დავლოცოთ ვაჟას საუფლო,
ავმაღლდეთ ხვალის სიამით.

* * *

ჭაუხთ შაუყრიათ ნისლი,
ჯიხვებს გადუვლიათ მთები,
ისევ, – მთების ბოლოს გიცდი,
მაგრამ... აგვიანებ, ვხვდები.

უნდა – გვევლო მთებში, ერთად,
ფეხით შემოგვევლო მინდვრებ,
უნდა – აგვეყარა სევდა,
უნდა – დაგვეტოვა იქვე.

ცოტა, გაყშოროდით – ქალაქს,
ნამით გავქცეოდით – ნერვებს,
უნდა – ავყოლოდით – ქარაფს, –
თუნდაც, არ მეცოცხლა მერე.

კიდევაზ...

კიდევაც, – ფშავს ვესტუმრები,
კიდევაც, – ვნახავ მთის სერებს,
კიდევაც, – გულში ჩავიკრავ –
მე ფშავში დაწერილ ლექსებს.

კიდევაც, – ფშავს ვესტუმრები,
კიდევაც, – ვნახავ, იქ, ჯიხვებს,
ფშავლის კაფიას მოვუსმენ,
კაცს რომ გულს აუგიზგიზებს.

კიდევაც, – ფშავს ვესტუმრები,
კიდევაც, – გულს გავიხარებ,
მასპინძელ შემოგვთავაზებს:
დამბალ ხაჭოს და ხლოვანებს.



კარგით, უთქვაშს ალდგომელას, დაქუცუფა რომ
არ დამიზრალოთ, დიდი ძარი ძარი მომერით, პირში
ჩაფიქრებ და თქვენ ჩაფიქრებ ჩამახსით ლვინოლო. ასერ
მოქალაქულან. ასხავენ სარეკლები ძარიში და სვამის
ალდგომელა. თან გაკვირვებულები არიან, სად
ჩასდის ამ იხელს ამდენი ლვინოლო... რომ დაწლილა
ჩაფი, ამოუხედავს ალდგომელას, — გათავდა, ალარ
არისო? — უკითხდა.

გ. ჩილვიძე



საქართველოს ისტორიული მუზეუმის მიერაცხოველი

ალდგომელა გლოველი

(მოხვაში დარჩენილი ამბები. ბუჭუ კუჭაშვილის ნაამბობი)

უძლიერესი რაჭველი ვაჟუაცი, ცნობილი
და დაუძლეველი თამადა, შქმერელი ალდგომე-
ლა გლოველი მეოცე საუკუნეში ცხოვრობდა.
მასზე საოცარი თქმულებებია დარჩენილი, ერთ
კოკა ლვინოს სვამდა თამადობამდე ან სუფრის
მოლევის შემდეგ...

მოხვაში ალდგომელას ქალიშვილი ჰყავდა
გათხოვილი ოქროპირ კუჭაშვილზე და მათი
ხშირი სტუმარი იყო. ერთხელ მარტო ახლად-
მოყვანილი პატარძალი დახვედრია შინ, ოჯახის
სხვა წევრები და მათ შორის ალდგომელას ქალ-
იშვილი, მოშორებით მდებარე ვენახში ყოფილან
სამუშაოდ. პატარძალი მარჯვედ დატრიალებუ-
ლა, უცებ კარგი სუფრა გაუშძია სტუმრისთ-
ვის და ზედაც ლვინით სავსე მოზრდილი დოქი
შემოუდგამს. ცოტა ხანში სამზადიდან შესულს
კიდევ რაღაც შეუმატებია და თან დოქისთვის
წაუვლია ხელი, დაისხით ბატონორ მაგრამ დოქი
ცარიელი შერჩენია. ვაიმე, ცარიელი დოქი მომ-
იტანია, ბოდიშიო, უთქვაშს შეცბუნებულს. არა,
შვილოო, გალიმებია ალდგომელას, ეგ სამწყურ-
ვალოდ (წყურვილის მოსაკლავად) დავლიერ.
გაკვირვებულ პატარძალს ისევ შეუვსია დოქი.
ალდგომელა მარტო ხომ არ დაიწყებდა ქეიფს,
კარგად უსადილნია, რამდენიმე ჭიქით პატარ-
ძალი და ოჯახი უდღევრძელებია და მადლიერ-
ებით დამშვიდობებია მასპინძელს.

* * *

ალდგომელა საზანოში მიდიოდა თურმე,
იქ ლვინოს ყიდულობდა. გზად ზოდელ კაცს
დამგზავრებია, გვარად გიორგაძეს, რომელ-
საც ლვინო მიჰქონდა გასაყიდად ფუთნახევრი-
ანი ტიკით. ალდგომელას ლაპარაკი გაუბამს,

გაუცვინიათ ერთმანეთი და მერე უკითხავს,
რამდენია შენი ლვინო და როგორ ჰყიდიო? ფუ-
თნახევარიაო, უთქვაშს გიორგაძეს. ჰოდა, მე
მომყიდვე ბარემ, ფულიც მაქვს აგერ ჯიბეში
და თან ძალიან მოწყურებული ვარო. ზოდელს
უთქვაშს, წყურვილის მოსაკლავად ისე დაგა-
ლევინებ, შე კაცოო. არა, მე წყურვილს ცოტა
არ მომიკლავს, ეგ ტიკი სულ უნდა დავცალო,
ჯობია მომყიდოლი. ზოდელს გასცინებია, შენ
თუ ამას სულ დალევ, არაფერი მინდა შენი,
ღმერთმა შეგარგოსო. კარგიო, უთქვაშს ალ-
დგომელას, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოსო და
მიუყუდებია პირზე ტიკი, დაუყვანია ნახევრამ-
დე, ერთი შეუსვენია, მეორე სადღეგრძელოთი
ლვინის პატრონი და თავისი თავი უდღევრ-
ძელებია, დაუცლია ტიკი და დაკეცილი მიუცია
პატრონისთვის.

გაკვირვებულა ზოდელი, ბოლოს უკითხავს,
თამადობა თუ გეხერხებაო? გამორჩეული თამა-
და ვარო, გასცინებია ალდგომელას. მაშინ ერთი
სათხოვარი მაქვს, ამ შაბათს შვილის ქორწილი
მაქვს, ახალ მოყვრებს ცნობილი თამადა მო-
ჰყავთ, აბაშიძე, თუ კარგად ითამადებ და იმა-
საც დაათრობ, ორი ცხენის საპალნე ლვინოს
გაგატან რაჭაშიო. კარგიო, უთქვაშს ალდგომე-
ლას, იმსაც დავათრობ და ქორწილის შემდეგ
დამატებით ერთ ჩაფ ლვინოსაც დავცლიო.
მართლაც დათქმულ დღეს სტუმრებია ოჯახს,
კარგადაც უთამადნია, აბაშიძეც დაუთვრია და
ბოლოს ყველას გასაკვირად ერთი ჩაფი კიდევ
დაუყოლებია... მასპინძელს აუკიდნია ორი ცხ-
ენისთვის დათქმული საპალნე და სტუმარს
მადლიერებით დამშვიდობებია.





* * *

ერთხელ აღდგომელას სოფელ სარეკში გამოევლო. იქაურები ქეიფობდნენ თურმე და შორს მიმავალი მგზავრიც მიუწვევიათ. იქვე ლვინით სავსე ჩაფი მდგარა და შეუთავაზებიათ, თუ დაცლი, ას მანეთს მოგცემთო. დავცლიო, უთქვამს აღდგომელას. დანიძლავებოდნენ სარეკლები – თუ ვერ დაცლი, შენ უნდა მოგვცე ასი მანეთი, თან წვეთი არ უნდა დაგექცესო.

კარგიო, უთქვამს აღდგომელას, დაქცევა რომ არ დამაპრალოთ, დიდი ძაბრი მომეცით, პირში ჩავიდებ და თქვენ ჩაფით ჩამასხით ლვინოო. ასეც მოქცეულან. ასხავენ სარეკლები ძაბრში

და სვამს აღდგომელა. თან გაკვირვებულები არიან, სად ჩასდის ამ ოხერს ამდენი ლვინოო... რომ დაცლილა ჩაფი, ამოუხედავს აღდგომელას, – გათავდა, აღარ არისო? – უკითხავს. გათავდა, გახეთქა შენი მუცელიო, უთქვამთ გულშემოყრილებს, არ ელოდნენ მისგან ჩაფის დაცლას თურმე, მიუციათ იქვე შეკრებილი ასი მანეთი და წამოსულა შემერელი გოლიათი გამარჯვებული.

აღდგომელას სახელი და საქმენი ცნობილი იყო ხალხში. ჩვენში ვინმე ბევრ ლვინოს ან თუნდაც წყალს რომ დალევდა, ეტყოდნენ ხოლმე, რა იყო შე კაცო, აღდგომელა ხომ არა ხარო?..



მხატვარი სოფიო ჭელიძე



მნებელის სიცყვა

**ფარნა
რაინა**

სიცყვა

მწერლომისა – ზნეობისა და მორალის, სიმართლისა და სინიჭის ქადაგებისა, რაჯ ხელს არ აძლევს, უზნეო და ამორალურ, უუფყინი სულის ადამიანებს; ამიტომ, ხელს კი არ უწყობენ, ერთგვიან, – ხან ფარულად, ხან – აძჟარად... რამდენი სულიერი მოძღვარი მოკლეს?!.. ვინ აწყა ჰავარზე იეხო? ვის უნდა დაეწვა კოწონზე ფანტე ალიგიერი? ვინ მოკლა პუშკინი? ვინ მოკლა ლე-ომონცოვი? ვინ მოკლა ილია? ვინ მოკლა ხოსე-ლი? ვინ მოკლა პატლო ნერვუა? ვინ მოკლა გარსია ლორკა? და... ვინა დგას რიგში?!

ფ. რაინა

სიცყვა სიცყვა

აღმარხა „ამერ-იმერის“ პურთხევა – დიდი ერეპლეს ჩაღაქში...

(სიცყვა თქმული აღმარხა „ამერ-იმერის“ წარდგინებაზე 2018 წლის 31 ოქტომბერს)

ჭეშმარიტი გულითადობით მოგესალმებით, ჩვენო, ძვირფასო სტუმრებო, ჩვენო, ძვირფასო, კალმოსანო კოლეგებო, ჩვენო, ძვირფასო, თელავის საზოგადოებავ!..

ეს-ეს არის, დამთავრდა პირველი ტურის საარჩევნო ციებ-ცხელება, მაგრამ... ჯერ, კიდევ, მისი შთაბეჭდილებების ქვეშ ვართ. რაც მთავარია – საყოველთაოდ ცნობილი სენტრციისა არ იყოს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძე-ლია“... ღმერთმა ქნას კეთილმა გაიმარჯვოს...

ამ ფონზე, დღეს, მნიშვნელოვანი, სალიტერა-ტურო მოვლენის მონაბენი ვხდებით... გამოიცა და საზეიმო ვითარებაში წარმოგვიდგება საქართველოს ერთ-ერთი, დამოუკიდებელი სამწერლო მესიტყვე – აღმარხაში „ამერ-იმერი“.

რა შეიძლება ითქვას, საპრეზიდენტო – საარჩევნო ჭაპანნყვეტის პირველი ტურის დამ-თავრების შემდეგ? „ამერ-იმერი“, გაზაფხულის მერცხალივით, შემოფრინდა პატარა კახის ქალაქში. ვფიქრობ, ეს, თითქოს, ერთგვარი მოციქულია საქართველოს ერთიანობისა, თავისი მინიჭებით: „ამერით და იმერით“.

აღმარხაშის დამფუძნებელი, პროექტის ავტო-რი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორია – ვაჟა ჩიორდელი, რედაქტორის საპატიო წევრი – იორამ ღუდუშაური, პასუხისმგებელი მდივანი – ლელა მე-ტრეველი, რედაქტორები: ზაალ ბოტკოველი, ნანა გოგუაძე-ლობელი, ჯემალ დავლიანიძე, რევაზ დაბ-ელია, ანა ერისთავი, ზურაბ თორია, პაატა იაკაშ-ვილი, გულო კობიაშვილი, ჯემალ მეხრიშვილი, არ-ტურ სულამანიძე, ზურაბ ქობალია, თემურ შავლაძე და ჯემალ ჭელიძე.

უპირველეს ყოვლისა, „ამერ-იმერის“ და მთელ მის სარედაქციო კოლეგიას დავლოცავთ, დღეგრძე-ლობას – მზეგრძელობას ვუსურვებთ.

ამ აღმარხაშის გამოცემა და მთელი მისი საქმია-ნობა, რესპუბლიკის სხვა სამწერლო გამოცემებთან ერთად, თავისებური მოვლენაა დუხქირ საქართვე-ლოში ამ, გლობალიზმის ეპოქაში, როცა ადამიანის სულიერება იგნორირებულია და... ლაშის, ნელამდე დავიდეს. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, რომ ვთქვათ, განსაკუთრებით უქირს საქართველოს, – ვეღარ გასწორდა წელში, როგორც სახელმწიფო, – 30 წელია, თითქოს, ბნელეთში დავბორიალობთ, თითქოს, მინავლა – ათას ქარცეცხლში გამოვლი-ლი ქართული, – მეომრული და მედგარი სული. ყველაფერზე ჩარჩულმა მიდგომამ, ქვეყნას მთა-ვარი საყრდენი, ლაშის, გამოაცალა – ეს საყრდე-ნია – ერის სულიერი წინამდლოლი. ყველა დროში, – საქართველოს და ქართველ ერს, უფრო დიდი მტერი არ ჰყოლია, როგორც ქართული მწერლო-ბის მტერი, რადგან ქართული სული ყველაზე უზე-ნესად მწერლობით არის გამოხატული. ქართული სული გამოხატულია: რუსთაველის გენიალური „ვეფხის ტყაოსნით“, დავით გურამიშვილის „და-ვითანით“, ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური „მერანითა“ და „ფიქრი მტკვრის პირას“ სახით, ილიას გენიალური „ოთარაანთ ქვრივით“, „გლახის ნაამბობით“, საპროგრამო „მგზავრის წერილებით“, აკაკის გენიალური ლირიკით „თორნიკე ერისთავი-თა“ და „ბაში-აჩუკით“, ვაჟა-ფშაველას გენიალური „გველის-მჭამელით“, „სტუმარ-მასპინძლით“, „ალუ-და ქეთელაურით“, „გოგოიურითა და აფშინანით“, „ბახტრიონით“, „მოხუცის ნათქვამითა“ და სხვა... ალარ ჩამოვთვლი XX და XXI საუკუნის მწერლებსა და მათ შედევრებს... აი, სად არის ყველაზე უკეთე-სად გამოხატული ქართული სული, ქართველობის იერ-სახე, ქართული გენის სიდიადე, რომელიც დაი-წყო, ჯერ, კიდევ, უძველესი საუკუნეებიდან.

ჩვენ ჯეროვანი, პატივი, უნდა ვცეთ ჩვენს საა-





მაყო წარსულს, რომელმაც კულტურით გამოხატა და, განსაკუთრებით – მწერლობით, ქართული მწერლობა თავისი დიდი წარსულით მოვიდა... მეცნიერული კვლევების ახალი ვერსიებით დაინდება, რომ მთელ სმელთაშუა ზღვის არეალში პროტოქართველები ცხოვრობდნენ. ექსპერტთა დასკვნით, თვით, ეგვიპტის ფარაონთა „დეენემი“ ყველაზე ახლოს უდგება ქართულ დეენემს, დაინდება, რომ ეგვიპტის კუნძულებზე, სადაც ელინები ცხოვრობდნენ, უნინ პროქართველებით იყო დასახლებული; პროქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე – აპენინის ნახევარკუნძულზე, – რომაელებზე ადრე, ხოლო პირინეის ნახევარკუნძულზე – ესპანელებზე ადრე, იქ, დღემდე დარჩენილია ქართველების მონათესავე ტომი, – ბასკების სახით და იძერის სახელნოდებით. ქართველთა ალი-კვალი ნისლიან ალბინამდეც კი მიდის. ისიც, ხომ, დაინდება, რომ ევროპის ხალხების აკვანი კავკასია იყო. ხომ სენსაცია ისიც, რომ სმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე ალმოჩენილი ოთხიათასწლის წინაძელი ე.წ. „ფესტოსის დისკი“, მხოლოდ ქართულად გაშიფრა ქართველმა მეცნიერმა გია კვაშალავამ.

მე მექანიკურად კი არ ჩამოვამძივე ჩვენი, უძველესი, ისტორიული ექსპურსი. აი, ამ პროტოქართველების განვითარებული გენების წყალობითაა დიადი ქართული მწერლობა. მწერლობა დამწერლობაზე დამწერბული და... ამიტომ, მისწური შორსმჭვრეტელობით აღნიშნა სასიქადულო მეცნიერმა – ივანე ჯავახიშვილმა, რომ „ქართული დამწერლობა საუკუნეთა სილრმეში იკარგებაო“...

სამწუხაროდ, ფარნავაზის წინარე, სამწერლო პოზიტივი, წყვდიადით არის მოცული...

დღეს, ყველაზე, არსებითი კოშმარი და მეცნიერ-ექსპერტთა საბედისწერო პროგნოზი რა არის? 50 წლის შემდეგ, პლანეტის რუკიდან ქართველობის გაქრობა, რაც უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა ქართული სულიერების გაქრობით. ქართული სულიერების შემოქმედი, ხომ მწერლობაა. ამიტომ, არის, პირველი სამიზნე, მწერლობა. რა გენიალურად თქვა მარადიული ფორმულა, ყაზახთის პრეზიდენტმა – ნურსულთან ნაზარბაევმა, რომ: „ერის კოდი კულტურაში დევსო“. ხოლო, კულტურის მწვერვალი, ხომ მწერლობაა. აი, ამიტომ, ქართველობის ყველაზე შენილბულ, ფარისეველ და მზაკვარ მტრებს ქართული მწერლობა აქვთ მიზანში ამოღებული...

ჩვენი პლანეტის თავზე კოშმარი განვილა, – ზეძალის იარაღით: ძალმომრეობის, ურნმუნობის, ნარკოტიკების, უზნების, ამორალობის, სიმზაკვრის, პირველული ამბიციების, მომზევეჭლობის, მტაცებლობის, ყველაფრის დასწრებისა და მოსწრების „ფილოსოფიით“. კაცობრიობა კატასტროფის წინაშეა, ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედიზე დგას. გლობალიზმია, რომელსაც ორი მხარე აქვს – ბედინერებისა და უბედურების. მთელი სამყარო არჩევანის წინაშეა: ან გააზროს, გააანალიზოს დღევანდელი რეალობა და იფიქროს ბედინერ მომა-

ვალზე, ანდა – შეეგულს მესამე ცივილიზაციის დასასრულსა და კატასტროფას. კაცობრიობა, ასეთი, გლობალური საფრთხის წინაშე – არასოდეს ყოფილა...

ამ, კოშმარულ ფონზე, უფლის რწმენასთან ერთად, XXI საუკუნის ადამიანის სულიერი სამყაროს განწმენდის და გადარჩენის გარანტი ჭეშმარიტი მწერლობაა, რომელმაც, როგორც ბევრჯერ მითქვაშს, ადამიანი გამოიყვანა გამოქაბულიდან. რომ, არა – მხატვრული სიტყვის მსოფლიო გენოსები, ალბათ, წარმოგიდგინიათ – სულიერი განვითარების რომელ საფეხურზე ვიქენებოდით. აქვე, დავექნ იმასც, რომ – ჩვენ დავარისხებთ სოკრატეს მონაფისა და არისტოტელეს მასწავლებლის, ფილოსოფოს პლატონის ანტიტილოსოფიურ მოსაზრებას, რომ პოეტები – უმაქნისი, უსარგებლო, უაზროდ მოჯანყე, შარიანი ხალხიაო და საერთოდ განდევნა თავისი „იდეალური სახელმწიფოდან“... ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, ხომ – ცხოვრება, ცხოვრების რეალობა და ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტება კი – ადამიანის სულის ინუინერი მწერალია. როგორც გენისები გავასწავლიდნენ... ხალხის გრიალური სენტენცია: „შეუმცდარი, მხოლოდ ღმერთია“ და...

მე, აქ, ისევ, პლატონის გენიალურ მოსწავლეს – არისტოტელეს მოვახმობ: „მართალია, პლატონი ჩემი მასწავლებელი და დიდი მეგობარია, მაგრამ... უფრო დიდი მეგობარი ჭეშმარიტებაა“...

მოვუსმინოთ ნიკოლა ტესლასაც: „კოლორადო-სპრინგში მე გავუდინთე დედამიწა ელექტროენერგიით. ჩვენ სხვა ენერგიების გამოყენებაც შეგვიძლია, ისეთის, როგორიცაა – დადებითი გონებრივი ენერგია. იგი – ბახისა და მოცარტის მუსიკაშია, ან, სულაც – უდიდესი პოეტების ლექსებში“...

წლების მანძილზე ვეძებდი, როგორ შეიძლებოდა, ამ ენერგიებით ადამიანებზე ზემოქმედება...

რას ამბობს სამუელ კოლდრიჯი? „შეუძლებელია იყო პოეტი და, იმავდროულად, არ იყო ფილოსოფოსი“...

რას ამბობს ვოლტერი: „პოეზია სულის მუსიკა“... რას ამბობს გარსია ლორკა? „პოეტის მისია სული შთაბეროს, – ამ სიტყვის სრული მინშვერელიბით“... რას ამბობს გურამ დოჩანაშვილი? „ჩვენი, – პანია საქართველო მსოფლიო პოეზიის რუკაზე, ერთ-ერთი, დიადი და ძლევამოსილი სახელმწიფოა“... რას ამბობს დემოკრიტე? „რასაც პოეტი ლვთის შთაგონებით წერს, ყველაფერი მშვენიერია“... რას ამბობს ანატოლ ფრანსი? „ლექსების თხზვა ლვთისმსახურებასთან ძალზე ახლოსაა“...

ვფიქრობ, სხვა კომენტარები აღარ არის საჭირო...

ავილოთ, თუნდაც საქართველოს მაგალითი, – რომ არა, ჩვენი სულმანათი და ეროვნული სამყარო: რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და... სხვანი და... სხვანი...

ვინ ვიქენებოდით?.. რანი ვიქენებოდით?.. და –



რით მოვიწონებდით თავს მსოფლიოს წინაშე?!

ნურავინ ჩამომართმევს გადაჭარბებად, თუ, ვიტყვი, რომ, თითქოს, ჩვენი, ეროვნული სულის დაისი დაიწყო... ამის წინაპირობა გახლავთ: დღეს, მწერლობის როლის შეუფასებლობა, ან, უარყოფა, – ეს – კატასტროფაა... კაცობრიობის ისტორიის გაკვეთილებით ვიცით, რომ, ვინაც მწერლობის, – სულიერების, სიბრძნის ფილოსოფია ჯეროვნად არ შეაფასა, იმ ქვეყნების, ხალხების, ერების ალიკვალიც აღარ არის... მე, შეიძლება, დღეს, მესამედ, გავიმეორო ყაზახეთის პრეზიდენტის გენიალური სიბრძნის ფორმულა: „ერის კოდი კულტურაში დევსო“.

მწერლობა – ზნეობისა და მორალის, სიმართლისა და სინდისის ქადაგებაა, რაც ხელს არ აძლევს, უზნეო და ამორალურ, ჭუჭყანი სულის ადამიანებს; ამიტომ, ხელს კი არ უწყობენ, ებრძვიან, – ხან ფარულად, ხან – აშკარად... რამდენი სულიერი მოძღვარი მოკლეს?!.. ვინ აცვა ჯვარზე იქსო? ვის უნდა დაეწვა კოცონზე დაწე ალიგიერი? ვინ მოკლა პუშკინი? ვინ მოკლა ლერმონტოვი? ვინ მოკლა ილია? ვინ მოკლა ხოსე რიზალი? ვინ მოკლა პაბლო ნერუდა? ვინ მოკლა გარსია ლორკა? და... ვინა დგას რიგში?!.. აი, გონების სიბრძნავე და სატანური ბოროტების სათავე...

განსაკუთრებით დღეს, – ამ, ძალმომრეობისა და ძნელებელობის უამს, რომელსაც „გლობალიზმის ეპოქა“ ჰქვია, მსოფლიომ თუ, არ გაითვალისწინა სულიერებისა და სულიერების მოძღვართა როლი, არც – დელფინისა და არც – მემფოსის მისნებია საჭირო, როგორც – ზემოთაც აღვნიშნე, ჩვენი

პლანეტის კატასტროფა გარდაუვალია...

მწერლობა, დღეს, ისეა საჭირო – როგორც მზე და სიცოცხლე. ამიტომ, ჯეროვანი დაფიქრება და საქმე მართებთ დედამიწაზე, ყველა მოაზროვნე სულიერს, – ჭეშმარიტი კულტურის მოძღვართათვის მწვანე გზის გახსნისა და ხელშეწყობისათვის, მაგრამ, გულისტყვილით, არ შეიძლება არ აღვნიშნო: ფრანგულტრში, წიგნის ბაზრობაზე ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებად, მივლინებული 70 კაციანი ჯგუფი, რომელიც, უბრალოდ, რომ ვთქვათ, სამარცხვინოზე სამარცხვინოა – ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის, ხელისუფლებისთვის და კულტურის სამინისტროსთვის. ნუთუ, აღარც ღმერთი არსებობს, აღარც – სამართალი და აღარც – სინდისი?!.. ნათქვამია: „მზეს, ხელისგულით ვერავინ დაფარავსო“ და... დრო თავისას იტყვის, – ვერავინ გაექცევა ჭეშმარიტებას!!!!..

ჩვენო, ძვირფასო ხალხო, ჩვენო, ძვირფასო საზოგადოებავ, სამწერლო ზარები: „ოლქ“, „უქიმერიონი“, „ამერ-იმერი“, „განთიადი“, „ჭოროხი“, „ლიტერატურული საქართველო“, „მწვანეყვავილა“, „ლიტერატურული მესხეთი“, „მწერლის გაზეთ“, „ცისკარი“, „ხორნაბუჯი“ ზარებს რეკავენ და ქვეყანას აუწყებენ, რომ – „არ მომკვდარა, მხოლოდ, სძინავს, გაიღვიძებს, ისევ, ერი“...

ჩემი სიტყვის დასასრულს, ერთხელ, კიდევ, დავლოცავ „ამერ-იმერის“ თაოსნებსა და მთელ ქართულ მწერლობას, ამ, ახალ, სამწერლო პირმშოს, მორიგ, დაბადებას, ვუსურვებ: წარმატებასა და წინსვლას, – ქართველი ერის, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ...



განახლებული საეპისკოპოსო სასახლე და სიძველეთსაცავი

ნათებ მჯედლიშვილი

60



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის სახელმწიფო განაცხადი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ განაცხადის სახელმწიფო განაცხადი

დარეკანთან ერთად აუზილებლად უნდა ვახსენოთ ნამდვილი, ხორციელად მშობელი დედა ამირანისა – დალი. დალი ქალღმერთია, მზეგარეული, ოქროსმინი, იქროს ხელსაქმის იარაღებით. მის ძალმოსილებაზე საკურთხევა იყო საკურთხევა და მაღალი კლიმატის მნვერვალზე აუკალი მღვიმე. გავიხსენოთ როგორ იწვალა სულკურმატის იქ ასასვლელად. იქ მდევრობითი სქესის არაერთს ასვლად გაუჭირდებოდა და არაერთაგან, მაგრამ დალი ხომ ქალმერთია.

6. მჟედლიშვილი

ამირანის ქალები

ამირანის პერსონაჟი მამაკაცები ტიტანური ძალით გამოიჩინია. თავად ამირანი ბუმბერაზია, დევებთან, გველეშაპებთან, ქაჯებთან მეომარი; იგი ნათლია ლერისაც ედიდგულება და ეჭიდავება. ამირანის ძმები ბადრი და უსუპი არანაკლებ ძლიერები არიან. ისინი ერთმანეთის მიყოლებით მარტონი ეპრევიან ღრუბელთხელმწიფის ლაშქარის. არამინიერი ძალის პატრონი ჩანს ცამცუმი, ბროლის კოშკი მნოლიარე მიცვალებული. თქმულებაში კიდევ ერთი გოლიათი გვხვდება, ოღონდ ისიც მიცვალებული. ესაა ამირანის მტერი ამბრი. ამირანს მკვდარი ამბრის ბარკლის დაძვრაც კი არ შეუძლია.

მამაკაცთა ასეთი ძლიერება ალბათ არც გასაკვირია. საინტერესოა როგორები არიან „ამირანი“ ქალები. არიან თუ არა ისინი ტოლნი და სწორნი თავიანთი ეპოქის მამაკაცებისა.

პირველი ქალი თქმულებაში ამირანის დედობილი დარეჯანია. დარეჯანზე მითი ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ ის რაც ვიცით საკმარისია მისი პორტრეტის შესაქმნელად. დარეჯანი არაფრითაა გამორჩეული. იგი ჩვეულებრივი ოჯახის ქალია. დავაუკაცებულ ამირანს დარეჯანის ძედ იხსენიებენ. დარეჯანიანთსას უწოდებენ, „ამირან დარეჯანის ძევ“ – მიმართავენ. ქალღმერთ დალის წილიდან ნაშობ ამირანს რომ დარეჯანის ძედ იტყვიან, ეს არ ჩანს პატარა ამბავი. დარეჯანი მონადირის ცოლია. მონადირენი კი ხშირად სახლში არ იმყოფებოდნენ და ჩანს დარეჯანს დიდი ღვანლი მიუძღვის ამირანის ამირანობაში. გავითვალისწინოთ ისიც, რომ დარეჯანს სულკალმახთან სამი ვაჟი ჰყავს, ბადრი, უსუპი და ერთიც უფროსი, სადღაც შორს გადახვეწილი. ამ სამიდან არც ერთი არაა ჯაბანი. ამირანზე ნაკლები ვაუკაცები როდი არიან ჩვენთვის ნაცნობი ბადრი და უსუპი. ხოლო გადახვეწილი უფროსის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი „ლომი“ ცამცუმის მამაა. ცამცუმიც ამირანს ტოლს არ დაუდებს ვაუკაცობასა თუ დევთა მუსკრაში. ეს ყოველივე კი იმისთვის ვთქვით, რომ დარეჯანის

მადლიან დედაკაცობას გავუსვათ ხაზი. რომ არავინ იფიქროს ამირანი ღმერთკაცი იყო და დარეჯანი რა შეუძიაო.

დარეჯანთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნამდვილი, ხორციელად მშობელი დედა ამირანისა – დალი. დალი ქალღმერთია, მზეგარეული, ოქროსმინი, იქროს ხელსაქმის იარაღებით. მის ძალმოსილებაზე საუბარი საჭიროც აღარ არის. საგულისხმოა ამირანის დაბადების ადგილი – მაღალი კლდის მნვერვალზე აუვალი მღვიმე. გავიხსენოთ როგორ იწვალა სულკალმახმა იქ ასასვლელად. იქ მდედრობითი სქესის არსებას ასვლაც გაუჭირდებოდა და არსებობაც, მაგრამ დალი ხომ ქალმერთია.

რამოდენიმე ქალი გვხვდება ბროლის კოშკში, გარდაცვლილ ცამცუმთან. ისინი „ლომის“ დედა, დები და ცოლი არიან. გავიხსენოთ როგორ შეაღწია ამირანმა კოშკი:

„სადაც რომ მზემ სხივი დაჲკერა, ამირანმა მუხლი მგლისი“ კოშკმა კარი იქ შეიბა და ამირანი ძმებითურთ პირდაპირ ლომი ცამცუმის ცხედართან აღმოჩნდა. ცხედართან მსხდომ მგლოვიარე ქალებს წარბიც არ შეუხრიათ შეიარაღებული დევამირების დანახვაზე. ესეც ერთი უტყუარი ნიშანი „ამირანინს“ ქალთა ძლიერებისა.

ამირანის რჩეულიც ღვთაებრივი წარმომავლობის ქალია. ღრუბელთხელმწიფის ასული. იგი პირველად ოჯახში მოფუსტუსე ქალად გვევლინება, რომელიც ჭურჭლის რეცხვითაა გართული, თუმცა მალევე ამუღავნებს არნასულ გამშედაობას, რომელიც გამჭრიას გონებასთან ერთად უდავოდ ამშვენებს ამ ქალს. მარტო ის ფაქტი რად ლირს, ღრუბელთხელმწიფესთან ბრძოლასას ორივე ძმა რომ მოუკლეს ამირანს და ყამარ-ქალი საქმროზე ადრე აპირებს ომში შესვლას.

ომიდან ხმალამოწვდილი ამოდის ამირანი და კიდევ ერთ მამაც ქალს ანყდება. უცნობი ქალი ამირანს მიმართავს:

„ნეტავ ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო,



ცოლეურები გასწყვიტე, ვინ გითხრა ბარაქალაო.“
ამ ქალზე არაფერი ვიცით, მაგრამ ნაომარ ღმერთკაცთან ასეთი თამამი შემიანებით განა არ ავლენს ღირსეულ ბუნებას, ქალისათვის უზეულო უშიშრობასა და ძალას?

საოცარ გამშედაობას ამჟღავნებს დევის ქალ-იც. (ისიც ქალია)! იგი ამირანს დედისეული ნიშნების ამოსაცნობად ეკეკლუცება, იცის ამირანის ამირანობის ამბავი და მაინც არ უშინდება ბუმბერაზს, მაშინ, როდესაც მისი ძმები (ცხრა ძმა დევი) ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული სხედან სახლში.

არ შეიძლება რომ არ ვახსენოთ ამბრის დედა. ამბრიც ამირანივით ბუმბერაზი გმირია, მაგრამ ამირანის მოწინააღმდეგე. უკვე გარდაცვლილი ამბრის დედამ ამირანის გამოცდა მოინდომა: „დარეჯანის ძევ, შვილის ბარკალი გადმომივარდა მიწაზედ, დაპლა ეთრევა და უპატიურადა ხდება, ასწიე, შედე ისევ, დედაშვილობას, ურეზედვეო.“

ამირანმა ამბრის ფეხი მიწასაც ვერ ააცილა, თორემ ურემზე ხომ ვერ შედო. ამბრის დედისთვის კი ეს საქმე მარტივად შესასრულებელი აღმოჩნდა. ამბრის დედა შვილის მტერზე ჯავრს სიტყვით იყრის:

„წესი თუ იყოს დედათი, ადვილად გინადირებდი, მოგურავდი მათრახის წვერსა, ცის გიდელ-გიდელ გაგრევდი.“

მას თავისი მდგომარეობა აფერხებს, თორემ ამირანზე ფიზიკურად ჯავრის ამოყრა, ჩანს, არ გაუძნელდება.

თითქოს იმ თაგვის დედაც კი, რომელიც ყამარ-მა ქოშით მოკლა, იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ მდედრულ თვისებებს ატარებს. დედა თაგვი ყამარს უშიშრად კიცხავს.

დედა თაგვი საინტერესო სახეა იმითაც, რომ მას ბალახით მიცვალებულის გაცოცხლების ცოდნა აქვს.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ამირანიანის ქალები ყოვლისშემძლებად გვევლინებიან. გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ამირანის“ თქმულების ზოგიერთი ვარიანტი ამირანის უმანქოდ ჩასახვის იდეას ემსრობა, რაც უდავოდ გამოძახილია მატრი-არქალური ეპოქისა. მაგრამ ერთი კია, დარეჯანის ძის წარმოშობა მხოლოდ დარეჯანის მსგავს ქალებს ძალუძთ.



ალავერდის საეპისკოპოსო ტაძარი



თელავში ვანო იანტბელიძის

ვარსკვლავი გაიხსნა

62



ქართული თეატრის დღე – 14 იანვარი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თელავში აღნიშნა. 258 წლის თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრის სცენაზე, ამავე თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობის, საქართველოს

დამსახურებული არტისტის, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ღაურეატის, ლირსების ორდენის კავალერისა და თელავის საპატიო მოქალაქის – ვანო იანტბელიძის 65 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა, რაც მსახიობის სახელობის ვარსკვლავის გახსნით დასრულდა.

ლონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი – ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ესწრებოდა.

ვანო იანტბელიძე მაყურებლის წინაშე მის მიერ სხვადასხვა სპექტაკლში განსახიერებული როლებიდან „მონოლოგით“ წარდგა.

გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების 2018 წლის სათეატრო შეჯამება და პროფესიული პრემიებით დაჯილდოების ცერემონიალი. მოენცყო ლაპარაკების და გია ცქიტიშვილის წიგნების - „258 წლის თელავის თეატრი“ და „ბერიკა-მსახიობელი“-ს პრეზენტაცია.

თეატრალურმა საზოგადოებამ განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის მაღლობა გადაუხადა და „თეატრის მხარდამჭერი მერი“-ს წოდება მიანიჭა თელავის, ქუთაისის, ოზურგეთის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების მერებს.

ამაგდარის წოდება მიენიჭათ სხვადასხვა თეატრის ტექნიკურ პერსონალსა და ღვაწლმოსილ მსახიობებს. მაჩაბელას დასის ჯილდო გადაეცა თელავის თეატრს; სანდრო ქორქოლინის სახელობის პრემია, სახასიათო როლების შესრულებისთვის, გადაეცა თელავის თეატრის ხელმძღვანელს – პაატა გულიაშვილს, ხოლო თეატრალური საზოგადოების უმაღლესი ჯილდო – აკაკი ხორავას სახელობის პრემია მიენიჭა მსახიობ ვანო იანტბელიძეს.



საქართველოს პრეზიდენტი –
სალომე ზურაბიშვილი



ფოლკლორულ ანსამბლ „ნინადალს“ ვარსპვლავი



ფოლკლორულ ანსამბლ „ნინანდალს“ 35 წელი შეუსრულდა. 26 იანვარს, თელავის ვა-ჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პრო-ფესიული თეატრის სცენაზე ანსამბლის საი-უბილეო საღამო გაიმართა, რის შემდეგაც ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებლის წინ „ნინანდლის“ ვარსკელავი გაიხსნა.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლები – „რუსთავი“ და „ქართული ხმე-ბი“, ასევე, ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ჯგუფები – „პატარა კახი“,

„მზე შინა“ და თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

„არგენტინის ხელოვნების საერთაშორი-სო საბჭოს“ პრეზიდენტმა – ბარბარა ტომბ-სონ ვიუმ, ანსამბლ „ნინანდალს“ ხელოვნების საერთაშორისო საბჭოს საპატიო წევრად მიღების შესაბამისი დიპლომი გადასცა.

ანსამბლ „ნინანდალს“ იუბილე მიულოცეს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა – ირაკლი ქადაგიშვილმა და თელავის მუნიც-იპალიტეტის მერმა – შოთა ნარეკლიშვილმა.



გურამ ურჩუხაშვილი, დავით გაგანაშვილი



თელავის მერი შოთა ნარეკლიშვილი



შესვედრა პოეტიკა

თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი... დღეს აქ პოეზიის დიდი დღესას-ნაულია... ტარდება შესვედრა პოეტებთან... 2018 წლის 5 დეკემბერი.

შესვედრას ხსნის და სტუმრებს ესალმება თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ეკატერინე კობახიძე.

სცენაზე არიან თეატრალური კლუბის (ხელმძღვანელი მარინა ზაუტაშვილი) და ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის (ხელმძღვანელი თინა ძეგველეშვილი) მოსწავლეები.

ეს დღე არის პოეტების ახლო გაცნობის, პოეტების პოეზიის დემონსტრირების, მათ შემოქმედებასთან ახლო მისვლის.

მოწვეულ იყვნენ პოეტები: ფარნა რაინა, თინათინ მრელაშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი, ზინა სოლომნიშვილი, მარიამ კოზმანაშვილი, ნანა მანიუაშვილი, ნოდარ იაგორაშვილი, გიული ჩიხიაშვილი, უანეტა სამხარაძე.

მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს პოეტების ლექსები.

შესვედრაზე სიტყვა წარმოთქვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდო-

ბის საქმეთა სამსახურის უფროსმა ფიქრია ყუშიტაშვილმა.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ ფარნა რაინამ ისაუბრა მწერლობის ეროვნულ როლზე, მიზნებსა და ამოცანებზე. კულტურაზე, ღირსებაზე, მორალზე, ზნეობაზე. წაიკითხა საკუთარი ლექსები.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელმა ნუნუ ძამუკაშვილმა ისაუბრა სკოლის მოსწავლეების წარმატებებზე და შემოქმედებით აქტიურობაზე. წაიკითხა საკუთარი ლექსები.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს აგრეთვე: თინათინ მრელაშვილმა, ნანა მანიუაშვილმა და გიული ჩიხიაშვილმა.

აღინიშნა, რომ ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული შესვედრა.

თელავის მოსწავლა ახალგაზრდობის სახლის დირექტორი:

ეკატერინე კობახიძე



იყალთოს მონასტერი და
იყალთოს აკადემია



